



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

დიდი პალატა

საქმე ნადა შვეიცარიის წინააღმდეგ (NADA v. SWITZERLAND)

(განაცხადი no. 10593/08)

გადაწყვეტილება
სტრასბურგი
2012 წლის 12 სექტემბერი

*ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა შეიძლება დაექვემდებაროს
რედაქტირებას*

საქმეზე ნადა შვეიცარიის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, დიდი პალატის შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლას ბრატუა, *პრეზიდენტი*,

ჟან-პოლ კოსტა,

ფრასუაზ ტულკენი,

ჯოზეფ კასადევალი,

ნინა ვაჟიკი,

დინ სპილმანი,

კრისტოს როზაკისი,

კორნელიუ ბირსანი,

კარელ იუნვიერტი,

ხანლარ ჰაჯიევი,

იან სიკუტა,

იზაბელა ბერო-ლეფევრე,

გიორგიო მალინვერნი,

ჯორჯ ნიკოლაუ,

მიჰაი პოალელუნგი,

კრისტინა პარდალოსი,

განნა იუდივსკა, *მოსამართლეები და*

მაიკლ ობოილე, *სასამართლო მდივნის მოადგილე*,

2011 წლის 23 მარტს, 2011 წლის 7 სექტემბერს და 2012 წლის 23 მაისს ითათბირა და ბოლოს მითითებულ დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის დაწყების საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე იტალიისა და ეგვიპტის მოქალაქის, ბატონი იუსეფ მუსტაფა ნადას 2008 წლის 19 თებერვლის განაცხადი (no. 10593/08) შვეიცარიის კონფედერაციის წინააღმდეგ.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბატონი ჯ. მაკბრაიდი, ბარისიტერი ლონდონში. შვეიცარიის მხარეს (მოპასუხე სახელმწიფოს) წარმოადგენდა წარმომადგენელი საქმეზე ბატონი შურმანი, იუსტიციის ფედერალური სამსახურიდან.

3. თავის განაცხადში ბატონი ნადა ამტკიცებდა, რომ თალიბანის ფედერალური ბრძანების თანდართულ სიაში მისი სახელის მითითების შედეგად მისთვის შვეიცარიაში შესვლისა და გავლის აკრძალვით მისი თავისუფლებისა (კონვენციის მე-5 მუხლი) და პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის (მე-8 მუხლი) უფლებები დაირღვა. მან ასევე განაცხადა, რომ ეს აკრძალვა მე-3 მუხლით გათვალისწინებულ არასათანადო მოპყრობას უტოლდებოდა. ის ასევე ჩიოდა მისი რელიგიური მრწამსის გამოვლენის თავისუფლების (მე-9 მუხლი) დარღვევაზე, ამტკიცებდა რა რომ კამპიონე იტალიას (Campione d'Italia) ანკლავის დატოვების შეუძლებლობამ მას არ მისცა საშუალება ელოცა მეჩეთში. და ბოლოს, ის ამტკიცებდა, რომ ამ საჩივრებთან მიმართებით არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება (მე-13 მუხლი).

4. განაცხადი დაეწერა სასამართლოს პირველ სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52.1 მუხლი), რომელმაც გადაწყვიტა სასამართლოს რეგლამენტის 41-ე მუხლზე დაყრდნობით პრიორიტეტულად განეხილა ის. 2009 წლის 12 მარტს ამ სექციის პალატამ გადაწყვიტა მოპასუხე სახელმწიფოსთვის შეტყობინება გაეგზავნა მე-5, მე-8 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით საჩივრების შესახებ.

5. თითოეულმა მხარემ წარმოადგინა კომენტარები მეორე მხარის მოსაზრებებზე. საფრანგეთმა და გაერთიანებულმა სამეფომაც წარმოადგინეს წერილობითი მოსაზრებები, რაც გადაეცა პრეზიდენტს შემდგომი რეაგირებისთვის (კონვენციის 36.2 მუხლი და [რეგლამენტის] 44.2 მუხლი მოქმედი რედაქცია). იტალიამ არ გამოიყენა ამ პროცესში ჩართვის უფლება (კონვენციის 36.1 მუხლი).

6. 2010 წლის 20 იანვარს მხარეებს შეატყობინეს, რომ პალატა შეისწავლის განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი განხილვის საკითხს ერთდროულად (კონვენციის 29.3 მუხლი რეგლამენტის ძველი რედაქციის 54 A მუხლთან ერთობლიობაში).

7. 2010 წლის 20 სექტემბერს პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ნინა ვაჟიკი, ხანლარ ჰაჯიევი, დენ სპილმანი, სვერრე ერიკ იებენსი, ჯორჯიო მალინვერნი და ჯორჯ ნიკოლაუ, მოსამართლეები და სორენ ნილსენი, სექციის მდივანი, დათმო იურისდიქცია დიდი პალატის სასარგებლოდ. მხარეებს არ გამოუთქვამთ პრეტენზია

ამასთან დაკავშირებით, მას შემდეგ რაც შეატყობინეს (კონვენციის 30-ე მუხლი და [რეგლამენტის] 72-ე მუხლი).

8. დიდი პალატის შემადგენლობა კონვენციის 27.2 მუხლისა და [რეგლამენტის] 24-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა. ჟან-პოლ კოსტამ, ქრისტოს როზაკისმა, ჯორჯიო მალინვერნიმ და მიჰაი პალელუნგმა კონვენციის 23.3 მუხლის და [რეგლამენტის] 24.4 მუხლის საფუძველზე განაგრძეს საქმის განხილვაში მონაწილეობა მას შემდეგაც რაც მათი ვადა ამოიწურა, საქმის საბოლოო განხილვამდე.

9. განმცხადებელმაც და მოპასუხე სახელმწიფომაც მოამზადეს წერილობითი მოსაზრებები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით. საფრანგეთმაც და გაერთიანებულმა სამეფომ წერილობითი მოსაზრებები წარუდგინეს პალატას. ამასთან, დიდი პალატის პრეზიდენტმა ლონდონში დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციას JUSTICE-ის მიანიჭა უფლებამოსილება, წარედგინა წერილობითი კომენტარები (კონვენციის 36.2 მუხლი [რეგლამენტის] 44.2 მუხლთან ერთობლიობაში). და ბოლოს, დიდი პალატის პრეზიდენტმა გაერთიანებულ სამეფოს საქმის ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილება მიანიჭა.

10. საქმის მოსმენა საჯაროდ გაიმართა 2011 წლის 23 მარტს ადამიანის უფლებათა სახლში, სტრასბურგში ([რეგლამენტის] 59.3 მუხლი).

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

- მოპასუხე სახელმწიფოს სახელით:

ბატონი ფ. შურმანი, ევროპული სამართლისა და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა განყოფილების უფროსი, იუსტიციის ფედერალური სამსახური, ფედერალური პოლიციისა და იუსტიციის დეპარტამენტი, წარმომადგენელი საქმეზე,

ბატონი ჯ. ლინდენმანი, ელჩი, საერთაშორისო საჯარო სამართლის დირექტორატის დირექტორის მოადგილე, საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი,

ბატონი რ. ე. ვოკი, სანქციების განყოფილების უფროსი, ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნო, ეკონომიკურ საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი,

ქალბატონი რ. ბურგუინი, სპეციალიზებული იურიდიული მრჩეველი პოლიტიკის მიმართულებით პასუხიმგებლობით, იურიდიულ საკითხთა სექცია, მიგრაციის პოლიტიკის განყოფილება, მიგრაციის ფედერალური სამსახური, ფედერალური პოლიციისა და იუსტიციის დეპარტამენტი,

ქალბატონი ეირიშე, ტექნიკური მრჩეველი, ევროპული სამართლისა და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა განყოფილება, იუსტიციის ფედერალური სამსახური, ფედერალური პოლიციისა და იუსტიციის დეპარტამენტი, *მრჩეველები;*

- განმცხადებლის სახელით

ბატონი ჯ. მაკბრაიდი, ბარისიტერი, *მრჩეველი*,

- გაერთიანებული სამეფოს სახელით (*მესამე მხარე*)

ბატონი დ. ვალტონი, წარმომადგენელი საქმეზე,

ბატონი ს. ვორდსვორტი, *მრჩეველი*,

ქალბატონი კ. ჰოლმსი, *მრჩეველი*

განმცხადებელი და მისი მეუღლეც ესწრებოდნენ.

სასამართლომ მოისმინა ბატონი შურმანის, ბატონი მაკბრაიდისა და ბატონი ვორდსვორტის მიმართვები. ასევე მოისმინა მხარეთა წარმომადგენლების პასუხები მოსამართლეთა შეკითხვებზე.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

A. საქმის პრეისტორია

11. განმცხადებელი 1931 წელს დაიბადა და 1970 წლიდან ცხოვრობდა კამპიონე დიტალიაში, რომელიც კომოს (ლომბარდია) პროვინციაში 1.6 კმ²-ზე განლაგებული იტალიური ანკლავია, რომელიც შემოსაზღვრულია შვეიცარიის კანტონ ტიჩინოთი და გამოეყოფა დანარჩენ იტალიას ტბა ლუგანოთი.

12. განმცხადებელი თავის თავს აღწერს მორწმუნე მუსლიმად და საფინანსო და პოლიტიკურ წრეებში გამოჩენილ საქმოსნად, სადაც მას განზრახული აქვს მაღალ აღიარებას მიაღწიოს. განათლებით ინჟინერს, სხვადასხვა სექტორში მუშაობის გამოცდილება აქვს, კერძოდ კი საბანკო, საგარეო ვაჭრობის, ინდუსტრიისა და უძრავი ქონების. თავისი საქმოსნობის პერიოდში, მან მრავალი კომპანია დააფუძნა, რომელთა წილების სრული ან ნაწილობრივი მესაკუთრეა.

13. თავის წერილობით მოსაზრებაში ის უარყოფს ტერორიზმის ნებისმიერ ფორმას და აცხადებს რომ არასდროს ყოფილა დაკავშირებული ალ-ქაედასთან. პირიქით, ის მუდმივად აკრიტიკებდა ამ ორგანიზაციის მიერ გამოყენებულ საშუალებებს და ასევე იდეოლოგიას.

14. განმცხადებელმა ასევე მიუთითა, რომ მას მხოლოდ ერთი თირკმელი აქვს (მეორე დაუზიანდა ბოლო წლებში). მას ასევე აქვს სისხლჩაქცევა მარცხენა თვალში, რაც დასტურდება 2001 წლის 20 დეკემბრის სამედიცინო ცნობით და აწუხებს ართრიტი კისერზე. გარდა ამისა, 2006 წლის 5 მაისს ციურიხში ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობის თანახმად მარჯვენა ხელზე მას აქვს მოტეხილობა, რომელზეც ოპერაცია უნდა ჩატარებოდა 2004 წელს.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისთვის დაწესებული შეზღუდვების გამო რამაც განაპირობა ეს განაცხადი, მან ვერ შეძლო ოპერაციის გაკეთება და იტანჯებოდა მოტეხილობის შედეგად.

15. 1999 წლის 15 ოქტომბერს 1998 წლის 7 აგვისტოს ოსამა ბინ ლადენის და მისი დაჯგუფების წევრების მიერ ნაირობში (კენია) და დარ-ეს-სალამში (ტანზანია) ამერიკის საელჩოების დაბომბვის შედეგად გაეროს უშიშროების საბჭომ გაეროს ქარტიის მე-7 თავის საფუძველზე მიიღო რეზოლუცია 1267 (1999), რომელიც აწესებდა თალიბანის წინააღმდეგ სანქციებს (იხილეთ 70-ე პარაგრაფი დაბლა) და უშიშროების საბჭოს მთელი შემადგენლობის მონაწილეობით შექმნა კომიტეტი ამ რეზოლუციის აღსრულების მონიტორინგისთვის („სანქციების კომიტეტი“).

16. 2000 წლის 2 ოქტომბერს რეზოლუციის აღსასრულებლად შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ (ფედერალური აღმასრულებელი) მიიღო განკარგულება „თალიბანის წინააღმდეგ ღონისძიებათა ინსტიტუციონალიზაციის შესახებ“ („თალიბანის განკარგულება“ - იხილეთ 66-ე პარაგრაფი დაბლა), რომელშიც რამდენჯერმე შევიდა ცვლილება, მათ შორის სათაურშიც.

17. 2000 წლის 19 დეკემბრის რეზოლუციით 1333(2000) (იხილეთ 71-ე პარაგრაფი დაბლა) უშიშროების საბჭომ გააგრძელა სანქციების რეჟიმი. ის ამჟამად უკვე მიმართული იყო ოსამა ბინ ლადენის და ალ-ქაედას ორგანიზაციის, ასევე თალიბანის მაღალი თანამდებობის პირებისა და მრჩევლების წინააღმდეგ. ორივე რეზოლუციით 1267 (1999) და 1333 (2000) უშიშროების საბჭომ სანქციების კომიტეტს მოსთხოვა ოსამა ბინ ლადენტან და ალქაედასთან ასოცირებული ადამიანებისა და იურიდიული პირების სიის შენარჩუნება, რომელიც მომზადდა სახელმწიფოებისა და რეგიონული ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

18. 2001 წლის 11 აპრილს შვეიცარიამ ცვლილება შეიტანა თალიბანის განკარგულებაში რეზოლუციის 1333 (2000) იმპლემენტაციისთვის. მას დაემატა 4ა მუხლის 1-ელი ნაწილი, რომელიც კრძალავდა შვეიცარიაში შესვლასა და ტრანზიტს იმ პირებისა და იურიდიული პირებისთვის, რომელთაც ეხებოდა რეზოლუცია (თუმცა სახელების მითითების გარეშე).

19. 2001 წლის 24 ოქტომბერს ფედერალურმა პროკურორმა განმცხადებლის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო.

20. 2001 წლის 7 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბანკ ალ თაქვას ქონება დააყადაღა. ბანკის თავმჯდომარე და მთავარი აქციონერი განმცხადებელი იყო.

21. 2001 წლის 9 ნოემბერს სანქციების კომიტეტმა განმცხადებელი და მასთან დაკავშირებული რამდენიმე ორგანიზაცია დაამატა სიაში. 2001 წლის 30 ნოემბერს (ან 9 ნოემბერს, როგორც ეს განმცხადებლის წერილობით მოსაზრებებშია მითითებული), მათი სახელები დაემატა თალიბანის განკარგულების დანართს.

22. 2002 წლის 16 იანვარს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1390 (2002), რომლითაც დადგინდა აკრძალვა იმ ადამიანების, ჯგუფების, საწარმოებისა და მათთან დაკავშირებული იურიდიული პირების შესვლასა და ტრანზიტზე, რომლებიც მითითებული იყვნენ რეზოლუციებით 1267 (1999) და 1333 (2000) დამტკიცებულ სიებში (იხილეთ 70-71 და 74-ე პარაგრაფები). 2002 წლის 1 მაისს ფედერალური „თალიბანის განკარგულების“ 4ა მუხლში შესაბამისი ცვლილება შევიდა: შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვა გავრცელდა განკარგულების მე-2 დანართში მითითებულ ყველა ადამიანზე, მათ შორის განმცხადებელზე.

23. 2002 წლის 10 სექტემბერს შვეიცარია გაეროს წევრი გახდა.

24. 2002 წლის ნოემბერში ლონდონში ვიზიტისას განმცხადებელი დააპატიმრეს და გადაგზავნეს იტალიაში. მას ფულიც ჩამოართვეს.

25. 2003 წლის 10 ოქტომბერს სანქციების შეფარდებასთან დაკავშირებით მონიტორინგის ჯგუფის კრიტიკის შედეგად (იხილეთ 72-ე პარაგრაფი ქვემოთ), ტიცინოს კანტონმა გააუქმა განმცხადებელზე გაცემული საზღვრის კვეთის სპეციალური ნებართვა. განმცხადებლის საქმიანობის შესწავლის შედეგად მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ განმცხადებელს შედარებით თავისუფლად შეეძლო გადაადგილება შვეიცარიასა და იტალიას შორის. მოპასუხე სახელმწიფოს წერილობითი მოსაზრების თანახმად მხოლოდ ამ დროიდან შეეხო განმცხადებელს რეალურად შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვა.

26. 2003 წლის 27 ნოემბერს შვეიცარიის იმიგრაციის, ინტეგრაციისა და ემიგრაციის ფედერალურმა ოფისმა (IMES) განმცხადებელს შეატყობინა, რომ მას აღარ ქონდა საზღვრის გადაკვეთის უფლება.

27. 2004 წლის 23 მარტს განმცხადებელმა IMES-ს მიმართა შვეიცარიაში შესვლის ან ტრანზიტის მოთხოვნით, ამ ქვეყანაში მკურნალობის მიზნით და შვეიცარიაში და იტალიაში სამართლებრივ პროცედურებთან დაკავშირებით. IMES-მა 2004 წლის 26 მარტს არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა როგორც დაუსაბუთებელი. უფრო მეტიც, უარი მიუთითებდა განმცხადებელს, რომ მისი მოთხოვნის საფუძვლები, კერძოდ კი ადვოკატთან კონსულტაციისა და მკურნალობის აუცილებლობა და კამპიონე დ'ტალიაში მის ცხოვრებასთან დაკავშირებული სპეციფიური მდგომარეობა არ იყო საფუძვლები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებს შესაძლებლობას მისცემდა მის მიმართ გატარებული ღონისძიებიდან გამონაკლისი დაეშვათ ნებართვის სახით.

28. ფედერალურმა სისხლის სამართლის სასამართლომ 2005 წლის 27 აპრილის განჩინებით ფედერალურ პროკურორს დაავალა ან საქმისწარმოების შეწყვეტა ან კომპეტენტური ფედერალური გამომძიებელი მოსამართლისთვის გადაგზავნა 2005 წლის 31 მაისამდე. ამ დღით დათარიღებული ბრძანებით ფედერალურმა პროკურორმა, დაადგინა რა რომ განმცხადებლის წინააღმდეგ ბრალდება დაუსაბუთებელი იყო, შეწყვიტა ბრალდება მის მიმართ.

29. 2005 წლის 22 სექტემბერს განმცხადებელმა ფედერალურ საბჭოს მიმართა თხოვნით, განკარგულების დანართიდან ამოეშალათ მისი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების სახელები. მისი მოთხოვნის მხარდასაჭერად ის ამტკიცებდა, რომ ფედერალური პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე პოლიციამ შეწყვიტა გამოძევა მის მიმართ და შესაბამისად აღარ იყო მის წინააღმდეგ სანქციების გამოყენება დაუსაბუთებელი.

30. 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნომ (SECO) უარყო მოთხოვნა იმ საფუძველით, რომ შვეიცარია არ იყო უფლებამოსილი თალიბანის განკარგულების დანართი სიიდან ამოეშალა სახელები, მაშინ როცა ეს სახელები ჯერ კიდევ მითითებული იყო გაეროს სანქციების კომიტეტის სიაში.

31. 2006 წლის 13 თებერვალს განმცხადებელმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ეკონომიკურ საქმეთა ფედერალურ დეპარტამენტს (დეპარტამენტს).

32. 2006 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით დეპარტამენტმა არ დააკმაყოფილა ეს საჩივარი. მან დაადასტურა, რომ განკარგულების

დანართიდან სახელის ამოშლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ სახელებს ამოშლიან სანქციების კომიტეტის სიიდან და განმარტა, რომ ამ მიზნისთვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს, რომლის მოქალაქე ან მაცხოვრებელიც იყო განსახილველი პირი, სიიდან ამოშლის მოთხოვნით მიემართა გაეროს ორგანოებისთვის. ვინაიდან შვეიცარია არც განმცხადებლის მოქალაქეობის და არც მისი მუდმივად ცხოვრების ქვეყანა იყო, დეპარტამენტმა დაადგინა, რომ შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოები არ იყვნენ უფლებამოსილი წამოეწყოთ ასეთი პროცედურა.

33. 2006 წლის 6 ივლისს განმცხადებელმა ფედერალურ საბჭოში გაასაჩივრა დეპარტამენტის გადაწყვეტილება. მან თალიბანის განკარგულების მე-2 დანართის სიიდან მისი და მასთან დაკავშირებული რამდენიმე ორგანიზაციის ამოშლა მოითხოვა.

34. 2006 წლის 20 სექტემბერს მიგრაციის ფედერალურმა სამსახურმა (ODM) რომელიც 2005 წელს შეიქმნა და მოიცავდა ასევე IMES-ს, და განმცხადებელს ერთი დღით მოუხსნა აკრძალვა, 2006 წლის 25 სექტემბერს, იმისათვის, რომ მას შეძლებოდა მილანში წასვლა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. განმცხადებელმა არ გამოიყენა ეს ნებართვა.

35. 2007 წლის 6 აპრილს განმცხადებელმა სანქციების კომიტეტის „საკონტაქტო პირს“ (ორგანოსი, რომელიც რეზოლუციით 1730 (2006) შეიქმნა სანქციების კომიტეტის სიებიდან ადამიანებისა და იურიდიული პირების მოხსნის შესახებ მოთხოვნების განსახილველად - იხილეთ 76-ე პარაგრაფი ქვევით) მიმართა მოთხოვნით, მისი სახელი წაეშალათ შესაბამისი სიიდან.

36. ფედერალური საბჭოს 2007 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში, რომელიც განიხილავდა 2006 წლის 6 ივლისის საჩივარს, საქმე გადაუგზავნა ფედერალურ სასამართლოს, დაადგინა რა, რომ განმცხადებელს მისი საკუთრებით სარგებლობის უფლებები პირდაპირ შეეზღუდა; ასევე ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ვრცელდებოდა განკარგულებისა დანართიდან მისი ამოშლის მოთხოვნაზე და შესაბამისად საქმე უნდა განეხილა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ტრიბუნალს.

37. თავის წერილობით მოსაზრებებში დეპარტამენტმა განაცხადა, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მიუთითა რა რომ უშიშროების საბჭოს 2006 წლის 19 დეკემბრის რეზოლუცია

1730 (2006) საშუალებას აძლევდა ადამიანებს და ორგანიზაციებს, რომელთა სახელებიც სანქციების კომიტეტის სიაში იყო მითითებული, მიემართათ ინდივიდუალურად სიიდან მოხსნის მოთხოვნით, ნაცვლად იმისა, რომ მიმართვა განხორციელებულიყო მოქალაქეობის ან მუდმივი ცხოვრების სახელმწიფოს მეშვეობით.

38. განმცხადებელმა შეინარჩუნა მისი წერილობით მოთხოვნა. უფრო მეტიც, ის ამტკიცებდა, რომ ODM-ის მხრიდან თალიბანის განკარგულების 4ა.2 მუხლის საფუძველზე ნებართვის გაცემაზე უარის გამო მან ვერ შეძლო კამპიონე დ'იტალიაში მისი სახლის დატოვება, მიუხედავად სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ნაკლებობისა, არც იტალიის დატოვება შეეძლო ადმინისტრაციული ან სამართლებრივი მიზეზებით და შესაბამისად მან ფაქტიურად ბოლო წლები შინა პატიმრობაში გაატარა. ამასთან, სანქციების კომიტეტის სიაში მისი სახელის დამატება უტოლდებოდა მის საჯარო ბრალდებას ოსამა ბინ ლადენთან, ალ-ქაედასთან და თალიბანთან კავშირში, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. უფრო მეტიც, ის ამტკიცებდა, რომ რაიმე დასაბუთების ან წინასწარ მისი მოსმენის გარეშე მისი სიაში ჩასმა არღვევდა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს, პირად თავისუფლებას, საკუთრებითა და ეკონომიკური თავისუფლებით სარგებლობას, უფლება მოსმენაზე და სამართლიან სასამართლოზე უფლებასთან ერთად. და ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ უშიშროების საბჭოს სანქციები ეწინააღმდეგებოდა თავად გაეროს წესდებას და საერთაშორისო სამართლის დოგმატურ ნორმებს (*jus cogens*), ის ამტკიცებდა რომ შვეიცარიას არ ევალებოდა მათი დაცვა.

39. 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, რომელშიც მითითებული იყო დაცვის ხელმისაწვდომი საშუალებები, ODM-მ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა გამონაკლისზე. 2007 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ უთითებდა რა დაცვის ხელმისაწვდომ საშუალებებზე, მან უარი თქვა განმცხადებლის წერილის გადახედვაზე, რადგანაც მიიჩნია ეს გადახედვის მოთხოვნად. 2007 წლის 20 ივლისის წერილით განმცხადებელი განმარტავდა, რომ ადგილი ქონდა გაუგებრობას და რომ მისი წინა წერილი რეალურად გამონაკლისზე ახალი მოთხოვნა იყო. 2007 წლის 2 აგვისტოს ODM-მ კვლავ უარყო მისი მოთხოვნა, შეახსენა რა რომ ის უფლებამოსილი იყო

გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში საჩივრით. განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია ეს გადაწყვეტილება.

40. 2007 წლის 29 ოქტომბერს სიებიდან ამოღებაზე პასუხისმგებელმა საკონტაქტო პირმა, რომელიც უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1730(2006)-ით შეიქმნა, არ დააკმაყოფილა განმცხადებლის 2007 წლის 6 აპრილის მოთხოვნა სანქციების კომიტეტის სიიდან მისი ამოღების თაობაზე (იხილეთ 35-ე პარაგრაფი მაღლა). 2007 წლის 2 ნოემბერს საკონტაქტო პირმა ასევე არ დააკმაყოფილა ინფორმაციის მოთხოვნა იმის თაობაზე თუ რომელმა ქვეყანამ დაასახელა განმცხადებელი სიაში აღსანუსხად და რა მიზეზით, მიუთითა რა ამ პროცესის კონფიდენციალობაზე. და ბოლოს, 2007 წლის 19 და 28 ნოემბრის წერილებში საკონტაქტო პირმა კვლავ დაადასტურა პროცესის კონფიდენციალობა, მაგრამ ამასთან შეატყობინა განმცხადებელს, რომ გასაიდუმლოებული სახელმწიფო ეწინააღმდეგებოდა მისი სიიდან ამოღებას.

B. ფედერალური სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება

41. 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფედერალურმა სასამართლომ, რომელსაც ფედერალურმა საბჭომ გადასცა განმცხადებლის საჩივარი (იხილეთ 36-ე პარაგრაფი მაღლა), დასაშვებად მიიჩნია საჩივარი, თუმცა არ დააკმაყოფილა ის არსებითი განხილვის შედეგად.

42. ფედერალურმა სასამართლომ მიუთითა, რომ გაეროს წესდების 25-ე მუხლის თანახმად გაეროს წევრი ქვეყნები ვალდებულიყვნენ იღებენ მიიღონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები და განახორციელონ ისინი წესდების შესაბამისად. მან ასევე აღნიშნა, რომ წესდების 103-ე მუხლის თანახმად, ინსტრუმენტის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები არა მარტო უპირატესია წევრი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაზე, არამედ ასევე უპირატესი ძალით სარგებლობს სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან მომდინარე ვალდებულებებთან მიმართებით, მიუხედავად მათი ბუნებისა, იქნება ისინი ორმხრივი თუ მრავალმხრივი. მან ასევე განაცხადა, რომ ეს უპირატესობა ვრცელდება არა მარტო წესდებაზე, არამედ ყველა იმ ვალდებულებაზე, რომელიც წარმოიშობა უშიშროების საბჭოს მავალდებულებელი რეზოლუციიდან.

43. თუმცა ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ წესდება სავალდებულო იყო უშიშროების საბჭოსთვის და მას ევალებოდა წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად ემოქმედა (წესდების 24.2 მუხლი), რაც ასევე გულისხმობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას (წესდების 1.3 მუხლი). ამავდროულად მან დაასკვნა, რომ წევრ ქვეყნებს არ ქონდათ უფლება თავიდან აეცილებინათ ვალდებულება იმ საფუძველით, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება (ან რეზოლუცია) არსებითად ეწინააღმდეგებოდა წესდებას, კერძოდ კი VII თავიდან (მშვიდობისათვის საფრთხის შემქმნელი, მშვიდობის დამრღვევი ქმედებები და აგრესიის აქტები) მომდინარე გადაწყვეტილებებს (რეზოლუციებს).

44. ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ფედერალური კონსტიტუციის 190-ე მუხლის თანახმად (იხილეთ 65-ე პარაგრაფი ქვემოთ) მისთვის სავალდებულო იყო ფედერალური და საერთაშორისო კანონმდებლობა. მან გაიზიარა პოზიცია, რომ შვეიცარიის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო შეთანხმებებთან ერთად საერთაშორისო სამართალი ასევე მოიცავდა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს, სამართლის ზოგად პრინციპებს და საერთაშორისო ორგანიზაციათა გადაწყვეტილებებს, რომლებიც შვეიცარიისთვის სავალდებულო იყო, მათ შორის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები სანქციების რეჟიმთან დაკავშირებით.

45. თუმცა, სასამართლომ იქვე აღნიშნა, რომ კონსტიტუციის 190-ე მუხლი არ შეიცავს შვეიცარიისთვის სავალდებულო საერთაშორისო სამართლის ნორმებს შორის კოლიზიის გადაწყვეტის წესს. წინამდებარე საქმეზე კი ერთი მხრივ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებსა და მეორეს მხრივ ადამიანის უფლებათა კონვენციისა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის გარანტიებს შორის ამგვარ კოლიზიას ჰქონდა ადგილი. მან დაასკვნა, რომ თუკი კონფლიქტი ვერ გადაიჭრება შეთანხმებათა განმარტების წესების საფუძველზე, საკითხის გადასაჭრელად აუცილებელი იქნება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების იერარქიის გადახედვა, რომლის თანახმადაც, გაეროს წესდებას უპირატესი ძალა აქვს სხვა დანარჩენი საერთაშორისო შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებაზე (წესდების 103-ე მუხლი ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის კონვენციის

30-ე მუხლთან ერთობლიობაში; იხილეთ 69-ე და მე-80-ე პარაგრაფი ქვევით). ფედერალური სასამართლო თვლიდა, რომ გაეროს სანქციების ერთგვაროვან შეფარდებას საფრთხე შეექმნებოდა თუ ევროპული კონვენციისა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლოებს შეეძლებოდათ ამ სანქციების უგულებელყოფა კონკრეტულ ადამიანთა ან ორგანიზაციათა ძირითად უფლებათა დასაცავად.

46. მიუხედავად ყველაფრისა სასამართლომ აღიარა, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების ვალდებულება შეზღუდული იყო *jus cogens*-ის ნორმებით. შესაბამისად, მან ვალდებულებად მიიჩნია დაედასტურებინა, შეეძლო თუ არა უშიშროების საბჭოს სანქციების რეჟიმს დაერღვია საერთაშორისო სამართლის აბსოლუტური ნორმები, როგორც ამას განმცხადებელი უთითებდა.

47. ფედერალურმა სასამართლომ შემდეგ მოახდინა *jus cogens*-ის ნორმების ციტირება: სიცოცხლის უფლება, წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვა, მონობის აკრძალვა, კოლექტიური დასჯის აკრძალვა, ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი და გამძევების აკრძალვის პრინციპი. თუმცა მან აღნიშნა, რომ საკუთრებით, ეკონომიკური თავისუფლებით, სამართლიანი სასამართლოს გარანტიებით ან სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით სარგებლობა არ არის *jus cogens*.

48. რაც შეეხება განმცხადებლის წინააღმდეგ მიღებული ზომების შედეგებს, კერძოდ კი შვეიცარიაში შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვას, ფედერალურმა სასამართლომ შემდეგი რამ დაადგინა:

“7.4 ეს სანქციები მოიცავდა მათი ადრესატებისთვის კომერციულ შეზღუდვებს; თუმცა სასიცოცხლოდ აუცილებელი სახსრების დაყადაღება არ მომხდარა (იხილეთ რეზოლუცია 1452 (2002), 1.ა პარაგრაფი), რის შედეგადაც სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას არ ექმნება საფრთხე და არც არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ქონდა ადგილი.

მოგზაურობის აკრძალვა ზღუდავს შესაბამისი პირების გადაადგილების თავისუფლებას, მაგრამ თავისთავად არ წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვას: მათ თავისუფლება აქვთ თავისუფლად იმოძრაონ მათი საცხოვრებელი ქვეყნის შიგნით (იხილეთ, თუმცა განმცხადებლის კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით იხილეთ 10.2 პუნქტი); სამშობლოში მგზავრობა ასევე ნებადართულია (იხილეთ რეზოლუცია 1735 (2006), პარაგრაფი 1.ბ).

...”

49. ფედერალურმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ზოგადი თვალსაზრისით უშიშროების საბჭომ სანქციების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო შესაბამისი პირებისთვის და ორგანიზაციებისთვის წინასწარ კომენტარების გაკეთების ან ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლოებში გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემის გარეშე. ამასთან მიმართებით ფედერალურმა სასამართლომ რეზოლუცია 1730 (2006)-ის ფარგლებში აღნიშნა, რომ სიიდან ამოშლის მოთხოვნით პირების მიერ სანქციების კომიტეტისთვის პირდაპირ მიმართვის პროცედურა უკვე არსებით პროგრესს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა რომ სისტემას მნიშვნელოვანი პრობლემები გააჩნდა ადამიანის უფლებების თვალსაზრისით.

50. ფედერალურმა სასამართლომ ასევე შეისწავლა შვეიცარიისთვის შესაბამისი რეზოლუციის სავალდებულობის ფარგლები, სხვა სიტყვებით, ქონდა თუ არა მას რაიმე მოცვა (*Ermessensspielraum*) მათი შესრულებისას:

“8.1 უშიშროების საბჭომ გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე მიიღო რეზოლუცია 1267 (1999) და თანმდევი რეზოლუციები ალ-ქაედასა და თალიბანის შესახებ სანქციებთან დაკავშირებით, ყველა წევრი ქვეყნის მიმართ დაუყოვნებლივ შესასრულებელი ვალდებულებით, მიეღოთ სრული და მკაცრი მიდგომა მასში გათვალისწინებული სანქციების აღსასრულებლად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით თუ შეთანხმებებით აღიარებული უფლებებისა და ვალდებულებების იგნორირებით (იხილეთ რეზოლუცია 1267 (1999) მე-7 პარაგრაფი).

სანქციები (ქონების დაყადაღება, შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვა, ემბარგო იარაღზე) დეტალურად არის აღწერილი და სახელმწიფოებს მათი იმპლემენტაციისას არ უტოვებს თავისუფალი შეფასების ფარგლებს. მათი სახელები ვისაც ეხება სანქციები, ასევე განსაზღვრულია წევრი ქვეყნებისთვის: სანქციების კომიტეტმა შექმნა ეს სია და აწარმოებს მას (იხილეთ რეზოლუცია 1933 (2000)-ის 8.ე პარაგრაფი).

რაც შეეხება სიიდან ამოშლის შესაძლებლობის მოპოვებას, სანქციების კომიტეტმა შემოიღო სპეციალური პროცედურა (იხილეთ რეზოლუცია 1753 (2006), მე-13 პარაგრაფი და სანქციების კომიტეტის 2007 წლის 12 თებერვლის დირექტივები). წევრ ქვეყნებს შესაბამისად ეკრძალებათ საკუთარი ინიციატივით განიხილონ სანქციების კომიტეტის სიაში მითითებული ადამიანის ან ორგანიზაციისთვის სანქციის მოქმედების გაგრძელების საკითხი.

შესაბამისად შვეიცარია წესდების თანახმად მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს დაარღვევდა, თუკი თალიბანის განკარგულების დანართიდან ამოშლიდა განმცხადებლის ან მისი ორგანიზაციების სახელებს.

...

8.3 აღნიშნულის გათვალისწინებით შვეიცარია არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით ამოშალოს თალიბანის განკარგულების მე-2 დანართიდან განმცხადებლის სახელი.

უნდა დავუშვათ, რომ აღნიშნულ სიტუაციაში განმცხადებლისთვის არ არის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის რაიმე ეფექტური საშუალება. ფედერალური სასამართლო უდავოდ უფლებამოსილია შეისწავლოს არის თუ არა შვეიცარიისთვის სავალდებულო უშიშროების საბჭოს რეზოლუციები და რა ფარგლებში, მაგრამ არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის წინააღმდეგ არსებული სანქციები მოხსნას იმ საფუძველით, რომ ისინი არღვევს ძირითად უფლებებს.

მხოლოდ სანქციების კომიტეტია პასუხისმგებელი პირების ან იურიდიული პირები სიიდან ამოშლაზე. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული გაუმჯობესებისა, სიიდან ამოშლის პროცედურა ვერ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: სასამართლოს ხელმისაწვდომობა ფედერალური კონსტიტუციის 29-ე მუხლის, ადამიანის უფლებათა კონვენციის 6.1 მუხლის და გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 14.1 მუხლის თანახმად, ასევე სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებებზე უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლისა და გაეროს პაქტის 2.3 მუხლის თანახმად...“

51. ფედერალურმა სასამართლომ ასევე შეისწავლა, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია არ იყო უფლებამოსილი განმცხადებლის სახელი საკუთარი ინიციატივით ამოეშალა სიიდან, ვალდებული იყო თუ არა მინიმუმ დახმარებოდა მას სიიდან ამოშლის პროცედურასთან დაკავშირებით. სასამართლომ შემდეგი დასაბუთება წარმოადგინა:

“9.1 დაბალი ინსტანციის სასამართლოებმა შეისწავლეს ვალდებული იყო თუ არა შვეიცარია განმცხადებლის სახელით წამოეწყო სიიდან ამოშლის პროცედურა. ამასობაში ეს საკითხი არააქტუალური გახდა, რადგანაც სიიდან ამოშლის პროცედურაში ცვლილების შეტანის შედეგად განმცხადებელი თავად გახდა უფლებამოსილი მიემართა და შესაბამისად გამოიყენა კიდეც ეს შესაძლებლობა.

9.2 მისი განაცხადის წარმატებული განხილვა შვეიცარიაზეა დამოკიდებული, რადგანაც ეს არის ქვეყანა, რომელმაც განახორციელა სრული წინასწარი გამოძიება, მთელი რიგი წერილობითი მოთხოვნებით, სახლის ჩხრეკითა და მოწმეთა დაკითხვით.

გაეროს წევრი ქვეყნები ვალდებული არიან სამართალწარმოება აწარმოონ ადამიანების მიმართ, რომლებიც ექვემდებარებიან არიან ტერორიზმის დაფინანსებაში ან მხარდაჭერაში (უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1373 (2001), 2.e პარაგრაფი)...

მეორეს მხრივ, თუ სისხლის სამართალწარმოება დასრულდებოდა გამართლებით ან შეწყდებოდა, ეს გამოიწვევდა პრევენციული სანქციების გაუქმებას. შესაბამისად ქვეყანამ, რომელმაც სისხლის სამართლის საქმე ან წინასწარი გამოძიება აწარმოა ვერ განიხილავს სიიდან ამოშლის საკითხს, მაგრამ ამ ქვეყანას შეეძლო გადაეცა გამოძიების შედეგები სანქციების კომიტეტისთვის და მოეთხოვა ან მხარი დაეჭირა პიროვნების სიიდან ამოშლისთვის.“

52. და ბოლოს, ფედერალურმა სასამართლომ შეისწავლა თალიბანის განკარგულების 4ა მუხლის საფუძველზე მიღებული მგზავრობის აკრძალვა ცდებოდა თუ არა უშიშროების საბჭოს რეზოლუციით მიღებული სანქციების ფარგლებს და შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება ვრცელდებოდა თუ არა მათზე. სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

“10.1 თალიბანის განკარგულების 4ა.1 მუხლი მე-2 დანართში ჩამოთვლილ პირებს უკრძალავს შვეიცარიაში შესვლას ან ტრანზიტს. 4ა.2 მუხლი ადგენს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად ან შვეიცარიის ინტერესების დასაცავად მიგრაციის ფედერალური სამსახური უფლებამოსილია დაუშვას გამონაკლისები.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციების თანახმად მგზავრობის აკრძალვა არ მოქმედებს თუ შესვლა ან ტრანზიტი აუცილებელია მართლმსაჯულების პროცესებისთვის. ამასთან, შესაძლებელია სანქციების კომიტეტთან შეთანხმებით კონკრეტულ საქმეზე გამონაკლისის დაშვება (იხილეთ რეზოლუცია 1735 (2006) 1.ბ პარაგრაფი). ეს მოიცავს კონკრეტულ მგზავრობას სამედიცინო, ჰუმანიტარული ან რელიგიური მიზნებით (ბრაუნის ინსტიტუტი, ციტირება მაღლა).

10.2 თალიბანის განკარგულების 4ა.2 მუხლი ფორმულირებულია როგორც “შესაძლებლობის მიმცემი” ნორმა და ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მიგრაციის ფედერალური სამსახური სარგებლობს თავისუფალი შეფასების გარკვეული ფარგლებით. თუმცა კონსტიტუციის თანახმად, ეს ნორმა უნდა განიმარტოს ისე, რომ გამონაკლისი დაიშვება ყველა იმ შემთხვევაში როდესაც ეს დაშვებულია გაეროს სანქციების რეჟიმით. განმცხადებლის გადაადგილების თავისუფლების უფრო მეტად შეზღუდვა ვერ განიხილება უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზე დაფუძნებულად თუ ეს არ მომდინარეობს საჯარო ინტერესიდან და არაპროპორციულია განმცხადებლის კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე.

განმცხადებელი კამპიონეში ცხოვრობს, იტალიის ანკლავში ტიცინაში, ფართობით 1.6 კმ². შვეიცარიაში შესვლასა და ტრანზიტზე აკრძალვის შედეგად მას არ შეუძლია დატოვოს კამპიონე. რეალურად რომ მივუდგეთ, როგორც განმცხადებელი სწორედ ამტკიცებს, ეს შინაპატიმრობას უტოლდება და შესაბამისად მისი პირადი თავისუფლების სერიოზულ შეზღუდვას წარმოადგენს. ასეთ გარემოებებში შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებს ევალება ამოწუროს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ფარგლებში არსებული სანქციების რეჟიმის შემსუბუქების ყველა შესაძლებლობა.

თუმცა მიგრაციის ფედერალურ სამსახურს არ გააჩნია თავისუფალი შეფასების არანაირი ფარგლები. მიუხედავად ამისა მან უნდა შეისწავლოს გამონაკლისის დაშვების პირობები შესრულებულია თუ არა. თუკი მოთხოვნაზე ვერ გავრცელდება უშიშროების საბჭოს მიერ გათვალისწინებული ზოგადი გამონაკლისები, ის უნდა წარედგინოს სანქციების კომიტეტს განსახილველად.

10.3 უგულებელყო თუ არა მიგრაციის ფედერალურმა სამსახურმა საკონსტიტუციო მოთხოვნები საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით მომჩივნის მოთხოვნების განხილვისას, ამჯერად არ საჭიროებს შესწავლას: ფედერალური სამსახურის შესაბამისი განკარგულებები განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია და დავის საგანს არ წარმოადგენს წინამდებარე საქმეზე.

იგივე ეხება საკითხს, უნდა შეეცვალა თუ არა მომჩივანს თავისი საცხოვრებელი ადგილი და გადასულიყო კამპიონედან იტალიაში. განმცხადებელს დღემდე ასეთი მოთხოვნა არ წარმოუდგენია.“

C. ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომი მოვლენები

53. ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ განმცხადებელმა ODM-ს წერილობით მოსთხოვა ხელახლა შეესწავლა მის შემთხვევაზე ზოგადი გამონაკლისების გავრცელების შესაძლებლობა. 2008 წლის 28 იანვარს მან ახალი მოთხოვნა წარადგინა - ითხოვდა შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვის სამი თვით გადავადებას. 2008 წლის 21 თებერვლის წერილით ODM-მა არ დააკმაყოფილა მოთხოვნა, მიუთითა რა რომ შეუძლებელი იყო ასეთი გრძელვადიანი გადავადება საკითხის სანქციების კომიტეტისთვის შეუტყობინებლად, თუმცა მას შეეძლო გაეცა ერთჯერადი ნებართვები. განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია ეს გადაწყვეტილება.

54. 2008 წლის 22 თებერვალს შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებსა და განმცხადებლის წარმომადგენლებს შორის

შეხვედრაზე, რომელიც ეხებოდა შვეიცარიის მხრიდან განმცხადებლის დახმარებას სიიდან ამოშლასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის წარმომადგენელმა განმარტა რომ ვითარება საგამონაკლისო იყო, რადგანაც ერთის მხრივ განმცხადებელი შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებს ეკითხებოდა თუ რა დახმარება შეეძლოთ მათ გაეწიათ გაეროს სიიდან ამოშლის პროცედურასთან მიმართებით და მეორეს მხრივ კი მან საქმე წამოიწყო [ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში] შვეიცარიის წინააღმდეგ.

შეხვედრის მიმდინარეობისას განმცხადებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მან ODM-ისგან ზეპირი დასტური მიიღო იმაზე, რომ მის კლიენტს მისცემდნენ ერთჯერად ნებართვას იტალიაში წასასვლელად, მიღწევაში მის ადვოკატთან კონსულტაციის გასავლელად. საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის წარმომადგენელი ასევე მიუთითებდა, რომ განმცხადებელს შეეძლო სანქციების კომიტეტისთვის მიემართა უფრო ფართო გამოწვევის მისაღებად. თუმცა, მან ასევე გაიმეორა, რომ შვეიცარიას არ შეეძლო თავად მიემართა სანქციების კომიტეტისთვის განმცხადებლის სიიდან ამოღებასთან დაკავშირებით. მან დასძინა, რომ მისი ხელისუფლება მაინც მზად იქნება დაეხმაროს განმცხადებელს, მისთვის ცნობის უზრუნველყოფით, რომელიც დაადასტურებს, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმისწარმოება შეწყვეტილია. განმცხადებლის ადვოკატმა უპასუხა, რომ მან უკვე მიიღო წერილობითი ცნობა მისი კლიენტის სასარგებლოდ საქმის შეწყვეტის თაობაზე და ეს წერილი საკმარისი იყო.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნებს იტალიის სახელმწიფო ორგანოების მიმართ სიიდან ამოშლის პროცედურასთან დაკავშირებით მათი დახმარების თაობაზე, ფედერალური დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადვოკატს შესთავაზა, დაკავშირებოდა გაეროში იტალიის მუდმივ წარმომადგენლობას, დასძინა რა რომ იმ დროისთვის იტალიას მუდმივი წევრობა ქონდა უშიშროების საბჭოში.

55. მოპასუხე სახელმწიფომ [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს შეატყობინა, რომ 2008 წლის აპრილში ეგვიპტის სამხედრო ტრიბუნალმა განმცხადებელი დაუსწრებლად გაასამართლა და მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მუსლიმთა სამშოს ორგანიზაციის ფინანსური დახმარებისთვის

(ამასთან დაკავშირებით იხილეთ ყოველდღიურ გაზეთ *Corriere del Ticino*-ში 2008 წლის 16 აპრილს გამოქვეყნებული სტატია). განმცხადებელს სადაოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ მას მსჯავრი დაედო, მაგრამ ამტკიცებდა, რომ მას ინფორმაცია არ მიაწოდეს მის წინააღმდეგ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით და შესაბამისად არ ქონდა შესაძლებლობა, თავად დაეცვა საკუთარი ინტერესები ან ადვოკატის მეშვეობით. ამ მიზეზებით და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქმე განიხილა სამხედრო ტრიბუნალმა, მიუხედავად იმისა, რომ ის სამოქალაქო პირი იყო, ის ამტკიცებდა, რომ განსახილველი საქმისწარმოება მე-6 მუხლის დარღვევით წარიმართა.

56. 2008 წლის 5 ივლისს იტალიამ სანქციების კომიტეტს მიმართა განმცხადებლის სიიდან ამოშლის მოთხოვნით, იმ საფუძველით, რომ მის წინააღმდეგ საქმე იტალიამ შეწყვიტა. კომიტეტმა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა 2008 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით. განმცხადებლის წერილობითი მოსაზრების თანახმად, კომიტეტმა მას არ მისცა საშუალება მისთვის თავისი წერილობითი განმარტება წარედგინა წინასწარ.

57. 2008 წლის 11 სექტემბერს ODM განმცხადებელს შვეიცარიაში შესვლისა და ქვეყანაში ორი დღით დარჩენის უფლება მიანიჭა, მაგრამ განმცხადებელს არ უსარგებლია ამ უფლებით.

58. მოგვიანებით, 2008 წლის 23 დეკემბერს ODM-მა განმცხადებელს შეატყობინა, რომ 2008 წლის 12 დეკემბერს შვეიცარიის შენგენის ზონაში შესვლას არ შეუცვლია მისი მდგომარეობა.

59. თავის წერილობით მოსაზრებაში პალატის წინაშე შვეიცარიამ განაცხადა, რომ განმცხადებლის სიაში შეყვანის შესახებ მათ ინფორმაცია მიაწოდა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და აშშ-მ 2009 წლის 7 ივლისს მიმართა სანქციების კომიტეტს რამდენიმე ადამიანის, მათ შორის განმცხადებლის სიიდან ამოღების მოთხოვნით.

60. 2009 წლის 24 აგვისტოს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით 1730 (2006) განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად განმცხადებელმა სიიდან ამოშლის თაობაზე მოთხოვნებზე საკონტაქტო პირს წარუდგინა მოთხოვნა მისი სახელის სანქციების კომიტეტის სიიდან ამოშლის თაობაზე.

61. 2009 წლის 2 სექტემბერს შვეიცარიამ სანქციების კომიტეტს გაუგზავნა განმცხადებლის ადვოკატისთვის პროკურორის

ფედერალური სამსახურის მიერ 2009 წლის 13 აგვისტოს გაგზავნილი წერილი, რომელშიც სამსახური ადასტურებდა, რომ მისი კლიენტის მიმართ წარმოებულმა გამოძიებამ ვერ გამოავლინა რაიმე მინიშნება ან მტკიცებულება იმის საჩვენებლად, რომ მას კავშირი ქონდა ოსამა ბინ ლადენთან, ალ-ქაედასთან ან თალიბანთან დაკავშირებულ ადამიანებთან ან ორგანიზაციებთან.

62. 2009 წლის 23 სექტემბერს განმცხადებლის სახელი ამოშალეს უშიშროების საბჭოს სანქციების დამდგენი რეზოლუციებზე თანდართული სიიდან. განმცხადებლის ინფორმაციის მიხედვით, რეზოლუცია 1730(2006)-ით დადგენილი პროცედურა არ იყო დაცული და მას არ მიუღია რაიმე განმარტება ამასთან დაკავშირებით. 2009 წლის 29 სექტემბერს თალიბანის განკარგულების დანართშიც შევიდა შესაბამისი ცვლილება, რომელიც ამოქმედდა 2009 წლის 2 ოქტომბერს.

63. 2010 წლის 1 მარტს მიღებული შუამდგომლობით, ეროვნული საბჭოს საგარეო პოლიტიკის კომიტეტმა (ფედერალური პარლამენტის დაბალი პალატა) ფედერალურ საბჭოს მოთხოვა გაეროს უშიშროების საბჭოსთვის შეეტყობინებინა, რომ 2010 წლის ბოლოდან ის გარკვეულ საქმეებზე აღარ გამოიყენებდა ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ რეზოლუციებით ადამიანების მიმართ დადგენილ სანქციებს. უფრო მეტიც, მან მთავრობას მოუწოდა დაედასტურებინა მისი მზაობა ეთანამშრომლა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში [შვეიცარიის] შტატების სამართლებრივი წესრიგის შესაბამისად. შუამდგომლობა 2009 წლის 12 ივლისს წარმოადგინა დიკ მარტიმ, შტატების საბჭოს (პარლამენტის მაღალი პალატა) და განმცხადებლის საქმე მაგალითად მოიყვანა.

D. სანქციების რეჟიმის გამოსასწორებლად მიღებული ზომები

64. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია არ იყო უშიშროების საბჭოს წევრი, ის 2002 წლის 10 სექტემბერს გაეროში გაწევრიანების მომენტიდან სხვა სახელმწიფოებთან ერთად აქტიურად მუშაობდა სიაში შეყვანისა და სიიდან ამოშლის პროცედურის და შესაბამის პირთა სამართლებრივი მდგომარეობის სამართლიანობის გაუმჯობესებაზე. ამიტომაც 2005 წლის ზაფხულში მან შვედეთთან და გერმანიასთან ერთად წამოიწყო ახალი ინიციატივა, რათა სანქციების პროცედურაში უზრუნველყოთ ძირითადი

უფლებების მეტი წონა. ამ ინიციატივის კვალდაკვალ 2008 წელს შვეიცარიამ დანიასთან, გერმანიასთან, ლიხტენშტეინთან, ჰოლანდიასთან და შვედეთთან ერთად უშიშროების საბჭოს წარუდგინა კონკრეტული წინადადება დამოუკიდებელ ექსპერტთა საკონსულტაციო პანელის შექმნის შესახებ, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა სანქციების კომიტეტისთვის სიიდან ამოშლის შესახებ შეთავაზების წარდგენაზე. უფრო მეტიც, 2009 წლის შემოდგომაზე შვეიცარიამ თავის პარტნიორებთან ერთად აქტიურად იმუშავა ალ-ქაედას და თალიბანის წინააღმდეგ სანქციების რეჟიმის განახლების რეზოლუციის ამ საჭიროებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამასობაში შვეიცარიამ მხარი დაუჭირა 2009 წლის ოქტომბერში ანგარიშის გამოქვეყნებას, რომელიც თავაზობდა საკონსულტაციო გადახედვის მექანიზმის ალტერნატივას, ომბუცმენის ინსტიტუტის შემოღებას. 2009 წლის 17 დეკემბერს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1904 (2009) ომბუცმენის ოფისის შეიქმნის შესახებ. ომბუცმენი მიიღებდა საჩივრებს გაეროს უშიშროების საბჭოს ანტიტერორისტული სანქციებით დაზარალებულ პირთაგან (იხილეთ 78-ე პარაგრაფი ქვევით). და ბოლოს, შვეიცარიამ გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის წინაშე მრავალჯერ მოითხოვა იმ პირთა პროცედურული უფლებების გაუმჯობესება, ვისაც სანქციები შეეხო.

II. შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა

A. ეროვნული კანონმდებლობა

1. ფედერალური კონსტიტუცია

65. ფედერალური კონსტიტუციის 190-ე მუხლი (მოქმედი კანონმდებლობა) ადგენს შემდეგს:

“ ფედერალურ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს ევალება ფედერალური კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის შეფარდება.“

2. 2000 წლის 2 ოქტომბრის განკარგულება, რომელიც ადგენს ღონისძიებებს ოსამა ბინ ლადენტან, „ალ-ქაედას“ ჯგუფებისა და თალიბანთან დაკავშირებულ პირთა და იურიდიულ პირთა წინააღმდეგ (თალიბანის განკარგულება)

66. 2000 წლის 2 ოქტომბრის განკარგულება, რომელიც ადგენს ზომებს ოსამა ბინ ლადენტან, „ალ-ქაედას“ ჯგუფთან ან თალიბანთან დაკავშირებული პირებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რამდენიმეჯერ შეიცვალა. შესაბამისი დებულებები ასე იკითხება, იმ დროისთვის როდესაც საქმე განიხილებოდა, კერძოდ კი იმ მომენტისთვის, როდესაც ფედერალურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება (2007 წლის 14 ნოემბერი):

მუხლი 1 - სამხედრო აღჭურვილობისა და მსგავსი საქონლის მიწოდებაზე აკრძალვა

“1. აკრძალულია ნებისმიერი სახის სამხედრო აღჭურვილობის, მათ შორის იარაღისა და საბრძოლო მასალების, სამხედრო მანქანებისა და მოწყობილობის, პარა-მილიტარისტული მოწყობილობის და მათი ნაწილების ან აქსესუარების მიწოდება, მიყიდვა ან შუამავლობა იმ პირებისთვის, კომპანიებისთვის, ჯგუფების ან იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ჩამოთვლილია მე-2 დანართში.

...

3. აკრძალულია სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტაციის, დახმარების და წვრთნის მიწოდება, მიყიდვა ან შუამავლობა იმ პირებისთვის, კომპანიებისთვის, ჯგუფებისა ან იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ჩამოთვლილია მე-2 დანართში.

4. ამ მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილები მოქმედებს მხოლოდ იმ ფარგლებში რა ფარგლებშიც არ ვრცელდება 1996 წლის 13 დეკემბრის საკუთრების რეგულაცია, 1996 წლის 13 დეკემბრის ფედერალური აქტი საბრძოლო მასალებზე და მათი აღმასრულებელი განკარგულებები.

...”

მუხლი 3 - ქონებისა და ეკონომიკური რესურსების დაყადაღება/კონტროლი

“1. მე-2 დანართში ჩამოთვლილი პირების, კომპანიების, ჯგუფებისა ან იურიდიული პირების საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ არსებული ქონება და ეკონომიკური რესურსები უნდა დაყადაღდეს.

2. იკრძალება მე-2 დანართში ჩამოთვლილი პირებისთვის, კომპანიებისთვის, ჯგუფებისა და იურიდიული პირებისთვის სახსრების მიწოდება ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ ქონების ან ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობის შექმნა.

3. ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო მდივანი (SECO) უფლებამოსილია დემოკრატიზაციის ან ჰუმანიზაციის პროექტებისთვის გამიზნულ გადახდებზე და უშვას გამონაკლისი ამ მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან.

4. SECO საგარეო საქმეთა ფედერალურ დეპარტამენტთან და ფინანსთა ფედერალურ დეპარტამენტთან კონსულტაციის საფუძველზე უფლებამოსილია გასცეს ნებართვა დაყადაღებული ანგარიშებიდან გადახდაზე, დაყადაღებული კაპიტალის გადარიცხვაზე და დაყადაღებული ეკონომიკური რესურსების გათავისუფლებაზე შვეიცარიის ინტერესების დასაცავად ან რთული საქმეების თავიდან ასაცილებლად.“

მუხლი 4 - სავალდებულო დეკლარირება

“1. ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს ან მართავს 3.1 მუხლით გათვალისწინებულ დაყადაღებას დაქვემდებარებულ ქონებას, დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს მისი დეკლარირება SECO-ს წინაშე.

2. ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია, რომლისთვისაც ცნობილია 3.1 მუხლის საფუძველზე დაყადაღებას დაქვემდებარებული ეკონომიკური რესურსების შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს SECO-ს.

3. დეკლარაციაში მითითებული უნდა იყოს ბენეფიციარის სახელი, დაყადაღებული ქონების ან ეკონომიკური რესურსის მიზანი და ოდენობა.“

მუხლი 4ა - შვეიცარიაში შესვლა და ტრანზიტი

“1. შვეიცარიაში შესვლა და ტრანზიტი ეკრძალებათ მე-2 დანართში ჩამოთვლილ პირებს.

2. მიგრაციის ფედერალური სამსახური გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში ან შვეიცარიის ინტერესების დასაცავად უფლებამოსილია დაუშვას გამონაკლისი.“

B. საერთაშორისო კანონმდებლობა

1 გაეროს წესდება

67. გაეროს წესდებას ხელი მოეწერა 1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოში. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებული ნორმები შემდეგია:

პრეამბულა

„ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხებმა,

მტკიცედ გადაწყვიტეთ თავიდან ავაცილოთ მომავალ თაობებს ომის საშინელი შედეგები, რომლებმაც ჩვენი სიცოცხლის მანძილზე ორჯერ მოუტანა კაცობრიობას ენით აღწერელი მწუხარება და

კვლავ დავამკვიდროთ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისა, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ფასეულობისა, მამაკაცთა და ქაღალთა თანასწორობისა და დიდი და პატარა ერების თანაბარი უფლებებისა და

შევექმნათ პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის სამართლიანობიდან და საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებიდან გამომდინარე ვალდებულებებისადმი პატივისცემის დაცვას და

ხელი შევუწყოთ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი თავისუფლების პირობებში

და ამ მიზნით

გამოვიჩინოთ შემწყნარებლობა და ერთად, ერთმანეთთან მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად ვიცხოვროთ და

გავაძლიეროთ ჩვენი ერთობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად და

უზრუნველყოთ პრინციპების მიღებითა და მეთოდების დადგენით, რათა შეიარაღებული ძალები გამოიყენებოდეს მხოლოდ საერთო ინტერესებისათვის და

გამოვიყენოთ საერთაშორისო აპარატი ყველა ხალხების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობისათვის,

გადაწყვიტეთ გავაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა ამ მიზნების მისაღწევად,

თანახმად ამისა ჩვენი შესაბამისი მთავრობები სან-ფრანცისკოში შეკრებილი წარმომადგენლების საშუალებით, რომელთა მიერ წარმოდგენილი უფლებები სათანადო ფორმისაა, შეთანხმდნენ მიეღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინამდებარე წესდება და ამით დააფუძნონ საერთაშორისო ორგანიზაცია „გაერთიანებული ერების“ სახელწოდებით.“

მუხლი 1

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიზნად ისახავს:

1. ხელი შეუწყოს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და ამ მიზნით ეფექტური კოლექტიური ზომები მიიღოს მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად, აგრესიის აქტების ან მშვიდობის სხვა დარღვევების ჩასახშობად და სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად მშვიდობიანი საშუალებებით მოახდინოს საერთაშორისო დავების ან ისეთი სიტუაციების მოგვარება ან გადაწყვეტა, რომლებსაც შესაძლოა მშვიდობის დარღვევა მოჰყვეს;

...

3. განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების მოსაგვარებლად და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართ პატივისცემის წასახალისებლად და გასავითარებლად ყველასათვის რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად, და

...”

მუხლი 24

„1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწრაფ და ეფექტურ ქმედებათა უზრუნველსაყოფად მისი წევრები აკისრებენ უშიშროების საბჭოს ძირითად პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდასაჭერად და თანხმდებიან იმაზე, რომ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მისი ვალდებულებების შესრულებისას უშიშროების საბჭო მათი სახელით მოქმედებს.

2. ამ ვალდებულებათა შესრულებისას უშიშროების საბჭო მოქმედებს გაერთიანებული ერების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ამ ვალდებულებათა შესასრულებლად უშიშროების საბჭოსათვის მინიჭებული გარკვეული უფლებამოსილებანი ჩამოთვლილია VI, VII, VIII და XII თავებში.

...”

მუხლი 25

„ორგანიზაციის წევრები თანხმდებიან, წინამდებარე წესდების შესაბამისად, დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი.“

68. წესდების VII თავის სახელწოდებაა „მოქმედებანი მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტებთან მიმართებით“. მუხლი 39 შემდეგი შინაარსის არის:

„უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისათვის ნებისმიერი საფრთხის, მშვიდობის ნებისმიერი დარღვევის ან აგრესიის აქტის არსებობას და წყვეტს, თუ როგორი ზომები უნდა იქნეს მიღებული 41-ე და 42-ე მუხლების შესაბამისად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდასაჭერად.“

69. XVI თავის სათაურია „დამატებითი დებულებები“. 103-ე მუხლი შედეგი შინაარსის არის:

„იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციის წევრების ვალდებულებანი წინამდებარე წესდების თანახმად წინააღმდეგობაში მოდის მათ ვალდებულებებთან სხვა რომელიმე საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, უპირატესი ძალა აქვთ წინამდებარე წესდებაში აღნიშნულ ვალდებულებებს.“

2. უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ალ-ქაედასა და თალიბანის წინააღმდეგ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც წინამდებარე საქმესთან მიმართებით რელევანტურია

70. რეზოლუცია 1267 (1999) მიღებულ იქნა 1999 წლის 15 ოქტომბერს. რეზოლუციით შეიქმნა სანქციების კომიტეტი, რომელიც უშიშროების საბჭოს ყველა წევრისგან შედგებოდა. ამ კომიტეტს დაევალა სახელმწიფოებისგან მოეთხოვა მუდმივად ინფორმაციის მიწოდება რეზოლუციის საფუძველზე ღონისძიებების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომების შესახებ, კერძოდ კი თალიბანთან დაკავშირებული საჰაერო ხომალდებისთვის მათ ტერიტორიაზე დაშვებისა და აფრენის ნებართვის არ მიცემის შესახებ, თუ სანქციების კომიტეტი არ დაამტკიცებდა ფრენას ჰუმანიტარული მიზნებით და თალიბანის სახსრების და სხვა ფინანსური რესურსების დაყადაღებასთან დაკავშირებით. ამ რეზოლუციის ამონარიდები, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე საქმესთან შემდეგნაირად იკითხება:

რეზოლუცია 1267 (1999)

მიღებულია 1999 წლის 15 ოქტომბერს უშიშროების საბჭოს 4051-ე სხდომაზე

“უშიშროების საბჭო,

ადასტურებს რა თავის წინა რეზოლუციებს, კერძოდ კი 1998 წლის 13 აგვისტოს რეზოლუციას 1189 (1998), 1998 წლის 28 აგვისტოს რეზოლუციას 1193 (1998) და 1998 წლის 8 დეკემბრის რეზოლუციას 1214 (1998) და პრეზიდენტის განცხადებებს ავღანეთში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით,

ადასტურებს რა, ავღანეთის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული მთლიანობის მიმართ ძლიერ მხარდაჭერას და ავღანეთის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობისადმი პატივისცემას,

კვლავ გამოხატავს ღრმა შეშფოთებას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების მუდმივ დარღვევასთან დაკავშირებით, კერძოდ კი ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციასთან და ოპიუმის უკანონო წარმოების მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის გენერალური კონსულის დაპატიმრება თალიბანის მიერ და ირანის დიპლომატთა და ჟურნალისტ მაზარ-ე-შარიფის მკვლელობა წარმოადგენდა დამკვიდრებული საერთაშორისო სამართლის საშინელ დარღვევას,

მიუთითებს საერთაშორისო ანტიტერორისტულ კონვენციებზე და კერძოდ კი ამ კონვენციების მონაწილე მხარეების ვალდებულებებზე, აღმოფხვრან ან სამართლებრივი დევნა აწარმოონ ტერორიზმის წინააღმდეგ,

მკაცრად გმოხს რა ავღანეთის ტერიტორიის გამოყენებას, განსაკუთრებით კი თალიბანის მიერ კონტროლირებად ნაწილს, ტერორისტების თავშესაფრად და საწვრთნელად და ტერორისტული აქტების დასაგეგმად, და *კვლავ ადასტურებს* თავის რწმენას, რომ საერთაშორისო ტერორიზმის დაძლევა არსებითია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად,

წუხს იმაზე, რომ თალიბანი განაგრძობს უსამა ბინ ლადენის უსაფრთხო სამოთხით უზრუნველყოფას და შესაძლებლობებს უქმნის მას და მასთან ასოცირებულ სხვა პირებს თალიბანის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ამუშაონ ტერორისტთა საწვრთნელი ბანაკების ქსელი და გამოიყენონ ავღანეთი საერთაშორისო ტერორიზმის ოპერაციების სპონსორობის ბაზად,

ითვალისწინებს რა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ უსამა ბინ ლადენისა და მასთა დაკავშირებული პირების ბრალდებას 1998 წლის 7 აგვისტოს ნაირობში, კენიაში და დარ ეს სალაამში, ტანზანიაში შეერთებული შტატების საელჩოების დაბომბვისთვის და შეერთებული შტატების გარეთ ამერიკის მოქალაქეების მკვლელობის შესახებ შეთქმულებისთვის და ითვალისწინებს რა ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნას თალიბანის მიმართ, დანებდნენ სასამართლო პროცესისთვის (S/1999/1021),

დარწმუნებულია რა რომ თალიბანის ავტორიტეტების მიერ რეზოლუციის 1214 (1998) მე-13 პარაგრაფში მითითებული მოთხოვნების შეუსრულებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს,

მიუთითებს რა თავის მოწოდებაზე, უზრუნველყოს თავისი რეზოლუციების პატივისცემა,

მოქმედებს რა გაეროს წესდების VII თავზე დაყრდნობით,

...

3. *ადგენს*, რომ 1999 წლის 14 ნოემბერს ყველა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქვემოთ მე-4 პარაგრაფში მითითებული ღონისძიებების ამოქმედება, გარდა იმ შემთხვევისა თუ საბჭო წინასწარ გენერალური მდივნის ანგარიშზე დაყრდნობით დაადგენს, რომ თალიბანმა სრულად შეასრულა მე-2 პარაგრაფში მითითებული მოვალეობები;

4. *ასევე ადგენს*, რომ მე-2 პარაგრაფის აღსასრულებლად ყველა სახელმწიფომ:

(a) უარი უნდა უთხრას მისი ტერიტორიიდან აფრენაზე ან დაშვებაზე ნებისმიერ საჰაერო ხომალდს, რომელიც ლიზინგით აღებული აქვს ან იმართება თალიბანის მიერ, როგორც ამას კომიტეტი ადგენს მე-6 პარაგრაფში დაბლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული ფრენა დამტკიცებულია კომიტეტის მიერ ჰუმანიტარული საჭიროების საფუძველებით, მათ შორის რელიგიური ვალდებულებისთვის, როგორც არის ჰაჯის აღსრულება;

(b) უნდა დააყადაღოს ფულადი სახსრები და სხვა ფინანსური რესურსები, მათ შორის სახსრები რომლებიც წარმოიშობა ან იწარმოება თალიბანის საკუთრებაში ან პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ არსებული საკუთრებიდან, როგორც ამას კომიტეტი განსაზღვრავს მე-6 პარაგრაფში და უნდა უზრუნველყოს არც ეს რესურსი, არც სხვა რაიმე ამგვარი სახსრები ან ფინანსური რესურსები არ არის ხელმისაწვდომი, მათი მოქალაქეებისთვის ან სხვა ნებისმიერი პირისთვის მათ ტერიტორიაზე, თალიბანისთვის ან თალიბანის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ საკუთრებაში არსებულ ან კონტროლირებადი კომპანიისთვის, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც

არსებობს კომიტეტის ინდივიდუალური ნებართვა, ჰუმანიტარული საჭიროებიდან გამომდინარე;

5. *მოუწოდებს* ყველა სახელმწიფოს ითანამშრომლონ იმ ღონისძიებებთან მიმართებით, რომელიც ტარდება მე-2 პარაგრაფის მოთხოვნათა შესასრულებლად და განახორციელონ სხვა ღონისძიებები უსამა ბინ ლადენისა და მასთან დაკავშირებულების წინააღმდეგ;

6. *წყვეტს* თავისი დროებითი პროცედურული წესების 28-ე მუხლის შესაბამისად შექმნას უშიშროების საბჭოს კომიტეტი, რომელიც შედგება საბჭოს ყველა წევრისგან, შემდეგი ამოცანების შესასრულებლად და საბჭოსთვის თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშის წარსადგენად, თავისი მოსაზრებებით და რეკომენდაციებით:

...

7. *მოუწოდებს* ყველა სახელმწიფოს მკაცრად დაიცვან ამ რეზოლუციის მოთხოვნები, მიუხედავად ნებისმიერი უფლების ან ვალდებულების არსებობისა, რომლებიც მომდინარეობს ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმებიდან ან ხელშეკრულებიდან, ან ლიცენზიის ან ნებართვის თანახმად, რომელიც გაიცა ზემოთ მითითებული მე-4 პარაგრაფით დადგენილი ღონისძიებების ძალაში შესვლამდე;

8. *მოუწოდებს* სახელმწიფოებს საქმისწარმოება აწარმოონ თავიანთ იურისდიქციაში მყოფი იმ პირებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ მე-4 პარაგრაფით განსაზღვრულ ღონისძიებებს და დააკისრონ მათ შესაბამისი სასჯელები;

9. *მოუწოდებს* ყველა სახელმწიფოს მათი ამოცანების შესრულებისას სრულად ითანამშრომლონ მე-6 პარაგრაფის საფუძველზე შექმნილ კომიტეტთან, მათ შორის მიაწოდონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც კომიტეტმა შეიძლება მოითხოვოს ამ რეზოლუციის თანახმად;

10. *მოითხოვს* ყველა სახელმწიფოსგან ანგარიში წარუდგინონ კომიტეტს მე-6 პარაგრაფის შესაბამისად, მე-4 პარაგრაფით დადგენილი ღონისძიებების ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში, მათ მიერ მე-4 პარაგრაფის შესასრულებლად მიღებული ზომების შესახებ;

...”

71. 2000 წლის 19 დეკემბერს მიღებული რეზოლუცია 1333 (2000)-ით უშიშროების საბჭომ რეზოლუცია 1267 (1999)-ით დადგენილი სანქციების მოქმედება გაავრცელა ნებისმიერ პირზე ან იურიდიულ პირზე, რომლებიც სანქციების კომიტეტმა მიიჩნია ალ-ქაედასთან ან ოსამა ბინ ლადენთან დაკავშირებულად. რეზოლუციით ასევე მოთხოვნილი იყო სია, რომელიც უნდა

წარმოებულობა გაეროს სანქციების შესასრულებლად.
წინამდებარე საქმესთან დაკავშირებული ამონარიდები შემდეგია:

რეზოლუცია 1333 (2000)

“... უშიშროების საბჭო ...

კვლავ ადასტურებს რა მის ადრეულ რეზოლუციებს, კერძოდ კი 1999 წლის 15 ოქტომბრის რეზოლუციას 1267(1999) და ავღანეთში არსებულ მდგომარეობაზე მისი პრეზიდენტის განცხადებას.

კვლავ ადასტურებს რა ძლიერ მხარდაჭერას ავღანეთის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ერთობის მიმართ და პატივისცემას ავღანეთის კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ,

აღიარებს რა ავღანელი ხალხის მწვავე ჰუმანიტარულ საჭიროებებს,

...

8. ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შემდეგი ზომები:

(a) დაუყოვნებლივ და სრულად დახურონ თალიბანის ოფისები მათი ქვეყნების ტერიტორიაზე;

(b) დაუყოვნებლივ დახურონ „არიანა ავღანეთის ავიახაზების“ ყველა ოფისი მათ ტერიტორიაზე;

(c) გადაუდებლად დააყადაღონ უსამა ბინ ლადენისა და მასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე ალ-ქაედას ორგანიზაციის ფულადი სახსრები და სხვა ფინანსური რესურსები, როგორც კომიტეტი განსაზღვრავს, მათ შორის ფულადი სახსრები, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა უსამა ბინ ლადენისა და მასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ არსებული ქონებიდან, და უზრუნველყონ, რომ არც ეს და არც მათი მოქალაქეების ან მათ ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი სხვა პირის ფულადი სახსრები ან ფინანსური რესურსი პირდაპირ ან არაპირდაპირ არ არის ხელმისაწვდომი უსამა ბინ ლადენის, მასთან დაკავშირებულების, ან უსამა ბინ ლადენის ან მასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირების, მათ შორის ალ-ქაედას ორგანიზაციის საკუთრებაში ან პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ, და მოითხოვს კომიტეტისგან, სახელმწიფოების და რეგიონული ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აწარმოოს იმ ადამიანებისა და იურიდიული პირების განახლებული სია, რომლებიც დასახელებული არიან როგორც უსამა ბინ ლადენთან და ასევე ალ-ქაედას ორგანიზაციასთან დაკავშირებულად;

...

12. ასევე ადგენს, რომ კომიტეტმა უნდა აწარმოოს იმ ორგანიზაციების და სახელმწიფო დახმარების სააგენტოების სია, რომლებიც ჰუმანიტარულ დახმარებას ეწევიან ავღანეთში, მათ შორის გაეროს და მისი სააგენტოების, სახელმწიფო დახმარების სააგენტოების, რომლებიც ჰუმანიტარულ დახმარებას ეწევიან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების, რათა მე-11 პარაგრაფით დადგენილი აკრძალვები არ გავრცელდეს ჰუმანიტარულ ფრენებზე, რომლებსაც აწარმოებენ კომიტეტის მიერ დამტკიცებულ სიაში მითითებული ორგანიზაციების და სახელმწიფო დახმარების სააგენტოები. კომიტეტმა მუდმივად უნდა განახლოს ეს სია, დაამატოს ახალი ორგანიზაციები და სახელმწიფო დახმარების სააგენტოები შესაბამისად და კომიტეტმა სიიდან უნდა ამოშალოს ორგანიზაციები და სახელმწიფო სააგენტოები, თუკი გადაწყვეტს, რომ ისინი მოქმედებენ ან სავარაუდოდ ფრენებს ახორციელებენ არა ჰუმანიტარული, არამედ სხვა მიზნებით, და დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ასეთ ორგანიზაციებს და სახელმწიფო სააგენტოებს რომ მათ მიერ ან მათი სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ფრენაზე გავრცელდება ზემოთ მითითებული მე-11 პარაგრაფი;

...

16. მოითხოვს კომიტეტისგან, თავისი მანდატი რეზოლუციაში 1267 (1999) მითითებული ამოცანების გარდა შემდეგი დამატებითი ამოცანების განხორციელებით შეასრულოს:

(a) სახელმწიფოების, რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შექმნას და აწარმოოს განახლებული სიები, თალიბანის კონტროლის ქვეშ ავღანეთის ტერიტორიაზე საჰაერო ხომალდებისთვის შესვლისა და დაშვების ტერიტორიებზე და შეატყობინოს წევრ ქვეყნებს ასეთი სიების შინაარსი;

(b) სახელმწიფოების, რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შექმნას და აწარმოოს განახლებული სიები, იმ ფიზიკური პირებისა და იურიდიული პირების შესახებ, რომლებიც სახელდებიან როგორც უსამა ბინ ლადენტან დაკავშირებულები 8.ე პარაგრაფის შესაბამისად;

(c) განიხილოს და გადაწყვიტოს მე-6 და მე-11 პარაგრაფებში განსაზღვრულ გამონაკლისებთან დაკავშირებული მოთხოვნები;

(d) ამ რეზოლუციის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა შექმნას და აწარმოოს იმ ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დახმარების სააგენტოების სია, რომლებიც ჰუმანიტარულ დახმარებას აწვდიან ავღანეთს მე-12 პარაგრაფის შესაბამისად;

...

17. მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს და ყველა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციას, მათ შორის გაეროს და მის სპეციალიზებულ სააგენტოებს, იმოქმედონ მკაცრად ამ რეზოლუციის დებულებების შესაბამისად, მიუხედავად უფლებებისა და ვალდებულებების არსებობისა, რომლებიც მომდინარეობს ან წარმოიშობა რაიმე საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების, ან რაიმე ლიცენზიის ან ნებართვის საფუძველზე, რომლებიც გაიცა მე-5, მე-8, მე-10 და მე-11 პარაგრაფებით გათვალისწინებული ღონისძიებების ძალაში შესვლამდე;...”

72. რეზოლუციაში 1363 (2001), რომელიც 2001 წლის 30 ივლისს მიიღეს, უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა შეექმნა რეზოლუციებით 1267 (1999) და 1333 (2000) დადგენილი ღონისძიებების მონიტორინგის მექანიზმი (მონიტორინგის ჯგუფი), რომელიც შედგებოდა თანაბარი გეოგრაფიული განაწილების პრინციპზე დაყრდნობით შერჩეული ექსპერტებისგან.

73. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ 2001 წლის 28 სექტემბერს მიღებულ რეზოლუციაში 1373 (2001) უშიშროების საბჭომ დაადგინა, რომ სახელმწიფოებმა სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგან საერთაშორისო ტერორიზმის დასამარცხებლად და ამასთან მიმართებით საზღვრის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად. ამასთან მიმართებით ამონარიდები არის შემდეგი:

რეზოლუცია 1373 (2001)

“... უშიშროების საბჭო ...

1. ადგენს, რომ ყველა სახელმწიფომ:

(a) უნდა მოახდინოს ტერორისტული აქტების დაფინანსების პრევენცია და აკრძალვა;

(b) მოახდინონ მათი მოქალაქეების მიერ ან მათ ტერიტორიაზე ნებისმიერი საშუალებით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ტერორისტული აქტების განსახორციელებლად გამოსაყენებელი ან სავარაუდოდ გამოსაყენებელი თანხების ნებაყოფლობით გაცემის ან შეკრების კრიმინალიზაცია;

(c) გადაუდებლად დააყადაღონ იმ პირების სახსრები და სხვა ფინანსური ან ეკონომიკური რესურსი, რომელიც ჩაიდენს ან ცადა ჩაედინა ტერორისტული აქტი, ან მონაწილეობდა ან ხელმძღვანელობდა ტერორისტული აქტის ჩადენას; იმ იურიდიული პირების [სახსრები], რომელთაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ ან აკონტროლებენ ასეთი პირები; და იმ ფიზიკური პირების და იურიდიული პირების [სახსრები], რომლებიც მოქმედებენ ასეთი პირების სახელით ან მათი მითითებით, მათ

შორის ფულადი სახსრები, რომლებიც წარმოიშობა ასეთი პირების და მათთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში ან პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ არსებული ქონებიდან;

(d) აუკრძალონ მათ მოქალაქეებს ან მათ ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს ნებისმიერი ისეთი ფულადი სახსრების, ფინანსური და ეკონომიკური რესურსების წარმოება, საფინანსო ან მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელმისაწვდომი იქნება იმ პირების სასარგებლოდ, რომლებიც ჩადიან ან ცდილობენ ჩაიდინონ, ან ხელმძღვანელობენ ან მონაწილეობენ ტერორისტული აქტების ჩადენაში, იმ იურიდიული პირებისთვის - რომლებიც ასეთი პირების ან ამ პირების სახელით ან მათი მითითებით მოქმედი იურიდიული პირების საკუთრებაში ან არაპირდაპირ ან პირდაპირი კონტროლის ქვეშ არსებობენ;

2. ასევე წყვეტს, რომ ყველა სახელმწიფომ:

(a) თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერ ფორმით, აქტიური თუ პასიური დახმარების გაწევისგან იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ჩაბმული არიან ტერორისტულ აქტებში, მათ შორის ტერორისტული დაჯგუფებების წევრების დაქირავების აკრძალვით და ტერორისტებისთვის იარაღის მიწოდების აღმოფხვრით;

(b) უნდა გაატარონ აუცილებელი ზომები ტერორისტული აქტების ჩადენის პრევენციისთვის, მათ შორის სხვა ქვეყნებისთვის ინფორმაციის მიწოდებით ადრეული გაფრთხილებით;

(c) არ უნდა შეუქმნას ან უარი უნდა განუცხადოს იმ პირებს უსაფრთხო სამოთხის უზრუნველყოფაზე, ვინც აფინანსებს, გეგმავს, ეხმარება ან ჩადის ტერორისტულ აქტებს;

(d) თავიდან უნდა აიცილონ [სახელმწიფოთა] მიერ სხვა სახელმწიფოების და საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ საკუთარი ტერიტორიის სარგებლობისთვის დათმობა პირებისთვის, რომლებიც აფინანსებენ, გეგმვენ, ხელმძღვანელობენ ან ჩადიან ტერორისტულ აქტებს,

(e) უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილეობს ტერორისტული აქტების დაფინანსებაში, დაგეგმვაში, მომზადებასა ან განხორციელებაში ან მხარს უჭერს ტერორისტულ აქტებს, წარსდგება მართლმსაჯულების წინაშე და უზრუნველყონ, რომ მათ წინააღმდეგ ნებისმიერი სხვა ზომასთან ერთად ასეთი ტერორისტული აქტები ეროვნული კანონმდებლობით მიიჩნევა მძიმე დანაშაულებად და მათთვის შეფარდებული სასჯელი შესაბამისად ასახავს ასეთი ტერორისტული აქტების სერიოზულობას; ...

3. მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს:

...

(f) ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, მათ შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დებულებებზე დაყრდნობით მიიღონ სათანადო ზომები, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე, იმაში დასარწმუნებლად, რომ თავშესაფრის მაძიებელმა არ დაგეგმა, არ ხელმძღვანელობდა ან არ მონაწილეობდა ტერორისტული აქტების ჩადენაში; ...“

74. 2002 წლის 16 იანვრის რეზოლუციაში 1390 (2002) უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვის დადგენა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელთაც საერთაშორისო სანქციები შეეხო. ამ რეზოლუციამ სანქციების რეჟიმი უფრო ზუსტი და გამჭვირვალე გახადა, რადგანაც სანქციების კომიტეტს დაევალა იმ პირების სიის მუდმივი განახლება, ვისაც სანქციები შეეხო, ამგვარი ინსტრუქციებისა და კრიტერიუმების დაუყოვნებელი გამოქვეყნება, რადგანაც ეს შესაძლოა აუცილებელი იყოს სანქციების იმპლემენტაციის წარსამართად, და ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ის მიიჩნევდა შესაბამისად, მათ შორის შესაბამის პირთა სია, გაეხადა საჯარო. ამ საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შემდეგი ამონარიდები:

რეზოლუცია 1390 (2002)

“... უშიშროების საბჭო ...

2. წყვეტს, რომ ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს შემდეგი ზომები უსამა ბინ ლადენტან, ალ-ქაედას ორგანიზაციის და თალიბანის წევრებთან და სხვა ადამიანებთან, ჯგუფებთან, კომპანიებთან და იურიდიულ პირებთან მიმართებით, რომლებიც მათთან არიან დაკავშირებული, რომლებიც მითითებულია რეზოლუციების 1267 (1999) და 1333 (2000) თანახმად და რომლებსაც რეგულარულად განახლებს რეზოლუცია 1267 (1999)-ის საფუძველზე შექმნილი კომიტეტი, შემდეგში მოხსენიებული როგორც ‘კომიტეტი’;

(a) დაუყოვნებლივ დააყადაღონ ამ ადამიანების, ჯგუფების, კომპანიებისა და იურიდიული პირების ფულადი სახსრები და სხვა ფინანსური და ეკონომიკური რესურსები, მათ შორის სახსრები რომლებიც მომდინარეობს ქონებიდან, რომელიც საკუთრებაში აქვთ ან პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ ეს პირები ან პირები, რომლებიც მოქმედებენ მათი სახელით ან მათი მითითებებით და უზრუნველყოფენ, რომ არც ეს და არც რაიმე სხვა სახსრები, ფინანსური ან ეკონომიკური რესურსებია პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელმისაწვდომი ამგვარი პირების

სასარგებლოდ, მათი მოქალაქეების ან მათ ტერიტორიაზე მყოფი პირების მეშვეობით;

(b) თავიდან აიცილონ ამ ადამიანების მათ ტერიტორიაზე შესვლა ან ტრანზიტი, იმ პირობით, რომ ამ პარაგრაფში მითითებულიდან არაფერი დაავალდებულებს სახელმწიფოს, საკუთარ მოქალაქეებს უარი უთხრან ტერიტორიაზე შესვლაზე ან ტრანზიტზე და ეს პარაგრაფი არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როდესაც შესვლა და ტრანზიტი აუცილებელია მართლმსაჯულების პროცედურის შესასრულებლად ან თუ კომიტეტი კონკრეტულ საქმეზე განსაზღვრავს, რომ შესვლა ან ტრანზიტი გამართლებულია;

(c) თავიდან აიცილონ თავიანთ ტერიტორიაზე მყოფი ამ ადამიანებისთვის, ჯგუფებისთვის, კომპანიებისთვის და იურიდიული პირებისთვის ან მათ ტერიტორიებს გარეთ მათივე მოქალაქეების მიერ, ან მათი ალმის ქვეშ მცურავი ხომალდების ან საჰაერო ხომალდების გამოყენება, იარაღის და მასთან დაკავშირებული ყველა ტიპის მასალის, მათ შორის იარაღის და საბრძოლო მასალების, სამხედრო მანქანების და აღჭურვილობის, აღნიშნული ტექნიკის ნაწილების და ტექნიკური კონსულტაციის, დახმარების, ან სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებული სწავლების პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდება, გაყიდვა ან გადაცემა.

...

8. *მოუწოდებს* ყველა სახელმწიფოს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები რათა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საშუალებებით მიიღონ და გააძლიერონ ეროვნული კანონმდებლობითა და რეგულაციებით გათვალისწინებული ღონისძიებები მათი მოქალაქეების და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც მათ ტერიტორიაზე მოქმედებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული და დაისაჯოს ამ რეზოლუციის მე-2 პარაგრაფში მითითებული ზომების დარღვევა და კომიტეტს შეატყობინონ ამ ზომების მიღების შესახებ; *იწვევს* სახელმწიფოებს ამასთან დაკავშირებული გამოძიების ან აღსრულების მოქმედებათა შესახებ შეატყობინოს კომიტეტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი მოქმედება საფრთხეს შეუქმნის გამოძიებას ან სააღსრულებო მოქმედებებს;...”

75. 2004 წლის 30 იანვარს მიღებული რეზოლუციით 1526 (2004) საბჭომ ქვეყნებს კომიტეტის სიაში ახალი სახელების დამატებასთან დაკავშირებით მოთხოვა ინფორმაციის მიწოდება ამ ადამიანებისა და იურიდიული პირების იდენტიფიკაციის პროცესის მხარდასაჭერად. მან ასევე აშკარად მოუწოდა სახელმწიფოებს შესაძლებლობისამებრ ინფორმაცია მიაწოდონ კომიტეტის სიაში მითითებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მათ წინააღმდეგ მიღებული ზომების შესახებ, კომიტეტის

სახელმძღვანელოსა და რეზოლუცია 1452 (2002)-ის თანახმად გარკვეული სანქციებიდან გამონაკლისის შესაძლებლობის შესახებ.

76. სანქციების რეჟიმის კრიტიკის ტალღის პასუხად უშიშროების საბჭომ მიიღო ბევრად დეტალური რეზოლუცია, რითაც გაზარდა პროცედურული გარანტიები. ამასთან მიმართებით, რეზოლუცია 1730 (2006) ადგენდა ამჟამინდელ პროცედურას „საკონტაქტო პირის“ შექმნით, სანქციების კომიტეტის სიებში აღნუსხული ფიზიკური და იურიდიული პირების სიიდან ამოშლის მოთხოვნების განსახილველად. ამ რეზოლუციის თანახმად საკონტაქტო პირი პასუხისმგებელი იყო ასეთი მოთხოვნების გადაგზავნაზე დამსახელებელი სახელმწიფო(ები)სთვის და მოქალაქეობისა და ცხოვრების ადგილის მიხედვით სახელმწიფო(ები)სთვის. ამას უნდა მოყოლოდა კონსულტაციები შესაბამის სახელმწიფოებთან, საკონტაქტო პირების, როგორც შუამავლების მონაწილეობით. თუ ერთერთი ასეთი სახელმწიფო რეკომენდაციას გასცემდა, სიიდან ამოშლის მოთხოვნა უნდა ასახულიყო სანქციების კომიტეტის დღის წესრიგში, რომელიც თავისი თხუთმეტი წევრის კონსენსუსის საფუძველზე მიიღებდა გადაწყვეტილებას.

77. რეზოლუციით 1735 (2006) დადგინდა სიაში მოცემული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის შეტყობინების გაგზავნის პროცედურა. აქვე დადგინდა სიიდან ამოშლის კრიტერიუმი:

“14. კომიტეტმა, იმის განსაზღვრისას ამოშალოს თუ არა სახელი კონსოლიდირებული სიიდან, სხვა საკითხებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: (i) ფიზიკური ან იურიდიული პირი ხომ არ აღმოჩნდა კონსოლიდირებულ სიაში მისი იდენტიფიცირებისას დაშვებული შეცდომის გამო, ან (ii) იქნებ ფიზიკური ან იურიდიული პირი აღარ აკმაყოფილებს შესაბამის რეზოლუციაში, კერძოდ კი რეზოლუცია 1617 (2005)-ში მოცემულ კრიტერიუმებს; ფაქტორი (ii)-ის შეფასებისას კომიტეტმა შესაძლოა სხვა საკითხებთან ერთად გაითვალისწინოს, ხომ არ გარდაიცვალა პირი, ან დადასტურებულად გამოჩნდა თუ არა, რომ ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა როგორც ეს რეზოლუცია 1616 (2005)-შია მოცემული გაწყვიტა კავშირი ალ-ქაედასთან, უსამა ბინ ლადენთან, თალიბანთან და მათ მხარდამჭერებთან, მათ შორის კონსოლიდირებულ სიაში მოცემულ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირთან...”

78. ეს პროცედურა კიდევ უფრო გაძლიერდა რეზოლუციების 1822 (2008) და 1904 (2009) მიღებით, რაც წინამდებარე საქმის შემდეგ მოხდა. 2009 წლის 17 დეკემბერს მიღებულ მეორე რეზოლუციაში უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა შეექმნა

ომბუცმენის პოსტი, ვისი ამოცანაც არის, მიიღოს უშიშროების საბჭოს ტერორიზმთან ბრძოლის დაკავშირებული სანქციებით დაზარალებული პირების მოთხოვნები. ამ რეზოლუციის თანახმად, სანქციების სიაში მითითებული პირები უფლებამოსილი არიან მოიპოვონ ინფორმაცია მათ წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების საფუძვლების შესახებ და ომბუცმენს წარუდგინონ პეტიცია სიიდან ამოშლის თაობაზე. ომბუცმენი მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად განიხილავს თითოეულ საქმეს და შემდეგ ანგარიშს წარუდგენს სანქციების კომიტეტს, სადაც წარმოადგენს არგუმენტებს სიიდან ამოშლის ან სიაში დატოვების მხარდასაჭერად.

3. ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (1969)

79. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 27-ე მუხლი („შიდასახელმწიფოებრივი სამართალი და ხელშეკრულებების დაცვა“):

„ხელშეკრულების მონაწილემ არ შეიძლება მიუთითოს თავის შიდასახელმწიფოებრივ სამართლის დებულებებზე, მის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად. ...“

80. 30-ე მუხლი („ერთსა და იმავე საკითხზე თანამიმდევრულად დადებული ხელშეკრულების გამოყენება“):

„1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 103-ე მუხლის დაცვით, მონაწილე სახელმწიფოების უფლებები და მოვალეობები თანამიმდევრულად დადებული ხელშეკრულებების მიმართ, ერთსა და იმავე საკითხზე, შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად განისაზღვრება.

2. როდესაც ხელშეკრულებით დადგენილია, რომ იგი განპირობებულია წინა ან მომდევნო ხელშეკრულებით, ან რომ იგი არ უნდა იყოს შეუთავსებელი ასეთ ხელშეკრულებასთან, ამ შემთხვევაში უპირატესი ძალა აქვს ამ სხვა ხელშეკრულების დებულებებს.

3. როდესაც წინა ხელშეკრულების ყველა მონაწილე ასევე მომდევნო ხელშეკრულების მონაწილეა, მაგრამ წინა ხელშეკრულების მოქმედება არ შეწყვეტილა ან არ შეჩერებულა 59-ე მუხლის შესაბამისად, წინა ხელშეკრულება გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში რა ფარგლებშიც მისი დებულებები შეესაბამება მომდევნო ხელშეკრულების დებულებებს.

4. როდესაც მომდევნო ხელშეკრულების ყველა მონაწილე არ არის წინა ხელშეკრულების მონაწილე:

ა) ორივე ხელშეკრულების მონაწილე-სახელმწიფოთა ურთიერთობა რეგულირდება იმავე წესით, როგორც ეს მე-3 პარაგრაფშია განსაზღვრული;

ბ) ორივე ხელშეკრულების მონაწილე და მხოლოდ ერთი ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთუფლებები და ურთიერთვალდებულებები რეგულირდება იმ ხელშეკრულებით, რომლის მონაწილეს ეს ორივე სახელმწიფოა.

5. მე-4 პარაგრაფი გამოიყენება ზიანის მიუყენებლად 41-ე მუხლისათვის, ან მე-60-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების ნებისმიერი საკითხის მიმართ, ან პასუხისმგებლობის ნებისმიერი საკითხის მიმართ, რაც შეიძლება წარმოეშვას სახელმწიფოს იმ ხელშეკრულების დადების ან გამოყენების შედეგად, რომლის დებულებებიც შეუთავსებელია სხვა ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს მიმართ მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან.“

4. გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მუშაობა

81. საერთაშორისო სამართლის კომისიის კვლევითი ჯგუფის ანგარიში სათაურით „საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაცია: საერთაშორისო სამართლის დივერსიფიკაციისა და ექსპანსიის შედეგად წარმოშობილი სირთულებები“ გამოქვეყნდა 2006 წელს და შეიცავს შემდეგ მოსაზრებებს წესდების 103-ე მუხლთან მიმართებით:

4. ჰარმონიზაცია - სისტემური ინტეგრაცია

“37. საერთაშორისო სამართალში არსებობს ძლიერი პრეზუმპცია ნორმატიული კონფლიქტის წინააღმდეგ. ხელშეკრულებათა ინტერპრეტაცია დიპლომატიისა და დიპლომატიის ამოცანაა თავიდან აიცილოს ან დაარეგულიროს კონფლიქტი. ეს ასევე ეხება სამართალწარმოებას. როგორც რუსო აღწერს მოსამართლის ვალდებულებებს სახელშეკრულებო კონფლიქტის თავის ადრეულ, მაგრამ მაინც სასარგებლო დისკუსიებში:

... lorsqu'il est en présence de deux accords de volontés divergentes, il doit être tout naturellement porté à rechercher leur coordination plutôt qu'à consacrer à leur antagonisme [Charles Rousseau, “De la compatibilité des normes juridiques contradictoires dans l'ordre international”, RGDIP vol. 39 (1932), p. 153].

38. ეს განვითარდა ფართოდ გავრცელებულ ინტერპრეტაციის პრინციპად და შესაძლოა ჩამოყალიბდეს სხვადასხვა გზით. ის შეიძლება იყოს მიახლოებითი შეფასება, როდესაც იქმნება ახალი ვალდებულებები, სახელმწიფოებს მოეთხოვება არ გადაუხვიონ ამ ვალდებულებებს. მაგალითად, ჯენინგსი და ვოტსი უთითებენ შემდეგის არსებობაზე:

ვარაუდი, რომ მხარეებს განზრახული აქვთ საერთაშორისო სამართლის საზოგადოდ აღიარებული პრინციპებთან ან მესამე სახელმწიფოს წინაშე ხელშეკრულებით აღიარებულ ვალდებულებებთან შეუსაბამო რამ, [სერ რობერტ ჯენინგსი და სერ არტურ ვატსი, (Sir Robert Jennings and Sir Arthur Watts (eds.), *ოპენჰეიმის საერთაშორისო სამართალი (Oppenheim's International Law)* (ლონდონი, ლონგმენი, 1992, მე-9 გამოცემა), გვ. 1275. კონფლიქტის წინააღმდეგ პრეზუმპციის ფართო მისაღებობაზე, რაც ჰარმონიის შეთავაზებაა, იხილეთ ასევე პუველინი, *ნორმების კონფლიქტი* (Pauwelyn, *Conflict of Norm*) ... supra note 21, გვ. 240-244].

39. როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა საქმეზე *გასვლის უფლება (Right of Passage)*:

ინტერპრეტაციის წესის თანახმად სახელმწიფოსგან მომდინარე ტექსტი, ფაქტიურად უნდა განიმარტოს როგორც არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე შედეგის მქონე და არა მისი დამრღვევი [ინდოეთის ტერიტორიაზე გასვლის უფლების შესახებ საქმე (წინასწარი პროტესტი)(პორტუგალია ინდოეთის წინააღმდეგ) *I.C.J. ანგარიშები 1957* გვ. 142].

...

331. წესდების 103-ე მუხლი არ ადგენს რომ *წესდებას* უპირატესი ძალა აქვს, არამედ მიუთითებს *წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე*. წესდებაში მითითებული უფლებებისა და ვალდებულებების გარდა ეს ასევე მოიცავს გაეროს ორგანოების მავალდებულებელი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოვალეობებს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია 25-ე მუხლი, რომელიც წევრ ქვეყნებს ავალდებულებს მიიღონ და შეასრულონ წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები. მიუხედავად იმისა რომ 103-ე მუხლის თანახმად უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების უპირატესი ძალა არ არის პირდაპირ ასახული წესდებაში, ის ფართოდ არის აღიარებული პრაქტიკაში და ასევე დოქტრინაში...”

5. შესაბამისი საერთაშორისო პრეცედენტული სამართალი

82. სიების სისტემის დამდგენი უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საფუძველზე მიღებული ღონისძიებები და ამ ღონისძიებათა კანონიერების გადახედვის შესაძლებლობა საერთაშორისო დონეზე შეისწავლა ევროპული თანამეგობრობის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEC) და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა.

(a) იასინ აბდულაჰ კადი და ალ ბარაკაატის საერთაშორისო ფონდი (*Yassin Abdullah Kadi and Al Barakaat International Foundation*) საბჭოსა და კომისიის წინააღმდეგ (ევროპული თანამეგობრობის მართლმსაჯულების სასამართლო)

83. საქმე იასინ აბდულაჰ კადი და ალ ბარაკაატის საერთაშორისო ფონდი (*Yassin Abdullah Kadi and Al Barakaat International Foundation*) ევროპული კავშირის საბჭოსა და ევროპული თანამეგობრობის კომისიის წინააღმდეგ (გაერთიანებული საქმეები C-402/05 P და C-415/05 P; შემდგომში “კადის საქმე”) ეხებოდა განმცხადებლის ქონების დაყადაღებას ევროპული თანამეგობრობის რეგულაციების თანახმად, რომლებიც მიღებულ იქნა უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 1267 (1999), 1333(2000) და 1390 (2002) იმპლემენტაციისთვის, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად, გაეროს წევრი ქვეყნებისგან მოითხოვდა ზომების გატარებას უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის მიერ ოსამა ბინ ლადენთან, ალ-ქაედასთან ან თალიბანთან დაკავშირებულ პირებად და იურიდიულ პირებად იდენტიფიცირებულთა ფულადი სახსრებისა და ფინანსური რესურსების დაყადაღებას. განსახილველ საქმეში განმცხადებლების ამ კატეგორიაში ექცეოდნენ და მათი ქონება დააყადაღეს - ეს ზომა წარმოადგენდა ევროპული თანამეგობრობის სადამფუძნებლო ხელშეკრულებით (ევროთანამეგობრობის ხელშეკრულება) დაცული საკუთრების პატივისცემის ძირითადი უფლების დარღვევას. ისინი სადავოდ ხდიდნენ ევროგაერთიანების რეგულაციების მიღებას *ultra vires*.

84. 2005 წლის 25 სექტემბერს პირველი ინსტანციის სასამართლომ (რომელიც 2009 წლის 1 დეკემბრიდან ცნობილია როგორც „საერთო სასამართლო“) არ დააკმაყოფილა ეს საჩივრები და დაადასტურა რეგულაციების კანონიერება, ძირითადად დაეყრდნო რა არგუმენტს, რომ წესდების 103-ე მუხლის მოქმედებით უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს უპირატესი ძალა აქვს სხვა საერთაშორისო ვალდებულებებზე (გარდა *jus cogens*-ით მოცული ვალდებულებებისა), მათ შორის ევროგაერთიანების ხელშეკრულებიდან მომდინარე ვალდებულებებზე. მან დაადგინა, რომ არ იყო უფლებამოსილი გადაეხედა უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, თუნდაც გამონაკლისის სახით, იმის დასადასტურებლად რომ ისინი შეესაბამებოდა ძირითად უფლებებს.

85. ბატონმა კადიმ სააპელაციო საჩივრით მიმართა CJEC-ს (რომელიც 2009 წლის 1 დეკემბრიდან ცნობილია როგორც „ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო“). სააპელაციო საჩივარი სხვა საქმესთან ერთად შეისწავლა დიდმა პალატამ. 2008 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებაში CJEC-მ დაადგინა, რომ თანამეგობრობის სამართლებრივის სისტემის შიდა და ავტონომიური ბუნების გათვალისწინებით, მას ქონდა იურისდიქცია განეხილა ამ ბრძანების ფარგლებში თანამეგობრობის რეგულაციის კანონიერების განხილვაზე, მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციის მიზანს წარმოადგენს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის იმპლემენტაცია. შესაბამისად მან დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ „თანამეგობრობის მართლმსაჯულების სისტემაში“ არ შედიოდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციების კანონიერების შესწავლა, ის უფლებამოსილი იყო გადაეხედა თანამეგობრობის აქტები ან წევრი ქვეყნების აქტები, რომლებიც ამგვარი რეზოლუციების შესრულებას ეძღვნება და ეს „არანაირი ფორმით არ ხელყოფს საერთაშორისო სამართალში ამ რეზოლუციის უპირატეს ძალას“.

86. CJEC-მა დაასკვნა, რომ თანამეგობრობის სასამართლო სისტემამ უნდა უზრუნველყოს თანამეგობრობის აქტებში ძირითადი უფლებების როგორც თანამეგობრობის სამართლის ძირითადი პრინციპების განუყოფელი ნაწილის, ჭრილში ფაქტიურად სრული გადახედვა, მათ შორის თანამეგობრობის მიერ გატარებული ზომებისა, როგორც არის სადაო რეგულაცია, რომელიც შეიქმნა უშიშროების საბჭოს რეზოლუციების აღსასრულებლად. გადაწყვეტილებაში მოცემულია შემდეგი შესაბამისი ამონარიდები:

...

“281. ამასთან მიმართებით უნდა გვახსოვდეს, რომ თანამეგობრობა ემყარება კანონის უზენაესობას, შესაბამისად ვერცერთი წევრი ქვეყანა და ვერც მათი რომელიმე უწყება აიცილებს თავიდან მათი ნორმატიული აქტების ძირითად კონსტიტუციურ წესდებასთან, თანამეგობრობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობის გადახედვას; ამ უკანასკნელმა დააფუძნა სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა და პროცედურების სრული სისტემა, რომელიც მართლმსაჯულების სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, განიხილოს ინსტიტუციების აქტების კანონიერება (საქმე 294/83 ლეს ვერტის პარლამენტის წინააღმდეგ (*Les Verts v Parliament*) [1986] ECR 1339, 23-ე პარაგრაფი).

...

290. შესაბამისად, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, უნდა დადგინდეს, გაეროს ფარგლებში საერთაშორისო სამართლებრივ სისტემასა და თანამეგობრობის სამართლებრივ სისტემას შორის ურთიერთობის მარეგულირებელი პრინციპების შედეგად, ძირითადი თავისუფლებების ჭრილში სადავო რეგულაციის შიდა კანონიერების სასამართლოს მიერ გადახედვა არის თუ არა ფაქტიურად გამორიცხული, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ რამდენადაც ნათელია 281-284 პარაგრაფებში მითითებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, ასეთი გადახედვა თანამეგობრობის ბაზისის მთავარი ნაწილის კონსტიტუციური გარანტიაა.

...

293. გაეროს კონტექსტში ვალდებულებათა შესრულება მოითხოვება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების სფეროში, როდესაც თანამეგობრობა აღასრულებს გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს თანამეგობრობის ღონისძიებებით, რომლებიც მიიღება თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-60-ე და 301-ე მუხლებზე დაყრდნობით.

294. ამ უკანასკნელი უფლებამოსილების განხორციელებისას თანამეგობრობისთვის აუცილებელია განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს იმ ფაქტს, რომ გაეროს წესდების 24-ე მუხლის თანახმად, წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მიერ რეზოლუციების მიღება წარმოადგენს მისი მთავარი ამოცანის შესრულებას, რითაც ეს საერთაშორისო ორგანო გლობალურ დონეზე მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში ინვესტირებას ახდენს; ეს მთავარი ამოცანა VII თავის საფუძველზე მოიცავს ასევე უფლებამოსილებას, განსაზღვროს რა და ვინ უქმნის საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას და აუცილებელი ზომები გაატაროს მათ შესანარჩუნებლად და აღსადგენად.

...

296. თუმცა, ამგვარი აქტის მიღების გამო თანამეგობრობა თანამეგობრობის ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია მიიღოს ამ აქტიდან გამომდინარე სავალდებულო ზომები; ეს ვალდებულება გულისხმობს იმას, რომ როდესაც არსებობს გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის იმპლემენტაციის მიზანი, თანამეგობრობამ ამ ღონისძიებათა შემუშავებისას სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი რეზოლუციის პირობები და მიზნები და ასევე გაეროს წესდებიდან გამომდინარე ასეთი იმპლემენტაციის შესაბამისი ვალდებულებები.

297. უფრო მეტიც, სასამართლომ მანამდე დაადგინა, რომ სადაო რეგულაციის განმარტებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს რეზოლუციის 1390 (2002) შინაარსი და მიზნები, რომლის იმპლემენტაციასაც ეძღვნება რეგულაცია, მისი პრეამბულის მეოთხე

ფრაზის თანახმად (Möllendorf და Möllendorf-Niehuus, 54-ე პარაგრაფი და მითითებული საქმე).

298. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს წესდება არ ავალდებულებს წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციის კონკრეტული მოდელის არჩევას, ვინაიდან ისინი უნდა აღსრულდეს გაეროს წევრი ქვეყნის შიდა სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. გაეროს წესდება გაეროს წევრებს უტოვებს თავისუფალ არჩევანს, შეარჩიონ რეზოლუციების მათ შიდა სამართლებრივ სისტემაში ტრანსპოზიციის სხვადასხვა მოდელი.

299. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ გაეროს ფარგლებში საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის მარეგულირებელი პრინციპების შედეგი არ არის ის, რომ ძირითადი თავისუფლებების ჭრილში სადავო რეგულაციის შიდა კანონიერების ნებისმიერი სასამართლო გადასინჯვა გამოირიცხება იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ეს ღონისძიება გამიზნულია გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციის აღსასრულებლად.

300. უფრო მეტიც, სასამართლო განხილვისგან დაცვის ასეთი იმუნიტეტი თანამეგობრობის ღონისძიებისთვის როგორცაა სადავო რეგულაცია, საერთაშორისო სამართლის დონეზე როგორც გაეროს წესდების საფუძველზე მოვალეობების უპირატესობის პრინციპის შედეგი, განსაკუთრებით წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციასთან მიმართებით, ვერ პოულობს საფუძველს თანამეგობრობის ხელშეკრულებაში.“

87. CJEC-მ დაადგინა, რომ სადაო რეგულაციები, რომლებითაც არ არის გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები ქონების დაყადაღებასთან მიმართებით, არღვევს ძირითად უფლებებს და უნდა გაუქმდეს.

(b) საქმე საიადი ვინკი ბელგიის წინააღმდეგ (გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი)

88. ნაბილ საიადისა და პატრიცია ვინკის მიერ ბელგიის წინააღმდეგ ინიცირებულ საქმეში (გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2008 წლის 22 ოქტომბრის მოსაზრებები #1472/2006 კომუნიკესთან დაკავშირებით), ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეძლო შეესწავლა უშიშროების საბჭოს რეზოლუციით 1267 (1999) დადგენილი სანქციების რეჟიმის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაცია. ბელგიის მოქალაქე ორი მომჩივანი ამ სიას დაამატეს 2003 წლის იანვარში ბელგიის მიერ 2002 წლის სექტემბერში ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დასრულებიდან მალევე უშიშროების საბჭოსთვის

მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. მათ სიიდან ამოღების მოთხოვნით რამდენიმეჯერ მიმართეს ეროვნულ, რეგიონულ და გაეროს დონეებზე, მაგრამ უშედეგოდ. 2005 წელს ბრუსელის პირველი ინსტანციის სასამართლომ ბელგიას დაავალა *inter alia* სასწრაფოდ მიემართა გაეროს სანქციების კომიტეტისთვის სიიდან ამოშლის მოთხოვნით, რაც სახელმწიფომ შეასრულა.

89. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მომჩივნებზე მოგზაურობის აკრძალვა მათი მოსმენის გარეშე ბელგიის მიერ სანქციების კომიტეტისთვის მათი სახელების გადაცემას მოყვა. შესაბამისად, მან დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის კომპეტენციაში არ შედიოდა გაეროს თუ ევროკავშირის სიებიდან მათი სახელების ამოღება, ის იყო პასუხისმგებელი მათი სახელების სიაში მოხვედრაზე და შესაბამისად მგზავრობის აკრძალვაზე. კომიტეტმა დაადგინა მომჩივნების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლით დაცული გადაადგილების თავისუფლების დარღვევა, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტამ და სახელმწიფოს მიერ სიიდან ამოღების მოთხოვნაც მიუთითებდა, რომ შეზღუდვები არ იყო აუცილებელი ეროვნული უშიშროების ან საჯარო წესრიგის დასაცავად.

90. კომიტეტმა ასევე უკანონოდ მიიჩნია მომჩივნების ღირსებისა და რეპუტაციის შელახვა, პაქტის მე-17 მუხლის საწინააღმდეგოდ, რადგანაც სია ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტში, პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში, მათ შესახებ ინფორმაცია გავრცელდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დასრულებამდე და ასევე მიუხედავად მოპასუხე სახელმწიფოს მოთხოვნისა მოეხსნათ ეს ინფორმაცია, მათი საკონტაქტო მონაცემები კვლავ ხელმისაწვდომი იყო საჯაროდ.

91. კომიტეტის აზრით მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს კომპეტენციაში არ შედიოდა სიიდან სახელების ამოშლა, მას ევალებოდა, ყველაფერი გაეკეთებინა იმისთვის, რომ მიეღწია [მათი სიიდან] ამოშლისთვის რაც შეიძლება მალე, მიეცა მომჩივნებისთვის კომპენსაცია, საჯარო გაეხადა სიიდან ამოშლის მოთხოვნა და უზრუნველყო, რომ მსგავს დარღვევებს აღარ ქონოდა ადგილი მომავალში.

92. 2009 წლის 20 ივლისს სანქციების კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე მომჩივნების სახელები ამოშალეს სიიდან.

6. სხვა სახელმწიფოების პრეცედენტული სამართალი

93. სადაო ღონისძიებები ასევე შესწავლილ იქნა ეროვნულ დონეზე, გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს და კანადის ფედერალური სასამართლოს მიერ.

(a) აჰმედი და სხვები მისი უდიდებულესობის ხაზინის წინააღმდეგ
(*Ahmed and others v. HM Treasury*) (გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლო)

94. საქმე აჰმედი და სხვები მისი უდიდებულესობის ხაზინის წინააღმდეგ, რომელიც განიხილა გაერთიანებული სამეფოს უზენაესმა სასამართლომ 2010 წლის 27 იანვარს, ეხებოდა განმცხადებლების ქონების დაყადაღებას რეზოლუციებით 1267 (1999) და 1373 (2001) დადგენილი სანქციების რეჟიმის საფუძველზე. უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ სახელმწიფო *ultra vires* მოქმედებდა გაეროს 1946 წლის აქტის 1-ელი სექციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სანქციების შესახებ უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციისთვის გარკვეული განკარგულებების გაცემისას.

95. კერძოდ კი, უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტის მოადგილემ, ლორდმა ჰოუპმა შემდეგი მოსაზრება წარმოადგინა:

“6. ... ამ განკარგულებების შედეგები წინამდებარე საქმეში იმდენად შთაბეჭდავი და დამთრგუნველია, რომ იმდენად ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ დავინახოთ ხაზინის მიერ გატარებული იძულების ღონისძიებები ნამდვილად იყო 1946 წლის აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. თვით საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის წინაშეც კი ხალხის უსაფრთხოება არ არის უზენაესი სამართალი. ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა თავიდან ავიცილოთ პირად თავისუფლებაზე შეუზღუდავი თავდასხმები.“

96. მან აღიარა, რომ მომჩივნებს ჩამოერთვათ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებებით სარგებლობა და ამასთან მიმართებით დაადგინა შემდეგი:

“81. მე მივიჩნევ, რომ G-ს სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს საქმე, რადგანაც რეჟიმმა, რომელსაც ის დაექვემდებარა მას ჩამოართვა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა. როგორც ბატონმა სვიფტმა აღნიშნა, მის მიმართ გამორჩეული მოპყრობის შესახებ ხაზინის გადაწყვეტილების სასამართლო გადახედვის მოთხოვნა მას შედეგამდე ვერ მიიყვანდა. G-მ უპასუხა ამ განმარტებას, ვინაიდან ის გამორჩეულად იყო დასახელებული 1267-ე კომიტეტის მიერ. იმისათვის რომ მისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ეფექტიანი სამართლებრივი

დაცვის საშუალება, სიაში დაფიქსირების საშუალებები უნდა დაქვემდებარებოდა სასამართლო გადახედვას. ეს კი ის არის რაც 1267-ე კომიტეტის სისტემით უარყოფილია მისთვის. მე ვთვლი, რომ AQO-ს [ალ-ქაედას განკარგულების] 3.1.8 მუხლს უპირატესი ძალა აქვს 1946 წლის აქტის 1-ელ სექციაზე. ამ საქმის განსახილველად არ არის აუცილებელი იმის გარკვევა აქვს თუ არა AQO-ს მთლიანობაში უპირატესი ძალა, გარდა იმისა თუ ჩემს ნათქვამს არ გავიგებთ ისე, თითქოს ამ განკარგულების მე-4 მუხლი თუკი ის გავრცელდებოდა G-ს საქმეზე გადაურჩებოდა გადახედვას.

82. მე განვიხილავდი HAY-ის საქმეს ანალოგიურად. ისიც ასევე გამორჩეულ პირად იყო მიჩნეული რადგანაც მისი სახელი 1267-ე კომიტეტის სიაში აღმოჩნდა. როგორც უკვე აღინიშნა ამჟამად გაერთიანებული სამეფო ითხოვს მისი სახელის ამოშლას სიიდან. 2009 წლის 1 ოქტომბრის წერილით ხაზინის სანქციების ჯგუფმა მის ადვოკატებს შეატყობინა, რომ სიიდან ამოშლის მოთხოვნა გაიგზავნა 2009 წლის 26 ივნისს, მაგრამ კომიტეტის პირველ განხილვაზე რამდენიმე სახელმწიფო არ გამოხატავდნენ მოთხოვნის მხარდამჭერ პოზიციას. სიიდან ამოშლის მიღწევის სხვა მცდელობები გრძელდება, მაგრამ ჯერ არ მიღწეულა. შესაბამისად ის კვლავ AQO-ს მოქმედების ქვეშ რჩება. ამ ვითარებაში მასაც ჩამორთმეული აქვს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებებით სარგებლობა.“

97. უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ ცნო ზოგადად ტერორიზმის საწინააღმდეგო რეზოლუცია 1373 (2001)-ის იმპლემენტაციისთვის მიღებული განკარგულება (ტერორიზმის განკარგულება) და ალ-ქაედასა და თალიბანის რეზოლუციების (ალ-ქაედას განკარგულება) იმპლემენტაციის განკარგულება. თუმცა მან გააუქმა ალ-ქაედას განკარგულება ვინაიდან ის არ უზრუნველყოფდა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებებით (იხილეთ ლორდ ბრაუნის განსხვავებული მოსაზრება ამ საკითხზე).

(b) საქმე *აბდელრაზიკი კანადის წინააღმდეგ (Abdelrazik v. Canada)*
(საგარეო საქმეთა მინისტრი) (კანადის ფედერალური სასამართლო)

98. 2009 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე *აბდელრაზიკი კანადის წინააღმდეგ (Abdelrazik v. Canada)* (საგარეო საქმეთა მინისტრი) კანადის ფედერალურმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ ალ-ქაედასა და თალიბანის სანქციების კომიტეტის სიების პროცედურა შეუსაბამობაში მოდიოდა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლებასთან. საქმე ეხებოდა კანადის და სუდანის მოქალაქეობის მქონე განმცხადებლისთვის კანადაში დაბრუნების აკრძალვას, კანადის მიერ უშიშროების საბჭოს სანქციების რეჟიმის დამდგენი რეზოლუციის კანადის მიერ

აღსრულების შედეგად. შესაბამისად განმცხადებელი იძულებული იყო ეცხოვრა სუდანში, ხართუმში, კანადის საელჩოში, თავშესაფრის დატოვების შემთხვევაში შესაძლო დაკავებისა და წამების შიშით.

99. ზინ ჯეიმ, რომელმაც წარმოსთქვა მთავარი გადაწყვეტილება ამ საქმეზე, განაცხადა შემდეგი:

“[51] მე ვუერთდები იმათ რიგებს, ვინც 1267 კომიტეტის რეჟიმს მიიჩნევს ძირითადი სამართლებრივი დაცვის საშუალებების უარყოფად და მიუღებლად საერთაშორისო ადამიანის უფლებების პრინციპებისთვის. სიაში ასახვისა და სიიდან ამოღების პროცედურებში არაფერია რაც აღიარებს ბუნებით მართლმსაჯულებას ან უზრუნველყოფს ძირითად პროცედურულ სამართლიანობას.“

100. მან ასევე განმარტა:

“[54] ... შემადრწუნებელია იმის გაგება, რომ ამ თუ სხვა ქვეყნების მოქალაქეები შეიძლება აღმოჩნდნენ 1267-ე კომიტეტის სიაში მხოლოდ ეჭვის საფუძველზე.“

101. ალ-ქაედასა და თალიბანის რეზოლუციების საფუძველზე მგზავრობის აკრძალვის დამდგენი ღონისძიების გადახედვის შედეგად მოსამართლემ დაადგინა, რომ განმცხადებლის უფლება შესულიყო კანადაში დაირღვა, კანადის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის დებულებების საწინააღმდეგოდ (იხილეთ გადაწყვეტილების პარაგრაფები 62 და მომდევნო).

კანონმდებლობა

I. მოპასუხე სახელმწიფოს პირველადი პრეტენზია

A. საჩივრის შესაბამისობა კონვენციასთან და მის დამატებით ოქმებთან

1. მხარეთა წერილობითი მოსაზრებები

(a) მოპასუხე სახელმწიფო

102. მოპასუხე სახელმწიფო [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს თხოვდა განაცხადი დაუშვებლად ეცნო კონვენციასთან *ratione personae* შეუსაბამობის გამო. ის ამტკიცებდა, რომ შეფარდებული ზომები ეფუძნებოდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს (1267 (1999) და მომდევნო [რეზოლუციებს]), რომლებიც გაეროს წესდების 25-ე და 103-ე მუხლების თანახმად სავალდებულო და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებზე უპირატესი იურიდიული ძალის მქონე იყო. ამასთან მიმართებით მან მიუთითა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პირობითი ღონისძიებების განკარგულებაზე საქმეზე, რომელიც ეხებოდა 1971 წლის მონრეალის კონვენციის ინტერპრეტაციისა და შეფარდების საკითხებს, რაც წარმოიშვა ლოკერბიში საჰაერო ინციდენტთან დაკავშირებით ((ლიბიის არაბული ჯამაჰირია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ - *Libyan Arab Jamahiriya v. United Kingdom*), პირობითი ღონისძიებები, 1992 წლის 14 აპრილის განკარგულება, ICJ-ის ანგარიშები, 1992, გვ. 15, § 39):

“მაშინ როცა ლიბია და გაერთიანებული სამეფო, როგორც გაეროს წევრი ქვეყნები ვალდებული არიან მიიღონ და განახორციელონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები წესდების 25-ე მუხლის შესაბამისად; მაშინ როცა სასამართლო, რომელიც პირობითი ღონისძიებების განხილვის სტადიაზეა, მიიჩნევს, რომ *prima facie* ეს ვალდებულებები ვრცელდება რეზოლუციიდან 748 (1992) მომდინარე გადაწყვეტილებაზე; და მაშინ როცა, წესდების 103-ე მუხლის შესაბამისად ამასთან მიმართებით მხარეთა ვალდებულებებს უპირატესი ძალა აქვს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, მათ შორის მონრეალის კონვენციიდან მომდინარე ვალდებულებებზე;“

მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადა, რომ ამ გარემოებებში შვეიცარიას არ შეიძლება საერთაშორისო დონეზე პასუხი მოეთხოვოს ამ სადაო ღონისძიებების იმპლემენტაციისთვის.

103. მოპასუხე სახელმწიფომ დასძინა, რომ ეს ღონისძიებები, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოსგან მომდინარე, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მოქმედების ფარგლებს გარეთ იყო. და შესაბამისად ამ საქმეზე განაცხადი დაუშვებელი იყო *ratione materiae*.

(b) განმცხადებელი

104. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი განაცხადი კონვენციასთან შესაბამისობაში იყო *ratione personae*. მან გაიზიარა მოსაზრება, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციებიდან გამომდინარე ვალდებულებათა პირდაპირი ეფექტი არ იყო რელევანტური საკითხისა, იყო თუ არა მასზე დაწესებული შეზღუდვები მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რადგანაც ამ შეზღუდვების ავტორიზება მოპასუხე სახელმწიფომ ეროვნულ დონეზე მოახდინა ფედერალური კონსტიტუციის 190-ე მუხლის საფუძველზე. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ვენის კონვენციის 27-ე მუხლის საფუძველზე მან დასძინა, რომ შვეიცარია ვერ ამოეფარებოდა თავის შიდა სამართლებრივ სისტემას როდესაც საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების საკითხი დგებოდა (იხილე 79-ე პარაგრაფი მაღლა).

105. განმცხადებელმა ასევე განაცხადა, რომ შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებმა უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული გამონაკლისის შესაძლებლობები გამოიყენა ბევრად უფრო შემზღუდავი ფორმით ვიდრე სანქციების რეჟიმით იყო გათვალისწინებული. ფედერალურმა სასამართლომ ეს თავის 2007 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნა. უშიშროების საბჭოს ავტომატურად იმპლემენტაციის ნაცვლად ეროვნული სახელმწიფო ორგანოები სარგებლობდნენ თავისუფალი შეფასების გარკვეული ფარგლებით განსაზღვრული ღონისძიებების გატარებისას. ამასთან მიმართებით განმცხადებელმა დასძინა, რომ როგორც სანქციების კომიტეტმა 2009 წლის 23 სექტემბერს გადაწყვიტა, მისი სიიდან ამოშლა შვეიცარიაში ძალაში არ შევიდა მომდევნო კვირამდე. მისთვის ეს დამატებითი მტკიცებულება იყო

იმისა, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მოქმედება არ იყო ავტომატური.

106. და ბოლოს, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საქმეზე განსახილველ საკითხს არ წარმოადგენდა გაეროს წესდების 103-ე მუხლის თანახმად მისი უპირატესი ძალის საკითხი - კონვენციის დარღვევის დადგენა, მისი აზრით, ვერ შეძლებდა სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების სავალდებულოების შეზღუდვას - არამედ უბრალოდ იმის უზრუნველყოფა, რომ წესდება არ ყოფილიყო გამოყენებული კონვენციის დებულებების შესრულებისათვის თავის არიდების საშუალებად.

2. მესამე მხარის წერილობით მოსაზრებები

(a) საფრანგეთი

107. საფრანგეთმა გაიზიარა მოსაზრება, რომ კონვენციის შესრულებისგან თავის შეკავება „თანაბარი დაცვის“ უზრუნველსაყოფად არ შეიძლება სათანადოდ გავრცელდეს წინამდებარე საქმეზე, რადგანაც შვეიცარიის მიერ გატარებული ღონისძიებები გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების აუცილებლობიდან მომდინარეობდა, რომელთა შესრულებაც ყველა სახელმწიფოს მოეთხოვებოდა და რომელსაც უპირატესი ძალა უნდა მიანიჭებოდა სხვა საერთაშორისო წესებთან მიმართებით. ამ გარემოებებში საფრანგეთი იზიარებდა მოსაზრებას, რომ სადავო ღონისძიებები არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო შვეიცარიის „იურისდიქციაში“ შემავალად კონვენციის 1-ელი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე; სხვა შემთხვევაში ეს ცნება ჩაითვლებოდა უშინაარსოდ.

108. საფრანგეთმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე *ბოშფორუს ჰავა იოლარ ტურიზმი ვე ტიკარეტ ანონიმ სირკეტი ირლანდიის წინააღმდეგ (Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland)* ([დიდი პალატა] #45036/98, ECHR 2005-VI) სასამართლომ კონვენციის 1-ელ მუხლის შესაბამისობაში მყოფად მიიჩნია განაცხადი, რომლითაც სადავოდ იყო გამხდარი ევროპული თანამეგობრობის რეგულაციის (რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციიდან) იმპლემენტაციის ეროვნული ღონისძიების ნამდვილობა,

სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სადავო ეროვნული ღონისძიების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა ევროთანამეგობრობის რეგულაცია და არა უშიშროების საბჭოს რეზოლუცია (*ibid.*, § 145).

109. საფრანგეთი ასევე დარწმუნებული იყო, რომ სადავო ღონისძიებები არ ეხებოდა წევრი ქვეყნების ტერიტორიის გარეთ შესრულებულ მისიებს, როგორც ეს იყო საქმეებში *ბეჰრამი და ბეჰრამი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Behrami and Behrami v. France*) და *სარამათი საფრანგეთის, გერმანიისა და ნორვეგიის წინააღმდეგ* (*Saramati v. France, Germany and Norway*) ((dec.) [დიდი პალატა], ##. 71412/01 და 78166/01, 2007 წლის 2 მაისი), არამედ ღონისძიებებს რომლებიც აისახა ეროვნულ კანონმდებლობაში. ამ საქმეებიდან გამომდინარე არგუმენტებმა, რომლებიც მომდინარეობს უშიშროების საბჭოს მისი ბუნებიდან და აქედან გამომდინარე სახელმწიფოთა ვალდებულებებიდან, სასამართლო უნდა განსაზღვროს სადავო ღონისძიებების გაეროსთან კავშირი და განმცხადებლის საჩივრების კონვენციასთან *ratione personae* შეუსაბამობა. თუმცა ის ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საქმე სასამართლოს აძლევდა შესაძლებლობას *ბეჰრამი და ბეჰრამი* საქმეში დადგენილი პრინციპები გაეგრძელებინა წევრი ქვეყნების რეალურ ტერიტორიაზე, საერთაშორისო სამართლის ნორმების იერარქიისა და მისგან მომდინარე სხვადასხვა სამართლებრივი განზომილებების გათვალისწინებით.

110. საფრანგეთმა ასევე აღნიშნა, რომ *კადის* გადაწყვეტილებაში (იხილეთ 83-ე პარაგრაფი მაღლა), ევროპულ თანამეგობრობათა მართლმსაჯულების სასამართლო უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციისთვის მიღებული რეგულაციის გადახედვისას დაეყრდნო ევროგაერთიანების ხელშეკრულების კონსტიტუციურ ბუნებას. ვინაიდან ასეთ მსჯელობას არ ქონია ადგილი წინამდებარე საქმეზე, საფრანგეთს გაუჭირდა იმის გაგება, რას შეეძლო გაემართლებინა სასამართლოს დასკვნა გაეროს წესდების 103-ე მუხლის უგულებელყოფით, იმის თაობაზე, რომ შვეიცარია იყო პასუხისმგებელი რეზოლუციების იმპლემენტაციაზე, რომელთა აღსრულებაც მას მოეთხოვებოდა და რომლისთვისაც მას უპირატესი ძალა უნდა მიენიჭებინა სხვა ვალდებულებებთან შედარებით.

(b) გაერთიანებული სამეფო

111. გაერთიანებულმა სამეფომ განმარტა, რომ განმცხადებელს შესვლასა და ტრანზიტზე აკრძალვა დაუდგინდა თალიბანის განკარგულების კონტექსტში, რაც მან მიიჩნია უშიშროების საბჭოს რეზოლუციების თითქმის სრულ იმპლემენტაციად, ეს რეზოლუციები თავის მხრივ გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე იყო მიღებული და სავალდებულო იყო სახელმწიფოებისთვის (წესდების 25-ე მუხლი): წესდების 103-ე მუხლის საფუძველზე ამ რეზოლუციებს გააჩნდა უპირატესი ძალა ყველა სხვა საერთაშორისო შეთანხმებასთან მიმართებით. ამასთან მიმართებით გაერთიანებულმა სამეფომ ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად შექმნილი სანქციების რეჟიმის ეფექტიანობას სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა თუ უპირატესობა მიენიჭებოდა კონვენციის მე-5 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარე უფლებებს. გაერთიანებულმა სამეფომ გაიზიარა მოსაზრება, რომ რეზოლუციის 1390 (2002) 2.ბ პარაგრაფში უშიშროების საბჭომ გამოიყენა „ნათელი და პირდაპირი ენა“ და დაავალდებულა სახელმწიფოები, გაეტარებინათ კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა კონფლიქტში მოსულიყო სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან, კერძოდ კი ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებთან. მიუთითა რა ბოლოს მიღებულ გადაწყვეტილებაზე საქმეზე *ალ-ჯედა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Jedda v. the United Kingdom)* ([დიდი პალატა], no. 27021/08, § 102, ECHR 2011), გაერთიანებული სამეფო ამტკიცებდა, რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებული იყო გაეტარებინა სადავო ღონისძიებები.

(c) JUSTICE

112. ორგანიზაცია JUSTICE-მა მიიჩნია, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1267 (1999)-ით დადგენილი სანქციების რეჟიმი სიაში მითითებული პირებისა და მათი ოჯახების კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებზე დრაკონული შეზღუდვების წყაროს წარმოადგენდა, კერძოდ კი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე, საკუთრებით სარგებლობის უფლებაზე და გადაადგილების თავისუფლებაზე.

113. კონვენციით დაცულ უფლებებში ჩარევა უფრო მძაფრდებოდა სიაში მოცემული პირების უუნარობით,

ეფექტიანად გაესაჩივრებინათ მათი სიაში ასახვის შესახებ გადაწყვეტილება, მათ შორის გადაწყვეტილების მტკიცებულებითი ნაწილი. ამის შედეგად სანქციების რეჟიმმა ვერ უზრუნველყო ეს პირები და მათი ოჯახები სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე უფლებით. JUSTICE-მა მიიჩნია, რომ სანქციების კომიტეტის პროცედურამ ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შესატყვისი დაცვა.

114. მისი ეს დასკვნები აისახა ტერორიზმის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების შესახებ გამოჩენილ იურისტთა პანელის, ტერორიზმის და ადამიანის უფლებების გაეროს სპეციალური მომხსენებლისა და კანადის ფედერალური სასამართლოს (*აბდელრაზიკი*), გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს (*აჰმედი*) და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (*კადი*) მიგნებებში (იხილეთ „შესაბამისი საერთაშორისო პრეცედენტული სამართალი“ და „სხვა ქვეყნების შესაბამისი პრეცედენტული სამართალი“, პარაგრაფები 82-92 და 93-101, მაღლა).

115. JUSTICE დარწმუნებული იყო, რომ სასამართლო არ იყო ვალდებული წესდების 103-ე მუხლი განემარტა ისე, რომ ამის შედეგად მოხდებოდა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ჩანაცვლება. კერძოდ კი, უშიშროების საბჭოს პირველადი ფუნქცია „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება“ არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის თუ წესდების უპირატეს პრინციპს. უკიდურეს შემთხვევაში თანაბარი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა ძირითადი უფლებების პატივისცემას, როგორც ეს ასახული იყო წესდების პრეამბულაში.

3. სასამართლოს შეფასება

116. მხარეებისა და მესამე პირების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების ჭრილში სასამართლომ უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა მას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჩივრების განხილვის იურისდიქცია. ამ მიზნით მან უნდა შეისწავლოს, ექცევა თუ არა განმცხადებელი კონვენციის 1-ელი მუხლის მოქმედების სფეროში და ამით იწვევს თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.

(a) *ratione personae*-სთან შესაბამისობა

117. კონვენციის 1-ელი მუხლი:

„მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“

118. როგორც ამ მუხლშია მოცემული, ხელშემკვრელი სახელმწიფოების ჩართულობის ვალდებულება დასტურდება ჩამოთვლილი უფლებებისა და თავისუფლებების „უზრუნველყოფით“ (*“reconnaitre”* ფრანგულ ტექსტში) მათ „იურისდიქციაში“ მყოფი ადამიანებისთვის (იხილეთ *ალ-სკეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], no. 55721/07, § 130, ECHR 2011; *ალ-ჯედა (Al-Jedda)*, ციტირება მაღლა, § 74; *ბანკოვიჩი და სხვები ბელგიისა და სხვა 16 ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ (Banković and Others v. Belgium and 16 Other Contracting States)* (dec.) [დიდი პალატა], no. 52207/99, § 66, ECHR 2001-XII; და *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Soering v. the United Kingdom)*, 1989 წლის 7 ივლისი, § 86, სერიები A no. 161). „იურისდიქცია“ 1-ელი მუხლის ფარგლებში არის სასაზღვრო კრიტერიუმი ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის რომ პასუხისმგებელი იყოს მასთან დაკავშირებული მოქმედების ან უმოქმედებისთვის, რამაც კონვენციით გათვალისწინებული უფლებების და თავისუფლებების სავარაუდო დარღვევა გამოიწვია (იხილეთ *ალ-სკეინი და სხვები (Al-Skeini and Others)*, ციტირება მაღლა, § 130; *ალ-ჯედა (Al-Jedda)*, ციტირება მაღლა, § 74; და *ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ (Ilaşcu and Others v. Moldova and Russia)* [დიდი პალატა], no. 48787/99, § 311, ECHR 2004-VII).

119. იურისდიქციის ცნება ასახავს ამ ტერმინისთვის საერთაშორისო საჯარო სამართალში მინიჭებულ შინაარსს (იხილეთ *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ (Assanidze v. Georgia)*, no. 71503/01, § 137, ECHR 2004-II; *ჟენტილომი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Gentilhomme and Others v. France)*, ##. 48205/99, 48207/99 და 48209/99, § 20, 2002 წლის 14 მაისი; და *ბანკოვიჩი და სხვები (Banković and Others)*, ციტირება მაღლა, §§ 59-61), რომ სახელმწიფოს იურისდიქცია პირველ ყოვლისა ტერიტორიულია (იხილეთ *ალ-სკეინი და სხვები (Al-Skeini and Others)*, ციტირება მაღლა, § 131, და *ბანკოვიჩი და სხვები (Banković and Others)*, ციტირება მაღლა, § 59) და როგორც წესი ივარაუდება

რომ მოქმედებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე (იხილეთ *ილაშკუ და სხვები (Ilaşcu and Others)*, ციტირება მაღლა, § 312).

120. *ბეჰრამი და ბეჰრამი* საქმეზე (ციტირება მაღლა) სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით პროცესში ჩართული საფრანგეთი ამტკიცებდა, რომ გაეროს წევრი ქვეყნების მიერ წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციისთვის გატარებული ღონისძიებები დაკავშირებული იყო გაეროსთან და შესაბამისად ვერ აკმაყოფილებდა *ratione personae*-ის მოთხოვნას კონვენციასთან მიმართებით. სასამართლო ვერ გაიზიარებს ამ არგუმენტს. მან აღნიშნა რომ საქმეზე *ბეჰრამი და ბეჰრამი* მან დაადგინა, რომ KFOR-ის, რომელსაც უფლებამოსილება უშიშროების საბჭოსგან ქონდა დელეგირებული წესდების VII თავის საფუძველზე, და UNMIK (გაეროს სუბსიდიური ორგანო, რომელიც იმავე თავის საფუძველზე შეიქმნა) ქმედებები და უმოქმედებები პირდაპირ იყო დაკავშირებული გაეროსთან, უნივერსალური იურისდიქციის მქონე ორგანიზაციასთან, რომელიც ასრულებდა იმპერატიული კოლექტიური უსაფრთხოების მიზანს (*ibid.*, § 151). წინამდებარე საქმეზე საპირისპიროდ ამისა, უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით, განსაკუთრებით კი რეზოლუციებით 1267 (1999), 1333 (2000), 1373 (2001) და 1390 (2002), სახელმწიფოებს მოეთხოვებოდათ ემოქმედათ საკუთარი სახელით და მოეხდინათ მათი იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე.

121. წინამდებარე საქმეზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციით განსაზღვრული ღონისძიებები ეროვნულ დონეზე გატარდა ფედერალური საბჭოს განკარგულებით და განმცხადებლის მოთხოვნა შვეიცარიის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვიდან გამონაკლისის დაშვებაზე შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებმა უარყო (ჯერ IMES-მა, შემდეგ ODM-მ). შესაბამისად, სადაო ქმედებები უკავშირდებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციას (იხილეთ, *mutatis mutandis*, *ბოშფორუსი ჰავა იოლარი ტურიზმი ვე ტიკარეტ ანონიმ სირკეტი (Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi)*, ციტირება მაღლა, § 137, და საპირისპირო *ბეჰრამი და ბეჰრამი (Behrami and Behrami)*, ციტირება მაღლა, § 151). შესაბამისად კონვენციის სავარაუდო დარღვევები დაკავშირებულია შვეიცარიასთან.

122. განსახილველი ღონისძიებები შვეიცარიამ განახორციელა კონვენციის 1-ელი მუხლის მნიშვნელობით თავისი „იურისდიქციის“ მოქმედების ფარგლებში. შესაბამისად სადავო აქტები და უმოქმედება უნარიანია დააყენოს კონვენციის საფუძველზე მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი. ამას მოყვება ის, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია *ratione personae* განიხილოს წინამდებარე განაცხადი.

123. შესაბამისად, სასამართლო არ აკმაყოფილებს პროტესტის იმის თაობაზე, რომ განაცხადი *ratione personae* შეუსაბამოა კონვენციასთან.

(b) *ratione materiae*-სთან შესაბამისობა

124. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ წინამდებარე განაცხადი ასევე *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციასთან. ამასთან მიმართებით ის მიუთითებს გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების სავალდებულო ბუნებაზე და წესდების 103-ე მუხლის საფუძველზე მის უპირატესობაზე ყველა სხვა საერთაშორისო შეთანხმებასთან.

125. სასამართლო ადგენს, რომ ეს არგუმენტები ეხება საქმის არსებით მხარეს და არა საჩივრის შესაბამისობას კონვენციასთან. შედეგად, მოპასუხე სახელმწიფოს პროტესტი განაცხადის კონვენციასთან *ratione materiae* შეუსაბამობასთან დაკავშირებით უნდა გაერთიანდეს საქმის არსებით განხილვაში.

B. არის თუ არა განმცხადებელი „დაზარალებული“

1. მხარეთა წერილობითი მოსაზრებები

126. მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ 2009 წლის 23 სექტემბერს განმცხადებლის სახელი ამოიშალა უშიშროების საბჭოს სანქციების დამდგენ რეზოლუციებზე თანდართული სიიდან და 2009 წლის 29 სექტემბერს თალიბანის განკარგულებაშიც შევიდა შესაბამისი ცვლილებები, რომელიც 2009 წლის 2 ოქტომბერს ამოქმედდა. შესაბამისად ის ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ მიმართული სადავო ღონისძიებები სრულად შეწყდა. მოპასუხე სახელმწიფოს აზრით შესაბამისად,

დავა გადაწყდა კონვენციის 37.1.ბ მუხლის მნიშვნელობისთვის და ამის შედეგად, მან მოთხოვა სასამართლოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოეღო განაცხადი, პროცედურის შესაბამისად.

127. განმცხადებელი არ დაეთანხმა ამ არგუმენტს. მისი მოსაზრებით, თავად ის ფაქტი, რომ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მისი სახელი წაიშალა სანქციების კომიტეტის სიიდან, თალიბანის განკარგულებაშიც შევიდა შესაბამისი ცვლილებები და მის წინააღმდეგ მოქმედი სანქციები შეწყდა 2009 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან არ ართმევს მას დაზარალებულის სტატუსს ამ თარიღამდე მისი უფლების დარღვევასთან მიმართებით.

2. სასამართლოს შეფასება

128. სასამართლოს დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალში სიტყვა „დაზარალებული“ კონვენციის 34-ე მუხლის კონტექსტში ნიშნავს პირს, რომელზეც პირდაპირი გავლენა იქონია განსახილველმა მოქმედებამ ან უმოქმედებამ, კონვენციის დარღვევის არსებობა დასაშვებია ვარაუდის არარსებობის შემთხვევაშიც; ვარაუდი რელევანტურია 41-ე მუხლის კონტექსტში. შესაბამისად განმცხადებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ან ღონისძიება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მას „დაზარალებულის“ სტატუსი ჩამოაშოროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო ორგანოები აღიარებენ, აშკარად ან არსებითად და უზრუნველყოფენ ზიანის ანაზღაურებას კონვენციის დარღვევისთვის (იხილეთ, სხვა წყაროებთან ერთად *გაფგენი გერმანიის წინააღმდეგ (Gäfgen v. Germany)* [დიდი პალატა], no. 22978/05, § 115, ECHR 2010; *ასოციაცია ეკინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Association Ekin v. France)* (dec.), no. 39288/98, 2000 წლის 18 იანვარი; *ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ (Brumărescu v. Romania)* [დიდი პალატა], no. 28342/95, § 50, ECHR 1999-VII; *ამური საფრანგეთის წინააღმდეგ (Amuur v. France)*, 1996 წლის 25 ივნისი, § 36, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-III; და *ეკლე გერმანიის წინააღმდეგ (Eckle v. Germany)*, 1982 წლის 15 ივლისი, § 66, სერია A no. 51).

129. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლისთვის დაკისრებული სანქციები შეწყდა და ის ამჟამად უფლებამოსილია გადაკვეთოს კამპიონე დ'იტალიის საზღვრები და შევიდეს ან გაიაროს შვეიცარია თავისუფლად.

თუმცა, სანქციების შეწყვეტამ, რაც ვერ გადაწყდა 2009 წლის სექტემბერ-ოქტომბრამდე, განმცხადებელს არ ჩამოართვა შეზღუდვების შედეგად დაზარალებული პირის სტატუსი, რაც მან შეიძინა 2001 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ რაც მისი სახელი დაემატა სანქციების კომიტეტის სიას და თალიბანის განკარგულების თანდართულ სიას, ან 2003 წლის 27 ნოემბრიდან მაინც, როდესაც მას შეატყობინეს, რომ ის აღარ იყო უფლებამოსილი გადაეკვეთა საზღვარი (იხილეთ 26-ე პარაგრაფი მაღლა). სანქციების შეწყვეტა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევის თუნდაც არაპირდაპირ აღიარებად ზემოთ აღნიშნული პრეცედენტული სამართლის მიზნებისთვის. უფრო მეტიც, ამას არ მოყოლია ზიანის ანაზღაურება პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობისთვის.

130. შესაბამისად, განმცხადებელს შეუძლია ამტკიცოს, რომ არის კონვენციის სავარაუდო დარღვევის შედეგად დაზარალებული სულ მცირე ექვსი წლის მანძილზე. შესაბამისად მოპასუხე სახელმწიფოს პროტესტი იმის შესახებ რომ არ არსებობს დაზარალებულის სტატუსი, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

C. ამოწურულია თუ არა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები

1. მხარეთა წერილობითი მოსაზრებები

(a) მოპასუხე სახელმწიფო

131. მოპასუხე სახელმწიფოს განმარტებით, უშიშროების საბჭოს სანქციების რეჟიმის თანახმად შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვიდან გამონაკლისი დასაშვები იყო, როდესაც არსებობდა მართლმსაჯულების პროცესის შესრულების აუცილებლობა ან სხვა საფუძვლებით, კერძოდ კი სამედიცინო, ჰუმანიტარული ან რელიგიური ბუნების მქონე, რასაც ადასტურებდა სანქციების კომიტეტი (იხილეთ რეზოლუცია 1390 (2002), 2.ბ პარაგრაფი). ამ ვითარების გათვალისწინებით თალიბანის განკარგულების 4ა.2 მუხლის თანახმად მიგრაციის ფედერალური სამსახური (ODM) უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად ან შვეიცარიის ინტერესების დასაცავად უფლებამოსილი იყო დაეშვა გამონაკლისები.

132. მოპასუხე სახელმწიფომ ასევე მიუთითა, რომ [მიგრაციის ფედერალური] სამსახურის გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა და მის წინაშე დაყენებული საკითხები ეხებოდა მხოლოდ განმცხადებლის და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების თალიბანის განკარგულების მე-2 დანართის სიიდან ამოშლას.

133. მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებამდეც და მის შემდეგაც განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია სანქციების რეჟიმიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ იმიგრაციის, ინტეგრაციისა და ემიგრაციის სამსახურის (IMES, რომელიც 2005 წელს შექმნისთანავე შეუერთდა ODM-ს) და ODM-ის არცერთი გადაწყვეტილება. ამასთან, სახელმწიფო ორგანოებმა განმცხადებლისთვის დაუშვეს გამონაკლისები (2006 წლის 20 სექტემბერს და 2008 წლის 11 სექტემბერს), რომელიც მან არ გამოიყენა. ამასთან მიმართებით განმცხადებელმა განმარტა, რომ გამონაკლისის ვადა არ იყო საკმარისი მისი ასაკისა და მის მიერ განზრახული მგზავრობის მანძილის გათვალისწინებით. ამასთან მიმართებით მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ პირველი გამონაკლისი ერთი დღით დაუშვეს სამართალწარმოებასთან დაკავშირებით მიღწევაში გასამგზავრებლად და კამპიონე დ'იტალიიდან მიღწევაში სულ ერთი საათი სჭირდება ავტომობილით. მეორე გამონაკლისი, ორი დღით, დაუშვეს განმცხადებლის ბერნში და სიონში გასამგზავრებლად, ორივე ქალაქში ჩასვლა კამპიონედან ავტომობილით სამ საათზე ნაკლებ დროს საჭიროებს.

134. და ბოლოს, მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს ნებისმიერ დროს შეეძლო, დროებით მაინც შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი და გადასულიყო იტალიის სხვა ნაწილში, ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეც იყო. ამის თაობაზე შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოები (IMES შემდეგ კი ODM) თხოვნით მიმართავდნენ სანქციების კომიტეტს. რადგანაც სანქციები ზოგადი სახით იყო ფორმულირებული, მოპასუხე სახელმწიფო თვლიდა, რომ კომიტეტი მაღალი ალბათობით ნებას დართავდა განმცხადებელს გადასვლაზე.

135. ამ არგუმენტებზე დაყრდნობით მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა ვერ ამოწურა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები.

(ბ) განმცხადებელი

136. ODM-ის პირველ სამ უართან (2004 წლის 26 მარტს, 2007 წლის 11 მაისს და 2007 წლის 2 აგვისტოს) დაკავშირებით განმცხადებელმა განაცხადა, რომ არ არსებობდა ნათელი შიდა პრეცედენტული სამართალი იმასთან მიმართებით, შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოები სარგებლობდნენ თუ არა თავისუფალი შეფასების რაიმე ფარგლებით მათთვის დაკისრებული შეზღუდვებიდან გამონაკლისის მინიჭებისას და ფედერალურ სასამართლოსაც არანაირი განმარტება არ გაუკეთებია ამასთან მიმართებით. უფრო მეტიც, არც ODM-ს და არც სხვა სახელმწიფო ორგანოებს არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამთ გამონაკლისის დაშვებასთან მიმართებით პოზიციების დასაზუსტებლად. შესაბამისად, განმცხადებლის წერილობითი მოსაზრების საფუძველზე არ შეიძლება ითქვას, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაგებით სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ხელმისაწვდომი იყო.

137. რაც შეეხება მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტს იმის შესახებ, რომ [განმცხადებელმა] ვერ გამოიყენა ODM-ის მიერ მისთვის დაშვებული გამონაკლისები (2006 წლის 20 სექტემბერს და 2008 წლის 11 სექტემბერს), მან განაცხადა, რომ სახელმწიფომ მოახდინა მასზე დაკისრებული შეზღუდვების მხოლოდ ნაწილობრივი მოხსნა ძალიან სპეციფიურ გარემოებებთან დაკავშირებით. მისი ასაკისა და მგზავრობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ის ამტკიცებდა, რომ ერთი და ორი დღით დაშვებული გამონაკლისები სულაც არ იყო საკმარისი.

138. რაც შეეხება ზოგადი სანქციების რეჟიმს, განმცხადებელმა მიუთითა, რომ მან ამოწურა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, ვინაიდან მან ფედერალურ სასამართლოში გაასაჩივრა თალიბანის განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები, რასთან დაკავშირებითაც ის ჩიოდა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე.

139. განმცხადებელმა ასევე მიუთითა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი იმის შესახებ, რომ მან [განმცხადებელს] მოსთხოვა იტალიის სხვა ნაწილში გადასვლა, ამას უფრო მეტი პერსპექტივა ქონდა წარმატების, ვიდრე სიიდან ამოღებას, რაც წმინდად სპეკულაციური იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს არჩევანი - რაც მის შემთხვევაში ნაკლებად იყო შესაძლებელი, იმის

გათვალისწინებით, რომ სანქციების რეჟიმის შედეგად მოხდა მისი ქონების დაყადაღება და ეს არ იქნა გათვალისწინებული ფედერალური სასამართლოს მიერ - მის შემთხვევაში ამით მოხდებოდა მისთვის დაკისრებული შეზღუდვების მხოლოდ ნაწილობრივი კომპენსირება.

2. სასამართლოს შეფასება

140. სასამართლო კვლავ განმარტავს რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომელთა ამოწურვაც სავალდებულოა კონვენციის 35-ე მუხლით, არის ისინი, რომლებიც ხელმისაწვდომი და საკმარისია და უკავშირდება სადავო დარღვევას (იხილეთ *ცომსოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Tsomtsos and Others v. Greece)*, 1996 წლის 15 ნოემბერი, § 32, ანგარიშები 1996-V).

141. [შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების] ამოუწურავობის შესახებ მტკიცების ტვირთი მოპასუხე სახელმწიფოზეა, რათა დაარწმუნოს სასამართლო რომ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება თეორიულად არსებობდა და პრაქტიკაში გამოიყენებოდა შესაბამის დროს; რაც იმას გულისხმობს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება ხელმისაწვდომი იყო, განმცხადებლის საჩივრებთან დაკავშირებით კომპენსირების (ზიანის ანაზღაურების) საშუალებას იძლეოდა და წარმატების გონივრული პერსპექტივა გააჩნდა (იხილეთ *ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (V. v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], no. 24888/94, § 57, ECHR 1999-IX).

142. უფრო მეტიც, განმცხადებელს, რომელმაც გამოიყენა სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც მოქმედი და საკმარისია, არ უნდა მოეთხოვოს, რომ უნდა ეცადა სხვა არსებული საშუალებები, რომლებიც ნაკლებ სავარაუდოა, რომ წარმატებული იქნებოდა (იხილეთ, მაგალითად, *აქულინა მალტის წინააღმდეგ (Aquilina v. Malta)* [დიდი პალატა], no. 25642/94, § 39, ECHR 1999-III, და *მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Manoussakis and Others v. Greece)*, 1996 წლის 26 სექტემბერი, § 33, ანგარიშები 1996-IV).

143. წინამდებარე საქმეზე სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებელმა არ გაასაჩივრა IMES-ის და ODM-ის უარი სანქციების რეჟიმიდან გამონაკლისის დაშვებაზე და მისთვის ორჯერ დაუშვეს გამონაკლისი, რომლითაც მან არ ისარგებლა (იხილეთ 34-ე და 57-ე პარაგრაფები მაღლა).

144. თუმცა, თუნდაც ვივარაუდოთ, რომ ამ გამონაკლისებმა შეამსუბუქა სანქციების რეჟიმის გარკვეული შედეგები, [განმცხადებლისთვის] სამედიცინო და სამართლებრივი საფუძვლებით კამპიონე დ'იტალიის ანკლავის დატოვების უფლების მიცემით, სასამართლო თვლის, რომ გამონაკლისების საკითხი უფრო ფართო მდგომარეობის ნაწილი იყო, რაც წარმოიშვა შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოების მიერ განმცხადებლის სახელის თალიბანის განკარგულების თანდართულ სიაში დამატებით; ეს უკანასკნელი თავის მხრივ ეფუძნებოდა სანქციების კომიტეტის სიას. ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელმა ეროვნულ ორგანოებს მისი სახელის თალიბანის განკარგულებაზე თანდართული სიიდან ამოშლის მრავალი მოთხოვნა წარუდგინა - ეს მოთხოვნები არ დააკმაყოფილა SECO-მ და ეკონომიკურ საქმეთა ფედერალურმა დეპარტამენტმა (იხილეთ 30-32 პარაგრაფები მაღლა). ფედერალურმა საბჭომ, სადაც მან გაასაჩივრა დეპარტამენტის გადაწყვეტილება, საქმე ფედერალურ სასამართლოში გადაგზავნა. 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი, ისე რომ საქმე არსებითად არ განუხილია კონვენციასთან მიმართებით. შესაბამისად, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო თვლის, რომ განმცხადებელმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები მთლიანად სანქციების რეჟიმთან მიმართებით, რომელიც წინამდებარე საქმეში დაიწყო თალიბანის განკარგულების თანდართულ სიაში [განმცხადებლის] სახელის დამატებით.

145. ამ გარემოებებში სასამართლო არ მიიჩნევს აუცილებლად ამ ეტაპზე უპასუხოს მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის მიმართ არსებობდა გონივრული მოლოდინი მისი კამპიონე დ'იტალიიდან იტალიის სხვა რეგიონში გადასახლების შესახებ. კამპიონეში ის ცხოვრობდა 1970 წლიდან. საპირისპიროდ ამისა ეს საკითხი მნიშვნელოვანი ხდება გამოყენებული ზომების პროპორციულობის შესწავლისას (იხილეთ 190-ე პარაგრაფი ქვემოთ).

146. რაც შეეხება საჩივარს მე-8 მუხლთან დაკავშირებით, განმცხადებლის სახელის დამატებამ თალიბანის განკარგულების დანართ სიაში შელახა მისი ღირსება და რეპუტაცია, სასამართლომ გაიზიარა რომ ეს საკითხი წამოჭრილი იყო, მინიმუმ არსებითად, ეროვნული ორგანოების წინაშე. განმცხადებელი მართლაც

ამტკიცებდა, რომ სანქციების კომიტეტის სიაში მისი სახელის მითითება უტოლდებოდა მის საჯარო ბრალდებას იმის შესახებ, რომ ის დაკავშირებული იყო ოსამა ბინ ლადენტან, ალ-ქაედასთან და თალიბანთან, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა (იხილეთ 33-ე და 38-ე პარაგრაფები მაღლა).

147. შედეგად, სასამართლო უარყოფს მოპასუხე სახელმწიფოს პროტესტს იმის თაობაზე, რომ განაცხადი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოუწურავობის გამო მე-5 და მე-8 მუხლთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივრის ნაწილში.

148. რაც შეეხება საჩივარს მე-13 მუხლთან მიმართებით, სასამართლო თვლის, რომ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოუწურავობასთან დაკავშირებით პროტესტი მჭიდრო კავშირშია საჩივრის არსებით მხარესთან. შესაბამისად, სასამართლო განიხილავს მას საქმის არსებითი განხილვისას.

II. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

149. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ღონისძიებით, რომლითაც მას აეკრძალა შვეიცარიაში შესვლა და გავლა, დაირღვა მისი უფლება პირადი ცხოვრების პატივისცემაზე, მათ შორის პროფესიულ და ოჯახურ ცხოვრებაზე. ის ამტკიცებდა, რომ ამ აკრძალვის შედეგად ის ვერ ხვდებოდა თავის ექიმებს იტალიასა თუ შვეიცარიაში და ვერ სტუმრობდა მეგობრებსა და ოჯახს. ამასთან, ის აცხადებდა, რომ თალიბანის განკარგულების თანდართულ სიაზე მისი სახელის დამატებამ შელახა მისი ღირსება და რეპუტაცია. ამასთან მიმართებით ის დაეყრდნო კონვენციის მე-8 მუხლს:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

A. დასაშვებობა

150. სასამართლო თვლის, რომ მან პირველ ყოვლისა უნდა შეისწავლოს მე-8 მუხლის მოქმედება ამ საქმესთან მიმართებით.

151. [სასამართლო] კვლავ განმარტავს, რომ „პირადი ცხოვრება“ ფართო ცნებაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას (იხილეთ, მაგალითად, *გლორი შვეიცარიის წინააღმდეგ (Glor v. Switzerland)*, no. 13444/04, § 52, ECHR 2009; *ტისიაკი პოლონეთის წინააღმდეგ (Tysiac v. Poland)*, no. 5410/03, § 107, ECHR 2007-I; *ადრი-ვიონეტი შვეიცარიის წინააღმდეგ (Hadri-Vionnet v. Switzerland)*, no. 55525/00, § 51, 2008 წლის 14 თებერვალი; *პრეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. the United Kingdom)*, no. 2346/02, § 61, ECHR 2002-III; და *ს. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (S. and Marper v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], nos. 30562/04 და 30566/04, § 66, ECHR 2008). სასამართლომ დაადგინა, რომ ჯანმრთელობა, ფიზიკურ და მორალურ ერთიანობასთან ერთად ექცევა პირადი ცხოვრების სფეროში (იხილეთ *გლორი (Glor)*, ციტირება მაღლა, § 54, და *X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (X and Y v. the Netherlands)*, 1985 წლის 22 მარტი, § 22, სერია A no. 91; იხილეთ ასევე *კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. the United Kingdom)*, 1993 წლის 25 მარტი, § 36, სერია A no. 247-C). პირადი ცხოვრების უფლება ასევე მოიცავს უფლებას პირად განვითარებაზე და სხვა ადამიანებთან და ზოგადად გარე სამყაროსთან ურთიერთობის განვითარების უფლებას (მაგალითისთვის იხილეთ, *ს. და მარპერი (S. and Marper)*, ციტირება მაღლა, § 66).

152. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მე-8 მუხლით ასევე დაცულია „ოჯახური ცხოვრების“ პატივისცემის უფლება. ამ ნორმის თანახმად სახელმწიფომ წინასწარი გათვლებით უნდა იმოქმედოს, რომ განსახილველი პირები უზრუნველყოს ნორმალური ოჯახური ცხოვრებით (იხილეთ *მარკსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 1979 წლის 13 ივნისი, § 31, სერია A no. 31). სასამართლო ადგენს ოჯახური ცხოვრების არსებობას თითოეული საქმისთვის ცალ-ცალკე, თითოეული საქმის გარემოებების შესწავლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში შესატყვისი კრიტერიუმია განსახილველ პირთა შორის მოქმედი კავშირის არსებობა (ibid.; იხილეთ ასევე *K. და T. ფინეთის წინააღმდეგ (K. and T. v. Finland)* [დიდი პალატა], no. 25702/94, § 150,

ECHR 2001-VII, და *სერიფე იგითი თურქეთის წინააღმდეგ (Şerife Yiğit v. Turkey)* [დიდი პალატა], no. 3976/05, § 93, 2010 წლის 2 ნოემბერი).

153. სასამართლო ასევე განმარტავს, რომ მე-8 მუხლით ასევე დაცულია ადამიანის საცხოვრებლის პატივისცემის უფლება (მაგალითად, იხილეთ, *გილოუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gillow v. the United Kingdom)*, 1986 წლის 24 ნოემბერი, § 46, სერია A no. 109).

154. ამ პრეცედენტების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის მიერ მე-8 მუხლთან მიმართებით წარდგენილი საჩივრების განხილვა უნდა მოხდეს სწორედ ამ მუხლის ფარგლებში. არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ შვეიცარიაში შესვლის აკრძალვამ მას წაართვა (მინიმუმ უფრო რთული გახადა მისთვის) იტალიასა და შვეიცარიაში მის ექიმებთან კონსულტაციის გავლის ან მისი მეგობრებისა და ოჯახის მონახულების შესაძლებლობა. შესაბამისად წინამდებარე საქმეზე მე-8 მუხლი ვრცელდება მისი „პირადი ცხოვრების“ და ასევე მისი „ოჯახური ცხოვრების“ ასპექტებზე.

155. უფრო მეტიც, ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35.3 მუხლის მნიშვნელობისთვის და მისი დაუშვებლად ცნობის რაიმე სხვა საფუძველიც არ დადგენილა. შესაბამისად აუცილებელია მისი დასაშვებად გამოცხადება.

B. საქმის არსებითი მხარე

1. მხარეთა წერილობითი მოსაზრებები

(a) განმცხადებელი

156. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვის შედეგად მან ვერ შეძლო ოჯახურ ღონისძიებებში (როგორც არის დაკრძალვები თუ ქორწილები) მონაწილეობა იმ პერიოდში, როდესაც მას არ შეეძლო თავისუფლად გადაადგილება სანქციების რეჟიმიდან გამომდინარე. შესაბამისად, ის ამტკიცებდა, რომ მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის მსხვერპლი (დაზარალებული) იყო. ამასთან მიმართებით,

იტალიის მოქალაქეობამ და იმ ფაქტმა, რომ არ ცხოვრობდა მოპასუხე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ შეუზღუდა მას შესაძლებლობა საჩივარი შეეტანა შვეიცარიის მიერ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით შვეიცარიის ტერიტორიით გარშემორტყმული კამპიონე დ'იტალიის ანკლავის განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით. მან ასევე ჩათვალა, რომ კამპიონე დ'იტალიის ტიტინოს კანტონში ინტეგრაციის, კერძოდ კი ეკონომიკური ინტეგრაციის, გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა თუ შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოები სანქციების რეჟიმის მიზნებისთვის მას მოექცეოდნენ როგორც შვეიცარიის მოქალაქეს. უფრო მეტიც მას არ ქონდა იტალიის ტერიტორიაზე სხვაგან ცხოვრების არჩევანი.

157. განმცხადებელმა ასევე განაცხადა, რომ თალიბანის განკარგულების თანდართულ სიაში მისი სახელის დამატებამ ზიანი მიაყენა მის ღირსებას და რეპუტაციას, რადგანაც სიაში მოცემული იყო ტერორიზმის დაფინანსებაში ეჭვმიტანილი პირების მონაცემები. ამ მოსაზრების მხარდასაჭერად მან მიუთითა საქმეზე *საიადი და ვინკი ბელგიის წინააღმდეგ (Sayadi and Vinck v. Belgium)* (იხილეთ 88-92 პარაგრაფები მაღლა) რომელშიც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ სანქციების კომიტეტის სიაში მომჩივნების სახელების დამატება მათი ღირსების უკანონო შელახვის ტოლფასი იყო.

158. განმცხადებლის წერილობით მოსაზრებების თანახმად ეს გარემოებები მძიმდებოდა იმ ფაქტით, რომ მას არ მიეცა საშუალება მის წინააღმდეგ არსებული ბრალდების არსებითი მხარის გასაჩივრების შესაძლებლობა.

159. შესაბამისად ადგილი ქონდა მე-8 მუხლის დარღვევას მრავალი საფუძველით.

(b) მოპასუხე სახელმწიფო

160. მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადა, რომ განმცხადებელს არ ეზღუდებოდა სურვილისამებრ ადამიანების მიღება კამპიონე დ'იტალიაში, კერძოდ კი მისი შვილიშვილების. განმცხადებელი არ ამტკიცებდა, რომ მისი ოჯახისთვის და მეგობრებისთვის შეუძლებელი ან განსაკუთრებით რთული იქნებოდა კამპიონე დ'იტალიაში ჩასვლა, სადაც მას შეეძლო თავისი ოჯახური და სოციალური ცხოვრების გაგრძელება მისი შეხედულებისამებრ, რაიმე შეზღუდვის გარეშე. რაც შეეხება გამორჩეულ ღონისძიებებს,

როგორც არის მეგობრების ან ნათესავების ქორწილი, მას შეეძლო მოეთხოვა გამოწვევის მოქმედი წესებიდან. ასევე, როგორც ეს წარმოჩინდა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვასთან მიმართებით, განმცხადებელს შეეძლო საცხოვრებლად იტალიის სხვა ნაწილში გადასვლა. და ბოლოს, კონვენცია არ იცავს უცხო ქვეყნის მოქალაქის უფლებას, ეწვიოს ქვეყანას, რომელში შესვლაც მას აკრძალული აქვს, ისე რომ მან შეინარჩუნოს საცხოვრებელი ანკლავში, რომელსაც ის ვერ დატოვებს ამ ქვეყნის გადაკვეთის გარეშე. ამ არგუმენტების გათვალისწინებით მოპასუხე სახელმწიფო მიიჩნევდა, რომ სადაო ღონისძიებები არ უტოლდებოდა ჩარევას მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ჩარევაში.

161. განმცხადებლის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ მას არ ქონდა შესაძლებლობა გაერკვია ის გარემოებები, რომელმაც გამოიწვია სადაო ღონისძიებების გამოყენება, ან გაესაჩივრებინა ისინი სასამართლოს წინაშე, მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადა, რომ როგორც ადრეულ წერილობით მოსაზრებებში აღინიშნა, სადაო ღონისძიებებით არ დარღვეულა განმცხადებლის უფლება მე-8 მუხლიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ ნორმის პროცედურული ასპექტები არ მოქმედებდა.

162. ამ არგუმენტებზე დაყრდნობით, მოპასუხე სახელმწიფო თვლიდა, რომ გამოყენებული შეზღუდვები არ წარმოადგენდა განმცხადებლის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას. თუ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო სხვაგვარად დაადგენდა, ნებისმიერ შემთხვევაში მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ეს ღონისძიება აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, 8.2 მუხლიდან გამომდინარე.

2. სასამართლოს შეფასება

(a) იყო თუ არა ჩარევა

163. სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია განმცხადებლის პრეტენზიის შესწავლა იმის თაობაზე, რომ ის განიცდიდა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემაში ჩარევას იქიდან გამომდინარე, რომ მას აკრძალა შვეიცარიაში შესვლა და მისი ტერიტორიის გადაკვეთა.

164. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ დამკვიდრებული საერთაშორისო სამართლის თანახმად და სახელმწიფოებო

ვალდებულებებიდან გამომდინარე სახელმწიფო უფლებამოსილია გააკონტროლოს მის ტერიტორიაზე მოქალაქეობის არ მქონე პირების შესვლა. სხვა სიტყვებით, კონვენცია არ უზრუნველყოფს უცხოელის უფლებას შევიდეს კონკრეტულ ქვეყანაში (სხვა წყაროებთან ერთად იხილეთ, *მასლოვი ავსტრიის წინააღმდეგ (Maslov v. Austria)* [დიდი პალატა], no. 1638/03, § 68, ECHR 2008; *უნერი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Üner v. the Netherlands)* [დიდი პალატა], no. 46410/99, § 54, ECHR 2006-XII; *ბულიფა საფრანგეთის წინააღმდეგ (Boujlifa v. France)*, 1997 წლის 21 ოქტომბერი, § 42, ანგარიშები 1997-VI; და *აბდულაზიზი, კაბალესი და ბალკანდალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom)*, 1985 წლის 28 მაისი, § 67, სერია A no. 94).

165. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სადაო ღონისძიება წარმოადგენდა მნიშვნელოვან შეზღუდვას განმცხადებლის თავისუფლებაზე (იხილეთ 52-ე პარაგრაფი მაღლა), ვინაიდან ის ძალიან სპეციფიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, კამპიონე დ'იტალიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით - ანკლავი, რომელიც შემოსაზღვრულია შვეიცარიის კანტონ ტიცინოთი. სასამართლომ გაიზიარა ეს მოსაზრება. მან მიიჩნია, რომ ღონისძიებები, რომელთა საფუძველზეც განმცხადებელი ვერ ტოვებდა კამპიონე დ'იტალიის მეტად შეზღუდულ ტერიტორიას მინიმუმ ექვსი წლის მანძილზე, უფრო ართულებდა მისთვის სხვებთან კონტაქტის შენარჩუნების უფლებით სარგებლობას - კერძოდ კი მის მეგობრებთან და ოჯახთან, რომლებიც ანკლავის გარეთ ცხოვრობდნენ (იხილეთ, *mutatis mutandis*, *აგრავ შვეიცარიის წინააღმდეგ (Agraw v. Switzerland)*, no. 3295/06, § 51, და *მენგეშა კიმფე შვეიცარიის წინააღმდეგ (Mengesha Kimfe v. Switzerland)*, no. 24404/05, §§ 69-72, ორივე 2010 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება).

166. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ქონდა განმცხადებლის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას 8.1 მუხლის მნიშვნელობისთვის.

(b) იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

167. განმცხადებლის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა, როგორც ზემოთ აღინიშნა,

დაარღვევს მე-8 მუხლს თუკი ის არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს. შესაბამისად, გადასაწყვეტია “კანონის შესაბამისი იყო თუ არა ის“, ემსახურებოდა თუ არა ამ ნაწილში ჩამოთვლილთაგან ერთერთ ლეგიტიმურ მიზანს და ამ მიზნის მიღწევა „აუცილებელი იყო თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს განიხილოს კონკრეტული პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყობს შემდგომ შესწავლას.

(i) ზოგადი პრინციპები

168. დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფო კონვენციის 1-ელი მუხლის თანახმად პასუხისმგებელია მისი სახელმწიფო ორგანოების ყველა მოქმედებასა და უმოქმედობაზე, მიუხედავად იმისა, სადაო მოქმედება თუ უმოქმედობა იყო თუ არა ეროვნული კანონმდებლობის შედეგი თუ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების შესრულებიდან გამომდინარე აუცილებლობა. 1-ელი მუხლი არ განასხვავებს სადაო ნორმის ან ღონისძიების სახეს და არ გამორიცხავს ხელშემკვრელი მხარის „იურისდიქციის“ რომელიმე ნაწილს კონვენციის ფარგლებში გადახედვისგან (იხილეთ *ბოშფორუს ჰავა იოლარი ტურიზმ ვე ტიკარეტ ანონიმ სირკეტი* (*Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi*), ციტირება მაღლა, § 153, და *თურქეთის ერთიანი კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ* (*United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*), 1998 წლის 30 იანვარი, § 29, ანგარიშები 1998-I). კონვენციის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით სახელმწიფოებისთვის ამოქმედებული შესაბამისი ვალდებულებების საფუძველზე შესაძლოა ამოქმედდეს კონკრეტული სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის მიზნებისთვის (იხილეთ *ალ-საადონი და მუფდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom*), no. 61498/08, § 128, ECHR 2010, და *ბოშფორუს ჰავა იოლარი ტურიზმ ვე ტიკარეტ ანონიმ სირკეტი* (*Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi*), ციტირება მაღლა, § 154, და იქვე ციტირებული საქმეები).

169. უფრო მეტიც სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ კონვენცია არ შეიძლება განიმარტოს ვაკუუმში, არამედ უნდა მოხდეს მისი განმარტება საერთაშორისო სამართლის

პრინციპებთან ჰარმონიაში. როგორც ვენის 1969 წლის კონვენციის 33.3.c მუხლშია მითითებული, გათვალისწინებულ უნდა იქნას „საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი წესი, რომელიც მოქმედებს მხარეთა შორის ურთიერთობებზე“, კერძოდ კი წესები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვას (იხილეთ, მაგალითად, *ნეულინგერი და შურუკი შვეიცარიის წინააღმდეგ* (*Neulinger and Shuruk v. Switzerland*) [დიდი პალატა], no. 41615/07, § 131, ECHR 2010; *ალ-ადსანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Al-Adsani v. the United Kingdom*) [დიდი პალატა], no. 35763/97, § 55, ECHR 2001-XI; და *გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Golder v. the United Kingdom*), 1975 წლის 21 თებერვალი, § 29, სერია A no. 18).

170. ახალი საერთაშორისო ვალდებულების შექმნისას სახელმწიფოების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი არ გადაუხვევენ თავიანთ ძველ ვალდებულებებს. როდესაც რამდენიმე წინააღმდეგობრივი საერთაშორისო ინსტრუმენტი ერთად მოქმედებს, საერთაშორისო პრეცედენტული სამართალი და აკადემიური წრის მოსაზრებები მიუთითებს იმისკენ, რომ მოხდეს მათი ისეთი განლაგება, რომ მათი მოქმედება კოორდინირებული იყოს და თავიდან იქნეს აცილებული წინააღმდეგობა. შესაბამისად უნდა მოხდეს ორი განსხვავებული ვალდებულების ჰარმონიზება ისე, რომ მათი მოქმედების შედეგები სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან (იხილეთ მსგავსი მოქმედება, *ალ-საადონი და მუფდი* (*Al-Saadoon and Mufdhi*), ციტირება მაღლა, § 126; *ალ-ადსანი* (*Al-Adsani*), ციტირება მაღლა, § 55; და ბანკოვიჩის (*Banković*) განჩინება, ციტირება მაღლა, §§ 55-57; იხილეთ ასევე წყაროები ILC-ის კვლევითი ჯგუფის ანგარიშში სახელმწიფოებით „საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაცია: საერთაშორისო სამართლის დივერსიფიცირებისა და განვრცობის შედეგად გამოკვეთილი სირთულეები“, 81-ე პარაგრაფი მაღლა).

171. რაც შეეხება, უფრო კონკრეტულად ურთიერთმიმართებას კონვენციასა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს შორის, სასამართლომ დაადგინა იგივე რაც *ალ-ჯედას* (*Al-Jedda*) გადაწყვეტილებაში (იხილეთ მაღლა):

“101. გაეროს წესდების 103-ე მუხლი ადგენს, რომ გაეროს წევრი ქვეყნების წესდებიდან გამომდინარე მოვალეობებს უპირატესი ძალა აქვს სხვა საერთაშორისო შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებთან მიმართებით. სანამ განიხილავს გააჩნია თუ არა 103-ე მუხლს რაიმე

მოქმედება წინამდებარე საქმეზე, სასამართლომ უნდა განსაზღვროს არსებობდა თუ არა კონფლიქტი გაეროს უშიშროების საბჭოს 1546-ე რეზოლუციიდან გამომდინარე გაერთიანებული სამეფოს ვალდებულებებსა და კონვენციის 5.1 მუხლიდან გამომდინარე მის ვალდებულებას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკვანძო საკითხს წარმოადგენს რეზოლუცია 1546-ით აკისრებდა თუ არა გაერთიანებულ სამეფოს ვალდებულებას განმცხადებელი ყოლოდა ტუსალობაში.

102. რეზოლუცია 1546-ის განმარტებისას სასამართლომ მითითება გააკეთა მაღლა 76-ე პარაგრაფში მოცემულ მსჯელობაზე. ამასთან, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის მიზნები, რისთვისაც გაერო შეიქმნა. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზანთან ერთად, რაც მოცემულია გაეროს წესდების 1-ელ მუხლში, [ამავე მუხლის] მესამე ქვეპუნქტი ადგენს, რომ გაერო შეიქმნა „საერთაშორისო თანამშრომლობის მისაღწევად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის ხელშესაწყობად და წასახალისებლად“. წესდების 24(2) მუხლი უშიშროების საბჭოს ავალდებულებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების უპირველესი მოვალეობის შესრულებისას 'იმოქმედოს გაეროს მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად'. ამ წინაპირობების გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ რეზოლუციების განმარტებისას უნდა მოქმედებდეს პრეზუმპცია, რომ უშიშროების საბჭოს არ აქვს განზრახული წევრ ქვეყნებს დააკისროს ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპების დარღვევის ვალდებულება. უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ორაზროვნების შემთხვევაში სასამართლომ უნდა აირჩიოს განმარტება, რომელიც უნდა აირჩიოს კონვენციის მოთხოვნებთან მაქსიმალურ ჰარმონიაში მყოფი და ვალდებულებებს შორის კონფლიქტის გამომრიცხავი განმარტება. ადამიანის უფლებების პოპულარიზაციისა და წახალისების სფეროში გაეროს მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით არსებობს მოლოდინი, რომ ნათელი და პირდაპირი ტექსტი იქნება გამოყენებული, როდესაც უშიშროების საბჭო სახელმწიფოებისგან მოელის გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც კონფლიქტში მოდის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებებთან.“

172. დიდი პალატა ადასტურებს ამ პრინციპებს. თუმცა წინამდებარე საქმეზე ადგენს, რომ *ალ-ჯედას (Al-Jedda)* საქმისგან განსხვავებით, სადაც განსახილველი რეზოლუციის ტექსტი პირდაპირ არ ახსენებდა სასამართლო განხილვის გარეშე ტუსალობას, რეზოლუცია 1390 (2002) პირდაპირ მოითხოვდა სახელმწიფოებისგან გაეროს სიაში ჩამოთვლილი პირებისთვის აეკრძალათ მათ ტერიტორიებზე შესვლა და გავლა. შედეგად ზემოთ აღნიშნული პრეზუმპცია ვერ გავრცელდება წინამდებარე საქმეზე, რეზოლუციაში გამოყენებული ნათელი და პირდაპირი ტექსტის გათვალისწინებით, რომელიც ისეთი ვალდებულების დაკისრების ვალდებულებას ითვალისწინებს, რომლითაც

შესაძლებელია ადამიანის უფლებების დაცვა (იხილეთ ასევე რეზოლუცია 1267 (1999) მე-7 პარაგრაფი, 70-ე პარაგრაფი მაღლა, სადაც უშიშროების საბჭო უფრო მეტად პირდაპირიც არის რეზოლუციასთან შესაძლოდ შეუსაბამო სხვა საერთაშორისო ვალდებულებების უგულებელყოფასთან მიმართებით).

(ii) სამართლებრივი საფუძველი

173. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლებრივი საფუძვლების არსებობა დავის საგანს არ წარმოადგენს მხარეებს შორის. ის ადასტურებს, რომ გასაჩივრებული ღონისძიებები დადგინდა თალიბანის განკარგულების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციისთვის. უფრო კონკრეტულად კი, შვეიცარიაში შესვლასა და ტრანზიტზე აკრძალვა ეფუძნებოდა განკარგულების 4ა მუხლს (იხილეთ 66-ე პარაგრაფი მაღლა). შესაბამისად ღონისძიებებს შესატყვისი სამართლებრივი საფუძვლები გააჩნდა.

(iii) ლეგიტიმური მიზანი

174. განმცხადებელი არ უარყოფდა, რომ სადავო ღონისძიებების გამოყენება მოხდა ლეგიტიმური მიზნის შესაბამისად. სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ეს შეზღუდვები ემსახურებოდა 8.2 მუხლში ჩამოთვლილ ერთ ან მეტ ლეგიტიმურ მიზანს: პირველი, ემსახურება დანაშაულის თავიდან აცილებას და რადგანაც უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციები მიღებულ იქნა გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად („ქმედება მშვიდობისთვის საფრთხის შექმნასთან, მშვიდობის დარღვევასთან და აგრესიულ მოქმედებებთან დაკავშირებით“), მათ შეეძლო წვლილი შეეტანა შვეიცარიის ეროვნულ უშიშროებისა და საჯარო უსაფრთხოებაში.

(iv) “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”

(ა) უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაცია

175. მოპასუხე სახელმწიფო მესამე მხარედ მონაწილე ჩართულ საფრანგეთთან და გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად ამტკიცებდა, რომ შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებს არ გააჩნდათ მოქმედების თავისუფლება წინამდებარე საქმეზე

უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების შესრულებისას. შესაბამისად სასამართლომ პირველ ყოვლისა უნდა შეისწავლოს ეს რეზოლუციები, იმის განსასაზღვრად, სახელმწიფოებს ქონდათ თუ არა რაიმე თავისუფლება მათი იმპლემენტაციისას და კერძოდ კი, სახელმწიფო ორგანოებს ქონდათ თუ არა შესაძლებლობა, გაეთვალისწინებინათ განმცხადებლის მდგომარეობის სპეციფიური ბუნება და შესაბამისად დაეკმაყოფილებინათ კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნები. ამისათვის ის გაითვალისწინებს ამ რეზოლუციების ტექსტს და მათი მიღების კონტექსტს (იხილეთ *ალ-ჯადდა (Al-Jedda)*, ციტირება მაღლა, § 76, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე შესაბამისი მითითებებით). ასევე უნდა გაითვალისწინოს ამ რეზოლუციებით განსაზღვრული მიზნები (ამასთან მიმართებით იხილეთ, CJEC-ის გადაწყვეტილება *კადის (Kadi)* საქმეზე, § 296, 86-ე პარაგრაფი მაღლა), როგორც შესაბამის პრეამბულაშია მოცემული, გაეროს მიზნებისა და პრინციპების ქრილში.

176. სასამართლო აღნიშნავს, რომ შვეიცარია არ გამხდარა გაეროს წევრი 2002 წლის 10 სექტემბრამდე: თუმცა მან თალიბანის განკარგულება 2000 წლის 2 ოქტომბერს მიიღო, ორგანიზაციაში გაწევრიანებამდე, მაშინ როცა კონვენცია უკვე სავალდებულო იყო მისთვის. მსგავსად ამისა, მან ეროვნულ დონეზე მოახდინა 2002 წლის 16 იანვრის რეზოლუციის 1390 (2002) იმპლემენტაცია (იხილეთ 74-ე პარაგრაფი), იმავე წლის 1 მაისს თალიბანის განკარგულებაში 4^ა მუხლის ცვლილებით. სასამართლომ გაიზიარა, რომ ეს რეზოლუცია, კერძოდ კი მე-2 პარაგრაფის ქრილში, მიმართული იყო „ყველა სახელმწიფოზე“ და არა მხოლოდ გაეროს წევრ ქვეყნებზე. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ გაეროს წესდება სახელმწიფოებისთვის არ ადგენს VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების იმპლემენტაციის კონკრეტულ მოდელს. ასეთი რეზოლუციების მავალდებულებელი ბუნების შეუბღალავად, წესდება გაეროს წევრ ქვეყნებს უტოვებს ამ რეზოლუციების თავიანთ შიდა-სამართლებრივ სისტემებში ტრანსპოზიციის მოდელს შორის თავისუფალ არჩევანს. შესაბამისად წესდება სახელმწიფოებს აკისრებს შედეგის ვალდებულებას, ხოლო რეზოლუციების ასამოქმედებელი საშუალებების არჩევანს მათ ანდობს (მსგავსი მაგალითისთვის იხილეთ, *mutatis mutandis*, CJEC-

ის გადაწყვეტილება *კადის (Kadi)* საქმეზე, § 298, 86-ე პარაგრაფი მალა).

177. წინამდებარე საქმეზე განმცხადებელმა ძირითადად გაასაჩივრა შვეიცარიაში შესვლასა და ტრანზიტზე მისთვის დადგენილი აკრძალვა, კერძოდ კი რეზოლუციის 1390 (2002) იმპლემენტაციის გზით. მაშინ როცა ამ რეზოლუციის 2.ბ პარაგრაფით სახელმწიფოებს მოეთხოვება გაატარონ ასეთი ზომები, იქვე გაცხადებულია, რომ აკრძალვა „არ ვრცელდება სამართალწარმოების პროცესისთვის აუცილებელ შესვლასა და ტრანზიტზე...“ (იხილეთ 74-ე პარაგრაფი მალა). სასამართლოს აზრით, ტერმინი „აუცილებელი“ უნდა განიმარტოს თითოეულ საქმეზე ინდივიდუალურად.

178. ამასთან, რეზოლუცია 1390 (2002)-ის მე-8 პარაგრაფით უშიშროების საბჭო „[მოუწოდებს] ყველა სახელმწიფოს გადადგან აუცილებელი ნაბიჯები, სადაც საჭიროა, მათი მოქალაქეების და მათ ტერიტორიაზე მყოფი ადამიანებისა და იურიდიული პირების წინააღმდეგ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების ამოქმედებისა და გაძლიერებისთვის, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საშუალებებით...“ (იხილეთ 74-ე პარაგრაფი მალა). გამოთქმას „სადაც საჭიროა“ აქვს ეროვნული ორგანოებისათვის დასაშვები გარკვეული თავისუფლების ეფექტი რეზოლუციების იმპლემენტაციასთან მიმართებით.

179. და ბოლოს, სასამართლო ახსენებს შუამდგომლობას, რომლითაც შვეიცარიის ეროვნული საბჭოს ფედერალური პოლიტიკის კომისიამ ფედერალურ საბჭოს მოთხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს ინფორმირება იმისა თაობაზე, რომ ის უპირობოდ აღარ გამოიყენებს ადამიანების წინააღმდეგ ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ რეზოლუციებით გათვალისწინებულ სანქციების რეჟიმს (იხილეთ 63-ე პარაგრაფი მალა). მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობა შედარებით ზოგადი ფორმით იქნა ფორმულირებული, შეიძლება მიუხედავად ამისა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის საქმე გახლდათ მისი მიღების ერთერთი მთავარი მიზეზი. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, შვეიცარიის პარლამენტი ამ შუამდგომლობის მიღებით გამოხატავდა უშიშროების საბჭოს ტერორიზმის საწინააღმდეგო რეზოლუციების შესრულებისას გარკვეული დისკრეციის მიღების განზრახვას.

180. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ შვეიცარია სარგებლობდა გარკვეული თავისუფლებით, რომელიც აშკარად შეზღუდული იყო, თუმცა ამავდროულად რეალურიც გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი სავალდებულო რეზოლუციების იმპლემენტაციისას.

(β) წინამდებარე საქმეზე ჩარევა იყო თუ არა პროპორციული

181. ჩარევა ჩაითვლება „აუცილებლად დემოკრატიულ ქვეყანაში“ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად თუ ის პასუხობს „მწვავე სოციალურ აუცილებლობას“, თუ ის დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციულია და თუ სახელმწიფო ორგანოების მიერ დასაბუთებისთვის დასახელებული მიზნები „შესაბამისი და საკმარისია“ (იხილეთ, მაგალითად, *ს. და მარპერი*, (*S. and Marper*), ციტირება მაღლა, § 101, და *კოსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Coster v. the United Kingdom*) [დიდი პალატა], no. 24876/94, § 104, 2001 წლის 18 იანვარი, იქვე ციტირებული საქმეები).

182. კონვენციის, როგორც ობიექტურად ადამიანების დამცავი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულების (იხილეთ *ნეულინგერი და შურუკი* (*Neulinger and Shuruk*), ციტირება მაღლა, § 145) საგანი და ამოცანაა, მისი ნორმები განიმარტოს და შეფარდებულ იქნას ისე, რომ მასში გათვალისწინებული გარანტიები პრაქტიკული და ეფექტიანია (სხვა წყაროებთან ერთად იხილეთ *არტიკო იტალიის წინააღმდეგ* (*Artico v. Italy*), 1980 წლის 13 მაისი, § 33, სერია A no. 37). შესაბამისად მე-8 მუხლის მნიშვნელობით პირადი და ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უზრუნველსაყოფად თითოეული საქმის რეალური გარემოებები უნდა იქნას გათვალისწინებული კონკრეტულ სიტუაციაში ეროვნული კანონმდებლობის მექანიკური მოქმედების თავიდან ასაცილებლად (იხილეთ, *mutatis mutandis*, *ემონეტი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ* (*Emonet and Others v. Switzerland*), no. 39051/03, § 86, 2007 წლის 13 დეკემბერი).

183. სასამართლომ მანამდე დაადგინა, რომ იმისათვის, რომ ღონისძიება მიჩნეულ იქნას პროპორციულად და აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც იმავე მიზნის მიღწევისას ნაკლებ ზიანს მიაყენებდა განსახილველ ძირითად უფლებას, უნდა გამოირიცხოს (იხილეთ *გლორი* (*Glor*), ციტირება მაღლა, § 94).

184. ნებისმიერ შემთხვევაში იმის შეფასება, იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი, რჩება სასამართლოს შეფასების საგნად, იმისათვის რომ შეფასდეს კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობა (მაგალითად იხილეთ, *ს. და მარპერი (S. and Marper)*, ციტირება მაღლა, § 101, და *კოსტერი (Coster)*, ციტირება მაღლა, § 104). ამასთან მიმართებით კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა ისარგებლონ თავისუფალი შეფასების ფარგლებით. თავისუფალი შეფასების ფარგლები იცვლება და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის კონვენციით გათვალისწინებული განსახილველი უფლების ბუნებაზე, ადამიანისთვის მის მნიშვნელობაზე, ჩარევის ბუნებაზე და ჩარევის ობიექტზე (იხილეთ *ს. და მარპერი (S. and Marper)*, ციტირება, § 102).

185. იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს კითხვას, იყო თუ არა განმცხადებლის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებები დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული და ეროვნული სახელმწიფო ორგანოების მიერ დასახელებული მიზეზები „სათანადო და საკმარისი“, სასამართლომ უნდა შეისწავლოს, შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებმა საკმარისი ყურადღება დაუთმეს თუ არა ამ საქმის ბუნებას და თავიანთი თავისუფალი მოქმედების ფარგლებში გაატარეს თუ არა ზომები, რომლებიც სანქციების რეჟიმს მიუსადაგებდა განმცხადებლის ინდივიდუალურ გარემოებებს.

186. ამ დროს სასამართლო მზად არის გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ტერორიზმის საფრთხე განსაკუთრებით მაღალი იყო ამ სანქციების დამდგენი რეზოლუციების მიღების პერიოდში, 1999-2002 წლებში. ეს არაორაზროვნად ჩანს როგორც რეზოლუციების ტექსტში ისე მათი მიღების დროს არსებული კონტექსტიდან. თუმცა, ამ ღონისძიებები შენარჩუნება ან თუნდაც გაძლიერება წლების მანძილზე უნდა განიმარტოს და დამაჯერებლად დასაბუთდეს.

187. ამასთან მიმართებით სასამართლო ადგენს, რომ შვეიცარიის და იტალიის სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული გამოძიებით დადგინდა, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმიანობაში განმცხადებლის მონაწილეობის ეჭვი აშკარად დაუსაბუთებელი იყო. 2005 წლის 31 მაისს შვეიცარიის ფედერალურმა პროკურორმა შეწყვიტა 2001 წლის ოქტომბერში განმცხადებლის მიმართ დაწყებული გამოძიება, და 2008 წლის 5 ივლისს იტალიამ სანქციების კომიტეტს მიმართა განმცხადებლის

სიიდან ამოშლის მოთხოვნით, იმ საფუძველზე, რომ იტალიამ შეწყვიტა მის წინააღმდეგ სამართალწარმოება იხილეთ 56-ე პარაგრაფი მაღლა). ფედერალურმა სასამართლომ თავის მხრივ დაადგინა, რომ სახელმწიფო, რომელმაც აწარმოა გამოძიება და სისხლის სამართალწარმოება, არ იყო უფლებამოსილი განეგრძო წარმოება სიიდან ამოშლაზე, მაგრამ როგორც მინიმუმ შეეძლო გამოძიების შედეგები გადაეცა სანქციების კომიტეტისთვის და მოეთხოვა ან მხარი დაეჭირა პირის სიიდან ამოშლისთვის (იხილეთ 51-ე პარაგრაფი მაღლა).

188. ამასთან მიმართებით სასამართლო გაოგნებულია ბრალდებით, რომ შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებმა 2009 წლის 2 სექტემბრამდე არ შეატყობინეს სანქციების კომიტეტს გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, რაც 2005 წლის 31 მაისს მოხდა (იხილეთ 61-ე პარაგრაფი). თუმცა იმის აღმოჩენა, რომ ამ ბრალდებების ნამდვილობას არ უარყოფდა მოპასუხე სახელმწიფო და ამ უკანასკნელის მხრიდან ასეთი დაგვიანების რაიმე ახსნის არ არსებობა სასამართლოს აფიქრებინებს, რომ საგამოძიებო ორგანოების დასკვნების უფრო სწრაფი კომუნიკაციით შესაძლებელი იყო გაეროს სიიდან განმცხადებლის სახელის ამოშლა უფრო ადრეულ სტადიაზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა იმ პერიოდს რომლის განმავლობაშიც მისი მე-8 მუხლით დაცული უფლება შეზღუდვებს დაექვემდებარა (ამასთან დაკავშირებით იხილეთ, *საიადი და ვინკი (Sayadi and Vinck)* (ადამიანის უფლებათა კომიტეტი), § 12, 88-92 პარაგრაფები მაღლა).

189. რაც შეეხება განსახილველი შეზღუდვის ფარგლებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამან განმცხადებელს შეუზღუდა არა მარტო შვეიცარიაში შესვლა, არამედ ასევე კამპიონე დ'იტალიის დატოვება, იმის გათვალისწინებით რომ ის ანკლავია, და სანქციების რეჟიმის დარღვევის გარეშე იტალიის დანარჩენ ტერიტორიაზე გადასვლა, იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეც იყო.

190. უფრო მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ იქნებოდა გონივრული განმცხადებლისთვის იმის მოთხოვნა, რომ მას დაეტოვებინა კამპიონე დ'იტალია, სადაც ის 1970 წლიდან ცხოვრობდა და საცხოვრებლად გადასულიყო იტალიის სხვა რეგიონში, ეს მით უფრო შეუძლებელი იყო, რადგანაც რეზოლუცია 1373 (2001)-ის 1.ც ნაწილის საფუძველზე ყადაღა ამოქმედდა და მას

აღარ შეეძლო საკუთრებისა და ქონების თავისუფლად განკარგვა. მიუხედავად იმისა, სახლის გადატანის შესახებ ნებართვის მოთხოვნის დაკმაყოფილების რაიმე შანსი არსებობდა თუ არა, უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრებლის პატივისცემის უფლება დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით (მაგალითად, იხილეთ, *პროკოპოვიჩი რუსეთის წინააღმდეგ (Prokopovich v. Russia)*, no. 58255/00, § 37, ECHR 2004-XI, და *გილოუ (Gillow)*, ციტირება მაღლა, § 46).

191. სასამართლო ასევე თვლის, რომ წინამდებარე საქმეს აქვს სამედიცინო ასპექტი, რომელიც არ უნდა იქნეს გულგრილად შეფასებული. განმცხადებელი 1931 წელს დაიბადა და ჯანმრთელობის პრობლემები გააჩნდა (იხილეთ მე-14 პარაგრაფი მაღლა). ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თალიბანის განკარგულების 4ა.2 მუხლი ფორმულირებული იყო მეტადრე უფლების მიმნიჭებელი სახით, ის სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებდა, გაეროს სანქციების რეჟიმით ნებადართულ შემთხვევებში დაეშვათ გამონაკლისები, ვინაიდან ადამიანის გადაადგილების თავისუფლების უფრო ფართო შეზღუდვა ვერ იქნებოდა გამართლებული ვერც უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით და ვერც საჯარო ინტერესით, და იქნებოდა არაპროპორციული განმცხადებლის კონკრეტული მდგომარეობის ჭრილში (იხილეთ 52-ე პარაგრაფი მაღლა).

192. რეალურად IMES-მა და ODM-მა არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მხრიდან სამედიცინო მიზნებით სამართალწარმოებასთან დაკავშირებით შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვაზე გამონაკლისის მრავალი მოთხოვნა. მას არ გაუსაჩივრებია უარის ეს გადაწყვეტილებები. უფრო მეტიც, ორ შემთხვევაში, როდესაც მისი მოთხოვნები დაკმაყოფილდა, მან არ ისარგებლა ამ გამონაკლისებით (ერთი და ორი დღისთვის), მიიჩნია რა რომ მათ ხანგრძლივობა მისი ასაკისა და მანძლის გათვალისწინებით არ იყო საკმარისი დაგეგმილი მგზავრობისთვის. სასამართლოსთვის გასაგებია, რომ ეს გამონაკლისები ზემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით არ იყო საკმარისი ხანგრძლივობის თვალსაზრისით (კონკრეტულად იხილეთ 191-ე პარაგრაფი მაღლა).

193. ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ რეზოლუცია 1390 (2002)-ის 2.b პარაგრაფის თანახმად სანქციის კომიტეტი უფლებამოსილი იყო ამ კონკრეტულ საქმეზე გამონაკლისი დაეშვა, განსაკუთრებით სამედიცინო, ჰუმანიტარული ან რელიგიური საფუძვლებით. 2008 წლის 22 თებერვლის შეხვედრისას (იხილეთ 54-ე პარაგრაფი), საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განმცხადებელს შეეძლო სანქციების კომიტეტისგან მოეთხოვა უფრო ფართო გამონაკლისი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. განმცხადებელს არ გაუკეთებია ასეთი მოთხოვნა, მაგრამ ამ შეხვედრის ჩანაწერებიდან არ იკვეთება, რომ შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებმა რაიმე დახმარება შესთავაზეს ამასთან დაკავშირებით.

194. დადგინდა, რომ განმცხადებლის სახელი გაეროს სიაში დაამატეს არა შვეიცარიის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით. არც ის იყო სადაო, რომ მინიმუმ რეზოლუციის 1730 (2006) მიღებამდე სიიდან ამოშლის პროცედურასთან დაკავშირებით ამ მიზნით სანქციების კომიტეტისთვის მიმართვას ახორციელებდა მოქალაქეობის ან ბინადრობის ადგილის მიხედვით ქვეყანა. დაზუსტებისთვის, შვეიცარია განმცხადებლისთვის არც მოქალაქეობის და არც ბინადრობის ქვეყანა იყო და შესაბამისად შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში არ შედიოდა ამგვარი მოქმედება. თუმცა, არ იკვეთება, რომ შვეიცარიამ ოდესმე ცადა იტალიისთვის მოწოდება, განეხორციელებია ეს მოქმედება ან შეეთავაზებინა დახმარება, ამ მიზნისთვის (იხილეთ, *mutatis mutandis*, *საიადი და ვინკი (Sayadi and Vinck)* (ადამიანის უფლებათა კომიტეტი), § 12, 88-92 პარაგრაფები მაღლა). 2008 წლის 22 თებერვლის ჩანაწერებიდან შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ სახელმწიფო ორგანოებმა განმცხადებელს გარკვეულწილად შესთავაზეს მიემართათ გაეროში იტალიის მუდმივი წარმომადგენლობისთვის, ამასთან დასძენდნენ რა რომ იმ დროისთვის იტალია წარმოდგენილი იყო უშიშროების საბჭოში.

195. სასამართლომ გაიზიარა, რომ შვეიცარიამ სხვა ქვეყნებთან ერთად მნიშვნელოვანი ზომები გაატარა სანქციების რეჟიმის გასაუმჯობესებლად (იხილეთ 64-ე და 78-ე პარაგრაფები მაღლა). თუმცა იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ კონვენცია იცავს არა თეორიულ ან ილუზორულ, არამედ პრაქტიკულ და ეფექტიან უფლებებს (იხილეთ *არტიკო (Artico)* ციტირება მაღლა, § 33), ის

მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეზე მნიშვნელოვანია იმ ღონისძიებების გათვალისწინება, რომლებიც ეროვნულმა სახელმწიფო ორგანოებმა რეალურად გაატარა განმცხადებლის ძალიან სპეციფიური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამასთან მიმართებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებმა საკმარისად არ გაითვალისწინა საქმის რეალური გარემოებები, განსაკუთრებით კი კამპიონე დ'იტალიის გეოგრაფიული მდგომარეობა, გამოყენებული ღონისძიებების მნიშვნელოვანი ხანგრძლივობა და არც განმცხადებლის მოქალაქეობა, ასაკი და ჯანმრთელობა. ის ასევე ადგენს, რომ უშიშროების საბჭოს კონკრეტული რეზოლუციების შიდასამართლებრივ სისტემაში იმპლემენტაციის გზების არჩევის შესაძლებლობით დასაშვები უნდა ყოფილიყო განმცხადებლისთვის შეფარდებული სანქციების რეჟიმის გარკვეული შემსუბუქება, ამ რეალურ გარემოებათა გათვალისწინებით, რათა ამით თავიდან აცილებულიყო ჩარევა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, შესაბამისი რეზოლუციების სავალდებულო ბუნებისა და დადგენილი სანქციების შესრულების შეუბღალავად.

196. კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი და თავისუფლებების კოლექტიური აღსრულების შესახებ ხელშეკრულების ქრილში (მაგალითისთვის იხილეთ, *სოერინგი (Soering)*, ციტირება მაღლა, § 87, და *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom)*, 1978 წლის 18 იანვარი, § 239, სერია A no. 25), სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ შეეძლო შეეზღუდა საკუთარი თავი უშიშროების საბჭოს რეზოლუციების სავალდებულო ბუნებით, არამედ უნდა დაერწმუნებინა სასამართლო, რომ გაატარა, ან ცადა გაეტარებინა ყველა შესაძლო ზომა სანქციების რეჟიმის განმცხადებლის ინდივიდუალური მდგომარეობისთვის მოსარგებად.

197. ეს მიგნება სასამართლოს ათავისუფლებს ვალდებულებისგან გადაწყვიტოს მოპასუხე სახელმწიფოსა და ჩართული სახელმწიფოების მიერ წამოჭრილი საკითხი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ამ ინსტრუმენტიდან გამომდინარე ვალდებულებისა და გაეროს წესდებიდან გამომდინარე ვალდებულების იერარქიის თაობაზე. სასამართლოს აზრით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოპასუხე სახელმწიფომ

აჩვენა თუ არა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ცადა განსხვავებულ ვალდებულებათა ჰარმონიზება (ამასთან მიმართებით იხილეთ 81-ე და 170-ე პარაგრაფები მაღლა).

198. წინამდებარე საქმის ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის გადაადგილების თავისუფლებაზე მნიშვნელოვანი დროით დადგენილი შეზღუდვები არ ადგენდა სამართლიან ბალანსს ერთი მხრივ მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებასა და მეორეს მხრივ დანაშაულის პრევენციისა და შვეიცარიის ეროვნული უშიშროებისა და საჯარო უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს შორის. შედეგად, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ იყო პროპორციული და შესაბამისად აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

(γ) დადგენილება

199. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო არ აკმაყოფილებს მოპასუხე სახელმწიფოს პირველად პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ განაცხადი *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციასთან და საქმის არსებითად გადაწყვეტისას ადგენს, რომ ადგილი ქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. ამ დადგენილების გათვალისწინებით და მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის მტკიცებით თალიზანის განკარგულებაზე თანდართულ სიაში მისი სახელის დამატებით მის ღირსებისა და რეპუტაციის შელახვა ცალკე საჩივრის საგანს წარმოადგენდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ საჩივრის ცალკე შესწავლა არ არის აუცილებელი.

III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

200. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისთვის არ იყო ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, რომლითაც ის შეძლებდა კონვენციასთან დაკავშირებული საჩივრების შესწავლას. შესაბამისად ის ამტკიცებდა, რომ ადგილი ქონდა მე-13 მუხლის დარღვევას, რომლის შინაარსიც შემდეგია:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

A. დასაშვებობა

201. სასამართლო ადგენს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35.3 მუხლის მნიშვნელობისთვის. უფრო მეტიც, ის თვლის, რომ მისი დაუშვებლად ცნობის რაიმე სხვა საფუძველიც არ დადგენილა. შესაბამისად საჩივარი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

B. საქმის არსებითი მხარე

1. მხარეთა წერილობითი მოსაზრებები

(a) განმცხადებელი

202. საქმეზე *ალ-ნაშიფი ბულგარეთის წინააღმდეგ (Al-Nashif v. Bulgaria)* (no. 50963/99, 2002 წლის 20 ივნისი) დაყრდნობით, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ერთის მხრივ ინფორმაციის წყაროსა და ეროვნული უშიშროებისთვის გადამწყვეტი ინფორმაციის დაცვისა და მეორეს მხრივ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი დაცვის საშუალებების კონკურენტული ინტერესების თანხვედრაში მოყვანა შესაძლებელი იყო სპეციალურად ადაპტირებული პროცედურით. თუმცა, წინამდებარე საქმეზე მსგავსი პროცედურა არ იყო ხელმისაწვდომი, არც გაეროს ორგანოების და არც ეროვნული ორგანოების წინაშე.

203. მან ასევე აღნიშნა, რომ ზემოთ აღნიშნული საქმე *საიადი და ვინკი (Sayadi and Vinck)* (იხილეთ 88-92 პარაგრაფები მაღლა), სადაც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაასკვნა, რომ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები უზრუნველყოფილი იყო [ეროვნული] სასამართლოს ბრძანებით, რომლითაც ბელგიას, რომელმაც მომჩივნების სახელები პირველმა გადასცა სანქციების კომიტეტს, დაევალა, სიიდან ამოშლის მოთხოვნა წარედგინა კომიტეტისთვის, არ გამოდგებოდა წინამდებარე საქმესთან მიმართებით ორი მიზეზის გამო. პირველი, ის არ ჩიოდა, რომ ვერ ამოაღებინა თავისი სახელი გაეროს სიიდან; ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აშკარად დაადასტურა, რომ შესაბამისი კომპეტენცია სრულად გააჩნდა სანქციების კომიტეტს და არა თვით სახელმწიფოს. მეორე, მის საქმეზე ფედერალურმა სასამართლომ, საქმეში *საიადი და ვინკი (Sayadi and Vinck)* ბრიუსელის პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, მიუხედავად იმისა,

რომ დაადგინა, მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება, მხარი დაეჭირა განმცხადებლის ნებისმიერი მცდელობისთვის, მიეღწია სიიდან ამოშლისთვის, რეალურად არ დაავალა მას ამის გაკეთება.

204. შესაბამისად, ამტკიცებდა, რომ სადავო ღონისძიებების კონვენციის მე-3, მე-8 და მე-9 მუხლებთან შესაბამისობა არ გამხდარა რომელი ეროვნული სასამართლოს განხილვის საგანი, შესაბამისად ადგილი ქონდა მე-13 მუხლის დარღვევას.

(b) მოპასუხე სახელმწიფო

205. მოპასუხე სახელმწიფოს წერილობითი მოსაზრების მიხედვით, მე-13 მუხლი მოითხოვს, რომ თუკი ადამიანს გააჩნია დასაბუთებული საჩივარი კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით, მისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის საშუალება „ეროვნული სახელმწიფო ორგანოების“ წინაშე. მოპასუხე სახელმწიფომ განმარტა, რომ მისი წინა არგუმენტის გათვალისწინებით განმცხადებლის საჩივრები არ იყო გამოვლენილი. ის ამტკიცებდა, რომ თუკი სასამართლო გადაწყვეტს არ განახორციელოს ეს შეფასება, წინამდებარე საქმეზე ადგილი არ ქონდა მე-13 მუხლის დარღვევას მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

206. მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა მოითხოვა თალიბანის განკარგულების თანდართული სიიდან მისი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების სახელების ამოშლა. ეს მოთხოვნა ფაქტიურად განიხილა ფედერალურმა სასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ქონდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ამ საკითხთან მიმართებით, უშიშროების საბჭოს რეზოლუციების სავალდებულოობიდან გამომდინარე, მას არ შეეძლო განმცხადებლისთვის დაკისრებული სანქციების გაუქმება. თუმცა ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ვითარებაში შვეიცარიას უნდა მოეთხოვა განმცხადებლის სიიდან ამოშლა ან მხარი დაეჭირა მის მიერ ინიცირებული ასეთი პროცედურისთვის. ამასთან მიმართებით, მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ შვეიცარი არ იყო უფლებამოსილი ასეთი მოთხოვნა წარედგინა - რადგანაც განმცხადებელს არ ქონდა შვეიცარიის მოქალაქეობა და არ ცხოვრობდა შვეიცარიაში - რასაც სანქციების კომიტეტიც ადასტურებდა. შვეიცარიას ჰქონდა მარტივი შესაძლებლობა მხარი დაეჭირა განმცხადებლის მიერ თავად წარდგენილი

მოთხოვნისთვის და ფაქტიურად [შვეიცარია] ასეც მოიქცა [განმცხადებლის] ადვოკატისთვის მის წინააღმდეგ ინიცირებული სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ფორმალური შეტყობინების გაგზავნით.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) შესაბამისი პრინციპები

207. სასამართლო თვლის, რომ მე-13 მუხლი ადგენს ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობას, რომლითაც შესაძლებელია კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფოები თავად წყვეტენ ამ მუხლის თანახმად მათი ვალდებულებების შესრულების ფორმას, უნდა არსებობდეს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რომლებიც კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს საშუალებას მისცემს, განიხილოს კონვენციასთან დაკავშირებული შესაბამისი საჩივარი და განსაზღვროს შესატყვისი დაკმაყოფილება. მე-13 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების ფარგლები იცვლება კონვენციის საფუძველზე განმცხადებლის საჩივრის ბუნების მიხედვით, მაგრამ სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა იყოს „ეფექტიანი“ როგორც პრაქტიკაში ისე სამართლებრივად, კერძოდ კი მისი რეალური განხორციელება არ უნდა იყოს გაუმართლებლად შეზღუდული სახელმწიფო ორგანოების მოქმედებებით ან უმოქმედებით (იხილეთ *ბუიუკდაგი თურქეთის წინააღმდეგ* (*Büyükdag v. Turkey*), no. 28340/95, § 64, 2000 წლის 21 დეკემბერი, იქვე ციტირებული საქმეები, განსაკუთრებით *აკსოი თურქეთის წინააღმდეგ* (*Aksoy v. Turkey*), 1996 წლის 18 დეკემბერი, § 95, *ანგარიშები* 1996-VI). გარკვეულ პირობებში ეროვნული კანონმდებლობით ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ერთობლიობა შესაძლოა აკმაყოფილებდეს მე-13 მუხლის მოთხოვნებს (კერძოდ იხილეთ, *ლენდერი შვედეთის წინააღმდეგ* (*Leander v. Sweden*), 1987 წლის 26 მარტი, § 77, სერია A no. 116).

208. თუმცა მე-13 მუხლით მოითხოვება, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებები ეროვნულ კანონმდებლობაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ დარღვევებთან მიმართებით,

რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნას „სადაოდ“ კონვენციიდან გამომდინარე (მაგალითად, იხილეთ, *ბოილე და რაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Boyle and Rice v. the United Kingdom)*, 1988 წლის 27 აპრილი, § 54, სერია A no. 131). ეს არ ვრცელდება ისე რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებით შესაძლებელი იყოს სახელმწიფოს შიდა სამართლის გასაჩივრება ეროვნული ორგანოების წინაშე კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძვლით (იხილეთ *კოსტელო-რობერტსი (Costello-Roberts)*, ციტირება მაღლა, § 40), არამედ გამიზნულია იმის უზრუნველყოფისთვის, რომ ნებისმიერი პირი, რომელსაც დასაბუთებული საჩივარი გააჩნია კონვენციით დაცული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად უნდა სარგებლობდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით (*ibid.*, § 39).

(b) ამ პრინციპების მოქმედება წინამდებარე საქმეზე

209. სასამართლო თვლის, რომ მე-8 მუხლის დარღვევის დადგენის თვალსაზრისით საჩივარი სადაოა. შესაბამისად ის დარწმუნებულია, რომ შვეიცარიის კანონმდებლობის თანახმად განმცხადებელს ქონდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, რომლითაც გაასაჩივრებდა კონვენციით დაცული უფლების დარღვევას.

210. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს შეეძლო მიემართა ეროვნული სახელმწიფო ორგანოებისთვის თალიბანის განკარგულების თანდართული სიიდან მისი სახელის ამოშლის მოთხოვნით და ამის შედეგად ის მიიღებდა კომპენსაციას კონვენციასთან დაკავშირებით საჩივრებისთვის. თუმცა, ამ სახელმწიფო ორგანოებმა არსებითად არ განიხილეს მისი საჩივრები კონვენციის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ კი ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო დაედგინა, რომ შვეიცარიისთვის სავალდებულო იყო უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, ის არ იყო უფლებამოსილი, მოეხსნა განმცხადებლისთვის დაკისრებული სანქციები იმ საფუძვლით, რომ ისინი პატივს არ სცემდა ადამიანის უფლებებს (იხილეთ 50-ე პარაგრაფი მაღლა).

211. უფრო მეტიც, ფედერალური სასამართლო აშკარად აღიარებს, რომ გაეროს დონეზე სიიდან ამოშლის პროცედურა

უკანასკნელი რეზოლუციების შედეგად გაუმჯობესების შემდეგაც, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებად კონვენციის მე-13 მუხლის მნიშვნელობისთვის (ibid.).

212. სასამართლომ ასევე მიუთითა CJEC-ის მიგნებაზე იმის შესახებ, რომ „გაეროს საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის განმსაზღვრელი პრინციპების შედეგს არ წარმოადგენს ის რომ გასაჩივრებული რეგულაციის შიდა სამართლის მიხედვით კანონიერების სასამართლო განხილვა ძირითადი თავისუფლებების ჭრილში გამორიცხულია იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ღონისძიება გამიზნულია გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის ასამოქმედებლად“ (იხილეთ CJEC-ს გადაწყვეტილება საქმეზე *კადი (Kadi)* § 299, იხილეთ 86-ე პარაგრაფი მაღლა). სასამართლო მიიჩნევს, რომ იგივე დასაბუთება უნდა დაედოს საფუძვლად *mutatis mutandis*, წინამდებარე საქმეს, კონკრეტულად კი შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოების მიერ თალიბანის განკარგულების კონვენციასთან შესაბამისობის გადახედვისას. ის ასევე ადგენს, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში არაფერი იყო, რაც შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებს შეუზღუდავდა ამ რეზოლუციების იმპლემენტაციისთვის ეროვნულ დონეზე მიღებული ზომების გადახედვის მიღებას.

213. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ ადგენს, რომ განმცხადებელს არ გააჩნდა თალიბანის განკარგულების თანდართული სიიდან მისი სახელის ამოშლის ეფექტიანი საშუალება და შესაბამისად არც კონვენციის მის მიერ გაცხადებული დარღვევისგან სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება (იხილეთ, *mutatis mutandis*, ლორდ ჰოუპი, *აჰმედი და სხვების (Ahmed and others)* გადაწყვეტილების ძირითადი ნაწილი, §§ 81-82, 96-ე პარაგრაფი მაღლა).

214. შესაბამისად სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხე სახელმწიფოს პირველადი პრეტენზია სამართლებრივი დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოუწურავობასთან დაკავშირებით და საქმის არსებითი მხარის განხილვით დგინდება, რომ ადგილი ქონდა მე-13 მუხლის დარღვევას მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

IV. კონვენციის მე-5 მუხლის სავარაუდო დარღვევა

215. განმცხადებელი კონვენციის 5.1 მუხლზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ მისი სახელის სანქციების კომიტეტის სიაში არსებობის გამო შვეიცარიაში შესვლასა და ტრანზიტზე მისთვის დადგენილი აკრძალვით შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებმა მას შეუზღუდა თავისუფლება. 5.4 მუხლის საფუძველზე ის ჩიოდა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა განიხილეს მისი გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვების კანონიერება. ქვემოთ აღნიშნულია [მე-5 მუხლის] მითითებული ნორმები:

“1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

a) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;

b) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

d) არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე არმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

e) პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების კანონიერი დაპატიმრება;

f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.

...

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

...

1. მხარეთა და მესამე პირთა წერილობითი მოსაზრებები

(a) მოპასუხე სახელმწიფო

216. მოპასუხე სახელმწიფო, უთითებდა რა საქმეებზე გუზარდი იტალიის წინააღმდეგ *Guzzardi v. Italy* (1980 წლის 6 ნოემბერი,

სერია A no. 39) და *S.F. შვეიცარიის წინააღმდეგ (S.F. v. Switzerland)* (no. 16360/90, კომისიის 1994 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და ანგარიშები 76-B, გვ. 13 *et seq.*), ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საქმეზე სახეზე არ იყო „თავისუფლების აღკვეთა“. [მოპასუხე სახელმწიფომ] განაცხადა, რომ ამ ღონისძიების მიზანი არასდროს ყოფილა განმცხადებლის მოქცევა კამპიონე დ'იტალიის ტერიტორიაზე. მისთვის მხოლოდ შვეიცარიაში შესვლისა და ტრანზიტის შეზღუდვა დაწესდა. ის ფაქტი, რომ სადავო ღონისძიებით განმცხადებლის გადაადგილების თავისუფლება შეიზღუდა მხოლოდ მასთან იყო დაკავშირებული, რადგანაც მან გადაწყვიტა ეცხოვრა იტალიის ანკლავში, რომელიც გარშემორტყმული იყო შვეიცარიის ტერიტორიით. არც გაეროს მიერ გადაწყვეტილმა სანქციებმა და არც შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოების მიერ მათმა იმპლემენტაციამ დაავალდებულა ის, საცხოვრებლად დარჩენილიყო კამპიონე დ'იტალიაში. მას ნებისმიერ მომენტში შეეძლო მოეთხოვა მისი საცხოვრებლის იტალიის სხვა ნაწილში გადატანის ნებადართვა.

217. რაც შეეხება ღონისძიების პირობებს, მოპასუხე სახელმწიფომ დაადგინა, რომ განმცხადებელი არ დაექვემდებარა რაიმე შეზღუდვას, გარდა შვეიცარიაში შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვისა, რომელიც მათი აზრით თეორიული იყო. კერძოდ კი, ის არ ექვემდებარებოდა შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოების მხრიდან თვალთვალს, არ ქონდა რაიმე სპეციალური ვალდებულებები და შეეძლო შეუზღუდავი რაოდენობის ვიზიტორები მიეღო. მას ასევე ნებისმიერ დროს შეეძლო თავის ადვოკატებთან შეხვედრა. მოპასუხე სახელმწიფომ ასევე აღნიშნა, რომ კამპიონე დ'იტალიასა და შვეიცარიას შორის საზღვარზე არ ხდებოდა პატრულირება, შესაბამისად, შვეიცარიაში შესვლის აკრძალვა არ უნდა მიჩნეულიყო მის მიერ ფიზიკურ დაბრკოლებად.

218. აღნიშნულიდან გამომდინარე მოპასუხე სახელმწიფო მიიჩნევდა, რომ სადავო ღონისძიებები არ შეიძლება განხილულიყო თავისუფლების აღმკვეთად 5.1 მუხლის მნიშვნელობისთვის.

(b) განმცხადებელი

219. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საქმის შედარება საქმესთან *S.F. შვეიცარიის წინააღმდეგ (S.F. v. Switzerland)* (ციტირება მაღლა), არ შეიძლება, ვინაიდან მის საქმეზე კომისიამ განმცხადებლის საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია მე-5 მუხლთან მიმართებით, ვინაიდან ის არ იყო უფლებამოსილი დაეტოვებია კამპიონე დ'იტალია რამდენიმე წლის განმავლობაში. პირველი, განმცხადებლის საქმეზე ტერიტორიის დატოვების შეუძლებლობა არ წარმოადგენდა სისხლისსამართლებრივი ბრალდების შედეგს და მეორე, მან ვერ შეძლო სადავო შეზღუდვების გასაჩივრება სამართლიანი მოსმენის პირობებში, *S.F.*-ისგან განსხვავებით.

220. განმცხადებელი სადაოდ არ ხდის ფაქტს იმის შესახებ, რომ კამპიონე დ'იტალიის დატოვებაში მის წინაშე ფიზიკური დაბრკოლება არ იყო, მაგრამ აღნიშნა, რომ შვეიცარიის საზღვარზე ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ხდებოდა შემოწმება და თუ ამგვარი შემოწმებისას აღმოაჩენდნენ, რომ ის ცდილობდა აკრძალულ ტერიტორიაზე შესვლას, ის მკაცრი სასჯელით დასრულებადი პროცესის წინაშე აღმოჩნდებოდა.

221. განმცხადებელმა განმარტა, რომ კამპიონე დ'იტალიის ფართობი 1.6 კმ²-ს შეადგენდა, შესაბამისად, ტერიტორია რომლის ფარგლებშიც მას თავისუფლად გადაადგილება შეეძლო, იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე საქმეზე *გუზარდი (Guzzardi)* (ციტირება მაღლა), სადაც განმცხადებელი იმყოფებოდა 2.5 კმ² ფართობის კუნძულზე.

222. უფრო მეტიც, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ თვით ფედერალურმა სასამართლომ აღიარა, რომ შეზღუდვები შინაპატიმრობას უტოლდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის ამტკიცებდა, რომ 5.1 მუხლი უნდა გავრცელებულიყო მის საქმეზე.

(c) საფრანგეთი

223. საფრანგეთი, მესამე მხარის სტატუსით, მიიჩნევდა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მოქმედება ვერ გავრცელდებოდა პირზე, რომელსაც უარი ეთქვა კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლასა და ტრანზიტზე და ამ საქმის სპეციფიური გარემოებები, რომელიც გამომდინარეობდა კანტონ ტიცინოთი შემოსაზღვრულ იტალიურ ანკლავში განმცხადებლის ცხოვრებით, ვერ შეცვლიდა ამ

შეფასებას, გარდა იმ შემთხვევისა თუ მოხდებოდა ამ ნორმის შინაარსის მნიშვნელოვანი დამახინჯება.

2. სასამართლოს შეფასება

224. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ მე-5 მუხლი ითვალისწინებს ადამიანის ძირითად უფლებას, კერძოდ კი ადამიანის დაცვას სახელმწიფოს მხრიდან მის თავისუფლებაში უკანონო ჩარევისგან. მე-5 მუხლში ნათლად ჩანს, რომ მასში არსებული გარანტიები ეხება „ყველას“. 5.1 მუხლის (a) - (f) პუნქტებში მოცემულია ადამიანთა თავისუფლების აღკვეთის დასაშვებ საფუძველთა ამომწურავი ჩამონათვალი. თავისუფლების აღკვეთა არ იქნება 5.1 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისი, თუ ის არ ექცევა 5.1 მუხლში ჩამოთვლილ საფუძველთაგან ერთერთში ან არ არის გამონაკლისად განსაზღვრული კონვენციის მე-15 მუხლის შესაბამისად, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს შესაძლებლობას უქმნის „ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს როცა საფრთხე ემუქრება ხალხის სიცოცხლეს“ მიიღოს მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან გამონაკლისის სახის მექანეზმები „რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე“ (სხვა წყაროებთან ერთად იხილეთ, *ალ-ჯედა (Al-Jedda)*, ციტირება მაღლა, § 99; *A. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინაშე (A. and Others v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], no. 3455/05, §§ 162-163, ECHR 2009; და *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom)*, ციტირება მაღლა, § 194).

225. 5.1 მუხლი არ ეხება გადაადგილების თავისუფლებაზე დადგენილ პირდაპირ შეზღუდვებს, რაც რეგულირდება მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით. ეს დამატებითი ოქმი შვეიცარიას არ აქვს რატიფიცირებული. იმისათვის რომ განისაზღვროს, „აღეკვით თუ არა ვინმეს თავისუფლება“ მე-5 მუხლის მნიშვნელობისთვის, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მისი კონკრეტული მდგომარეობა და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთელი რიგი კრიტერიუმებისა, როგორც არის განსახილველი ზომების სახე, ხანგრძლივობა, შედეგები და მათი აღსრულების ფორმა. თავისუფლების აღკვეთასა და შეზღუდვას შორის განსხვავება წარმოადგენს ხარისხისა და ინტენსივობის საკითხს და არა ბუნებისა და შინაარსის (იხილეთ *ოსტინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Austin and Others v. the*

United Kingdom) [დიდი პალატა], nos. 39692/09, 40713/09 და 41008/09, § 57, 2012 წლის 15 მარტი; *შტანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Stanev v. Bulgaria)* [დიდი პალატა], no. 36760/06, § 115, 2012 წლის 17 იანვარი; *მედვედევი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Medvedyev and Others v. France)* [დიდი პალატა], no. 3394/03, § 73, ECHR 2010; *გუზარდი (Guzzardi)*, ციტირება მაღლა, §§ 92-93; *შტორკი გერმანიის წინააღმდეგ (Storck v. Germany)*, no. 61603/00, § 71, ECHR 2005-V; და *ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Engel and Others v. the Netherlands)*, 1976 წლის 8 ივნისი, § 59, სერია A no. 22).

226. სასამართლო ასევე თვლის, რომ განსახილველი ღონისძიების „ტიპის“ და „იმპლემენტაციის ფორმის“ გათვალისწინების მოთხოვნა (იხილეთ *ენგელი და სხვები (Engel and Others)*, § 59, და *გუზარდი (Guzzardi)*, § 92, ორივეს ციტირება მაღლა) შესაძლებლობას აძლევს მას გაითვალისწინოს შეზღუდვის სხვადასხვა სახის კონკრეტული კონტექსტი და გარემოებები, გარდა საკანში გამოკეტვის პარადიგმისა (მაგალითისთვის იხილეთ, *ენგელი და სხვები (Engel and Others)*, § 59, და *ამუური (Amuur)*, § 43, ორივეს ციტირება მაღლა). მართლაც, კონკრეტული ზომის მიღების კონტექსტი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებაში ჩვეულებრივად იქნება ისეთი ვითარება, როდესაც საზოგადოება მოუწოდებს გადაადგილების თავისუფლებაზე ან თავისუფლებაზე შეზღუდვების დადგენისკენ საერთო კეთილდღეობის ინტერესებისთვის (იხილეთ, *mutatis mutandis, ოსტინი და სხვები (Austin and Others)*, ციტირება მაღლა, § 59).

227. სასამართლო მიიჩნევს, რომ თავის არგუმენტში იმის თაობაზე, რომ წინამდებარე საქმეზე მე-5 მუხლიც მოქმედებს განმცხადებელი დაეყრდნო *გუზარდი (Guzzardi)* საქმეს. ამ საქმეზე განაცხადი წარმოადგინა ადამიანმა, რომლის მიმართაც არსებობდა „მაფიოზთა ბანდის“ წევრობის ეჭვი და ის აიძულეს ეცხოვრა 2.5 კმ² ფართობის (შემოუღობავ) კუნძულზე, კუნძულის სხვა მაცხოვრებლებთან და მასზე ზედამხედველ პირებთან ერთად. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს „აღეკვითა თავისუფლება“ მე-5 მუხლის მნიშვნელობით და შესაბამისად ის უფლებამოსილი იყო ესარგებლა ამ მუხლით გათვალისწინებული გარანტიებით (იხილეთ ასევე *ჯულია მანზანი იტალიის წინააღმდეგ (Giulia Manzoni v. Italy)*, 1997 წლის 1 ივლისი, §§ 18-25, *ანგარიშები 1997-IV*).

228. საპირისპიროდ ამისა, საქმეზე *S.F. შვეიცარიის წინააღმდეგ* (*S.F. v. Switzerland*) (ციტირება მაღლა) სადაც განმცხადებელი ჩიოდა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში არ იყო უფლებამოსილი, დაეტოვებინა კამპიონე დ'იტალია, კომისიამ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია, დაადგინა რა რომ მე-5 მუხლი არ ვრცელდებოდა ამ საქმეზე. დიდი პალატა წინამდებარე საქმეზე მიზანშეწონილად თვლის წინამდებარე საქმეზე დაეყრდნოს ამ უკანასკნელ მიდგომას, შემდეგ მიზეზთა გამო.

229. განმცხადებლის კონკრეტულ მდგომარეობაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ შეზღუდვები შენარჩუნდა მნიშვნელოვანი დროის მანძილზე. თუმცა, ის ადგენს, რომ ტერიტორია, რომელზე გადაადგილებაც განმცხადებელს ეკრძალებოდა, მესამე ქვეყნის, შვეიცარიის იყო და საერთაშორისო სამართლის მიხედვით ქვეყანას უფლება აქვს უცხოელს აუკრძალოს მის ტერიტორიაზე შესვლა (164-ე მუხლი მაღლა). შეზღუდვებმა განმცხადებელს არ აუკრძალა მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ტერიტორიაზე, რომელიც მან თავად აირჩია საცხოვრებლად და მოღვაწეობისთვის, თავისუფლად ცხოვრება და გადაადგილება. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ვითარებაში მისი საქმე რადიკალურად განსხვავდება *გუზარდის* (*Guzzardi*) საქმის ფაქტობრივი გარემოებებისგან (ციტირება მაღლა) და განმცხადებლისთვის დადგენილი ეს აკრძალვები ვერ წარმოშობს საკითხებს კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებით.

230. სასამართლო ასევე აღიარებს, რომ კამპიონე დ'იტალია წარმოადგენს მცირე ფართობის ტერიტორიას. თუმცა ის ადგენს, რომ განმცხადებელი, მკაცრად რომ ითქვას, არ იმყოფებოდა დაკავებაში, არც შინაპატიმრობაში: მას მხოლოდ ეკრძალებოდა მოცემულ ტერიტორიაზე შესვლა და ტრანზიტი და ამ ღონისძიების შედეგად მას არ შეეძლო ანკლავის დატოვება.

231. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი მის წინაშე არ ასაჩივრებს შვეიცარიის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ის შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რაიმე მეთვალყურეობის ქვეშ არ იმყოფებოდა და არ ევალებოდა პოლიციაში რეგულარულად გამოცხადება (*გუზარდის* (*Guzzardi*) საპირისპირო, ციტირება მაღლა, § 95). უფრო მეტიც, არც ის გამოვლინდა, რომ მას ეზღუდებოდა ვიზიტორების მიღება, ოჯახის წევრების, ექიმების თუ მისი იურისტების (*ibid.*).

232. და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ სანქციების რეჟიმის თანახმად განმცხადებელს შეეძლო შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვაზე გამონაკლისების მოთხოვნა და ეს გამონაკლისები მართლაც დაშვებულ იქნა მისთვის ორ შემთხვევაში, მაგრამ მან არ ისარგებლა.

233. წინამდებარე საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით და დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო, ისევე როგორც ფედერალური სასამართლო (იხილეთ 48-ე პარაგრაფი მაღლა) ადგენს, რომ განმცხადებელს არ „აღეკვითა თავისუფლება“ 5.1 მუხლის მნიშვნელობისთვის მისთვის შვეიცარიაში შესვლისა და ტრანზიტის აკრძალვით.

234. ამას თან სდევს, ის რომ საჩივარი მე-5 მუხლთან მიმართებით აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილზე დაყრდნობით.

V. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

235. სასამართლოს მიერ მე-5 და მე-8 მუხლებთან მიმართებით შესწავლილი არგუმენტების მსგავს არგუმენტებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩიოდა მის მიმართ მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობაზე. ის ასევე ამტკიცებდა, რომ მის მიერ მეჩეთში წასასვლელად კამპიონე დ'იტალიის დატოვების შეუძლებლობით დაირღვა მისი მე-9 მუხლით გარანტირებული მისი რელიგიური მრწამსის თავისუფლად გამოვლენის უფლება.

236. მისთვის წარდგენილ მასალებზე დაყრდნობით და თუნდაც იმის ვარაუდზე დაყრდნობით, რომ ეს საჩივრები ეროვნული სასამართლოების წინაშე სათანადო წესით იქნა წარდგენილი, სასამართლო ვერ ადგენს კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლების რაიმე დარღვევას.

237. ამას მოსდევს ის, რომ კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების საფუძველზე განაცხადის ეს ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

VI. კონვენციის 41-ე მუხლის მოქმედება

238. კონვენციის 41-ე მუხლი:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშეშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

239. განმცხადებელს არ მოუთხოვია რაიმე მატერიალური ან არამატერიალური ზიანის ანაზღაურება.

240. შესაბამისად, არ არსებობს მოთხოვნა, მისთვის ამასთან მიმართებით რაიმე თანხის განსაზღვრის თაობაზე.

B. ხარჯები და დანახარჯები

241. რაც შეეხება ხარჯებსა და დანახარჯებს, განმცხადებელი ითხოვს 75000 ფუნტი სტერლინგის (GBP) და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანაზღაურებას [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებაში ადვოკატის მონაწილეობის საფასურის სანაცვლოდ, ასევე 688.22 ევროს ადვოკატის მიერ კამპიონე დ'იტალიაში მგზავრობის, სატელეფონო და საოფისე ხარჯების ასანაზღაურებლად.

242. მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა აირჩია მისი წარმომადგენლობა განეხორციელებია ლონდონში მომუშავე ადვოკატს, რომელიც საათობრივ ანაზღაურებას იღებს, რაც ბევრად მეტია შვეიცარიაში არსებულ საშუალო ანაზღაურებაზე და ამავე არჩევანმა გამოიწვია მგზავრობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარჯები. მისი წერილობითი მოსაზრების თანახმად, თუნდაც იმ შემთხვევაში თუ გაზიარებული იქნება რომ წინამდებარე საქმე ისეთივე კომპლექსურია, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებდა, გაცხადებული სამუშაო საათები გადაჭარბებულია. შესაბამისად, მან განაცხადა, რომ განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში სამართლიან ანაზღაურებად უნდა ჩაითვალოს არა უმეტეს 10 000 შვეიცარული ფრანკისა.

243. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ თუკი ის დაადგენს კონვენციის დარღვევას, ის უფლებამოსილია განსაზღვროს

განმცხადებლისთვის ეროვნული სასამართლოების წინაშე ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება, მათ მიერ ამ დარღვევის პრევენციის ან კომპენსაციისთვის (იხილეთ *ნულინგერი და შურუკი (Neulinger and Shuruk)*, ციტირება მაღლა, § 159). უფრო მეტიც, ეს ხარჯები და დანახარჯები უნდა იყოს რეალურად და აუცილებლად განხორციელებული და გონივრული ოდენობით (*ibid.*).

244. სასამართლო არ იზიარებს მოპასუხე სახელმწიფოს პოზიციას იმის თაობაზე, რომ განმცხადებელს უნდა განეჭვრიტა მისი არჩევანის შედეგები, როდესაც ირჩევდა ბრიტანელ ადვოკატს. ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს რეგლამენტის 36.4.ა მუხლის თანახმად, განმცხადებლის წარმომადგენელი უნდა იყოს „რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში საქმიანობის უფლების მქონე და უნდა ცხოვრობდეს ერთერთის ტერიტორიაზე...“. თუმცა, ის აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეზე მხოლოდ მე-8 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით წარმოდგენილ საჩივრებზე დადგინდა კონვენციის დარღვევა. განაცხადის დანარჩენი ნაწილი დაუშვებლად იქნა ცნობილი. შესაბამისად განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულია.

245. შესაბამისად, წარმოდგენილ მასალებზე და ზემოთ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმზე დაყრდნობით, სასამართლო გონივრულად მიიჩნევს განმცხადებლისთვის მის მიერ პროცესის ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად 30 000 ევროს განსაზღვრას.

C. საურავი

246. სასამართლოს შესაბამისად მიაჩნია საურავის დადგენა ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი საპროცენტო ერთეული.

აღნიშნულ საფუძვლებზე დაყრდნობით სასამართლო ერთხმად წყვეტს

1. არ დაკმაყოფილდეს მოპასუხე სახელმწიფოს პირველადი პრეტენზია განაცხადის კონვენციასთან *ratione*

personae შეუსაბამობასთან და განმცხადებლის მიერ დაზარალებულის სტატუსის არ ქონასთან დაკავშირებით;

2. საქმის არსებით მხარესთან გაერთიანდეს მოპასუხე სახელმწიფოს პირველადი პრეტენზია განაცხადის კონვენციასთან *ratione materiae* შეუსაბამობასთან დაკავშირებით;
3. არ დაკმაყოფილდეს მოპასუხე სახელმწიფოს პირველადი პრეტენზია მე-5 და მე-8 მუხლებთან მიმართებით საჩივრებთან დაკავშირებით სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოუწურავობასთან დაკავშირებით და ეს პრეტენზია გაერთიანდეს მე-13 მუხლთან მიმართებით საჩივრის არსებით განხილვასთან.
4. დასაშვებად იქნას ცნობილი საჩივრები მე-8 და მე-13 მუხლთან დაკავშირებით და განაცხადის დანარჩენი ნაწილი დაუშვებლად;
5. არ დაკმაყოფილდეს მოპასუხე სახელმწიფოს წინასწარი პრეტენზია იმის თაობაზე, რომ განაცხადი *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციასთან და დადგინდეს, რომ ადგილი ქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას;
6. არ დაკმაყოფილდეს მოპასუხე სახელმწიფოს პირველადი პრეტენზია მე-13 მუხლთან დაკავშირებით საჩივარზე სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოუწურავობასთან დაკავშირებით და დადგინდეს, რომ ადგილი ქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას მე-8 მუხლთან ერთობლიობაში;
7. დადგინდეს
 - (a) რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია სამი თვის ვადაში განმცხადებელს გადაუხადოს 30000 ევრო (ოცდაათი ათასი ევრო), ასევე ნებისმიერი გადასახადი, რაც განმცხადებელს შეიძლება დაეკისროს ამ თანხისთვის, ხარჯებთან და დანახარჯებთან მიმართებით, რაც გადაყვანილ უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში შეთანხმების დროისთვის არსებული კურსით;

(b) რომ აღნიშნული სამი თვის ამოწურვის შემდგომ თანხის გადახდამდე პერიოდისთვის განისაზღვროს მარტივი საურავი, რომელიც დაერიცხება ზემოთ აღნიშნულ თანხას ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი საპროცენტო ერთეული.

8. *არ დაკმაყოფილდეს* განმცხადებლის დანარჩენი მოთხოვნა სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გამოქვეყნდა საჯარო მოსმენაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2012 წლის 12 სექტემბერს.

მაიკლ ო'ბოილე
მდივნის მოადგილე

ნიკოლას ბრატზა
პრეზიდენტი

კონვენციის 45.2 მუხლისა და [რეგლამენტის] 74.2 მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი განსხვავებული მოსაზრებები:

(a) მოსამართლეების ბრატზას, ნიკოლაუს და იუდკივსკას ერთობლივი განსხვავებული აზრი;

(b) მოსამართლე როზაკის განსხვავებული აზრი, რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები სპიელმანი და ბერრო-ლეფევრი;

(c) მოსამართლე მალინვერნის განსხვავებული აზრი.

N.B.
M.O'B.

განსხვავებული მოსაზრებები არ ითარგმნა, თუმცა ინგლისურ და/ან ფრანგულ ენაზე თან ერთვის გადაწყვეტილების ოფიციალურ ვერსიას, რომელიც განთავსებულია [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზაში HUDOC.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.